კურტ ვონეგუტი - “დ რ ო ი ს რ ღ ვ ე ვ ა”



"დროის რღვევა" პოპულარული ამერიკელი მწერლის, კურტ ვონეგუტ_უმცროსის ერთ_ერთი უკანასკნელი ნაწარმოებია, რომელიც 1997 წელს დაწერა. ეს არის ავტორის ერთგვარი მცდელობა_თავი მოუყაროს, გააანალიზოს და ერთგულ მკითხველს თავისებური დასკვნის სახით წარმოუდგინოს წლების მანძილზე ნაფიქრი და განცდილი.

ინგლისურიდან თარგმნა - თამარ სეხნიაშვილმა

რედაქტორი და კორექტორი - ქეთევან ენუქიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა - კახაბერ ბერაძე

დიზაინერი - მამუკა ყარაულაშვილი

დამკაბადონებელი - გიორგი სოსელია

"სეზანი", 2006

“Timequake”, თუ უბრალოდ "დროის რღვევა"

“Rara temporum felicitac, ubi quae velis sentire et quae sentias dicere licet.” *

როდესაც თარგმანზე დავიწყეთ მუშაობა, სერიოზული პრობლემა წამოიჭრა.

ქართულ ენაში " Timequake "- ის შესატყვისი განმარტების მოძიება არც თუ იოლი აღმოჩნდა.

ასეა თუ ისე, არჩევანი "დროის რღვევაზე" შევაჩერეთ. რადგან წიგნში აღწერილი ფანტასტიკური მოვლენა პირდაპირ კავშირშია დროსთან და მის რღვევასთან _ თავისთავად, არაბუნებრივ მოვლენასთან, ერთგვარ აპოკალიფსისთან, რაც, ალტერნატიულ შესატყვისობასთან, "რყევასთან" შედარებით, უფრო ეხმიანება მოთხრობის თემატიკას.

ქართველი მკითხველი კურტ ვონეგუტს მხოლოდ რუსული თარგმანებით იცნობს, თუ არ ჩავთვლით ორიოდე წიგნს, რომელიც, რა თქმა უნდა, მის შემოქმედებაზე სრულ წარმოდგენას ვერ შექმნის.

ვინ არის კურტ ვონეგუტი და რა წვლილი შეიტანა ამერიკული ლიტერატურის თუ პოსტმოდერნისტული ცნობიერების გაღრმავებასა და განვითარებაში?

პირველ ყოვლისა, ეს არის კაცი, რომელიც ცხოვრობს, გრძნობს და განიცდის. რომლისთვისაც დრო ყველაფერია და ამავე დროს_არაფერი. ვისაც უყვარს მთელი სამყარო და არ ეშინია მისი. ვისთვისაც უცხოა ძრწოლა, მაგრამ განუზომელი ტკივილი ტანჯავს.

და ეს ტკივილი მარადიული ცეცხლია, რომელშიც თვითონ და ნებისმიერი ჩვენგანი იწვის.

თანალმობა, თანაგანცდა, თითოეულის ტკივილის გათვისება და შეგრძნება, აიძულებს, იცინოს და იტიროს, გვაცინოს და გვატიროს.

კალამი, შემოქმედება, ლოგოსის ქმნადობა რჩეულთა გონების მიერ მართული მარადიული აქტი, კომპიუტერის სამყაროშიც შეუბღალავი და წმინდათაწმინდა სახით ინარჩუნებს სახეს.

"იშვიათია ბედნიერი დროება, როდესაც შესაძლებელია იფიქრო, რაც გსურს და თქვა, რასაც ფიქრობ." (ტაციტუსი)

ნებისმიერი ეპოქა გარკვეულ მიმდინარეობას ქმნიდა. შესაძლოა, სწორედ ლიტერატურულ, და ზოგადად, ხელოვნების წიაღში წარმოშობილი მიმდინარეობა და გარკვეულ ფილოსოფიურ წინამძვრებსა თუ გემოვნებაზე დაფუძნებული აზროვნება ქმნიდა ეპოქას. ერთი კი უდავოა, რომ XX საუკუნე განუყოფელია პოსტმოდერნისტული მსოფლმხედველობისაგან.

ნამდვილი მწერალი და ჭეშმარიტი ღირებულების მქონე ლიტერატურა კი იქმნება არა წინასწარ დასახული მოდელის ჩარჩოში, არამედ როგორც კ. ვონეგუტი

იტყოდა, დრო-სივრცულ კონტინიუმში, რომელიც თავისი დროის მოწინავე იდეოლოგიით იკვებება.

"დროის რღვევა" შეიძლება, მივაკუთვნოთ ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებთა ტიპს, ფანტასტიკის ელემენტებით. ამასთან, ტიპიური ცენტრისკენული რომანია, რომლის მთავარი გმირი, სხვადასხვა სახის ისტორიებსა და ანეგდოტებს, არამხოლოდ ერთ მთლიან სიუჟეტად კრავს და გარკვეულ მორალს უქვემდებარებს, არამედ ორად იხლიჩება და ერთგვარ ალტერ-ეგოს ქმნის. მოთხრობის რეალური და ირეალური, მიწიერი და ფანტასტიკური სამყაროც სწორედ ორად გახლეჩილი ერთი ცენტრალური გმირის მეშვეობით იმიჯნება.

ეს "დროის რღვევის" უნიკალური თავისებურება გახლავთ.

კურტ ვონეგუტის შემოქმედება წარმოუდგენელია მისი მეტად აქტიური ავტორისეული ეგო-ს გარეშე. მოქმედების დინამიკური განვითარება, ფერადოვანი სურათების სიჭარბე და ორიგინალური მონაცვლეობა, ღრმა ემოციური განცდის მომცველი ფრაზების ფორმალური სისადავე და ლაკონიურობა, მდიდარი ლექსიკა, რაც ე.წ. სლენგისა და სალიტერატურო ენის შერწყმის საოცარ ეფექტებს გვაზიარებს, ამერიკელი მწერლის მოთხრობებსა და ნოველებს კუთვნილ ადგილს უმკვიდრებს XX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაში, რომელიც პოსტ-მოდერნიზმის, თუ უფრო დავაკონკრეტებთ, პოსტ-პომის უდავო საუფლოს წარმოადგენს.

კურტ ვონეგუტის შემოქმედების შესწავლა სამომავლო საქმეა, მაგრამ თავს ნებას მივცემთ, და მცირე ნაწყვეტს მოვიყვანთ "ფლეიბოისათვის" მიცემული ინტერვიუდან, რომელშიც მწერალი შემოქმედის მიზნებსა და ცხოვრებისეულ კრედოზე მსჯელობს.

* * *

ფლეიბოი: გარდა იმისა, რომ მწერლობა საკმაოდ სარფიანი საქმიანობაა, კიდევ რა გაიძულებდათ, გეწერათ?

ვონეგუტი: ჩემი მოტივები პოლიტიკური გახლავთ. სრულიად ვეთანხმები სტალინს, ჰიტლერს და მუსოლინის, რომ მწერალი თავის საზოგადოებას უნდა ემსახურებოდეს. დიქტატორების აზრს არ ვიზიარებ მხოლოდ ერთი მიმართებით როგორ უნდა ემსახურებოდეს. უპირველეს ყოვლისა, და ეს ბიოლოგიური აუცილებლობით არის განპირობებული, მწერალი ცვლილებების წინასწარგანმჭვრეტი უნდა იყოს. იმედი ვიქონიოთ, რომ ცვლილებებისა უკეთესობისაკენ.

ფლეიბოი: რას გულისხმობთ ბიოლოგიურ აუცილებლობაში?

ვონეგუტი: მწერალი საზოგადოებრივი ორგანიზმის განსაკუთრებული უჯრედია. კაცობრიობა ისწრაფვის მარადიული გარდასახვისაკენ და გამუდმებით ილტვის ახალი იდეების ექსპერიმენტირებისაკენ. მწერალი ამ იდეების საზოგადოებაში დანერგვის ერთგვარ საშუალებასაც წარმოადგენს და ამავე დროს, ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებზე პირობითი რეაგირებისაც. არა მგონია, რომ მართლა ვაკონტროლებთ საკუთარ საქმიანობას. მაგრამ დღემდე მჯერა, რომ ნებისმიერი

მხატვარი, გამონაკლისის გარეშე, ისევე უნდა ფასობდეს, როგორც დამცავი სიგნალიზაციის სისტემა."

ესეც პოსტ-მოდერნისტული ირონია და მარადიული ჭეშმარიტება. . .

ქეთევან ენუქიძე

დროის რღვევა

პროლოგი

1952 წელს, ერნესტ ჰემინგუეიმ ჟურნალ "ლაიფში" გამოაქვეყნა მოთხრობა "მოხუცი და ზღვა". ეს იყო ერთ კუბელი მეთევზის თავგადასავალი, რომელმაც მთელი ოთხმოცდაოთხი დღის განმავლობაში ვერ შეძლო თევზის დაჭერა. ბოლოსდაბოლოს, მის ანკესზე უშველებელი მერლინი წამოეგო. მოხუცმა მოკლა თევზი და თავის პატარა ნავს გამოაბა. სანამ ნაპირზე გამოვიდოდა, ზვიგენებმა თევზს ხორცი შემოასანსლეს.

ეს მოთხრობა მაშინ გამოქვეყნდა, როდესაც კონცხ კოდზე, სოფელ ბარნსთეიბლში, ვცხოვრობდი. ჩემს მეზობელ მეთევზეს ვკითხე, რას ფიქრობდა ამის შესახებ. მან განაცხადა, რომ მოთხრობის გმირი იდიოტი იყო. მოხუცს თევზისთვის საუკეთესო ნაჭრები უნდა ჩამოეთალა და ნავში ჩაეწყო, დანარჩენი კი ზვიგენებისთვის გადაეყარა.

ჰემინგუეი ზვიგენებში, ალბათ, იმ კრიტიკოსებს გულისხმობდა, რომლებიც თავს ესხმოდნენ ზემოთ ნახსენებ ამბავზე ორიოდე წლის წინ გამოქვეყნებულ მოთხრობას, "მდინარის გასწვრივ და ხის ქვეშ".

სხვათაშორის, ეს ნაწარმოები ათწლიანი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ დაწერა.

რამდენადაც ვიცი, არასოდეს წამოსცდენია, რომ ეს ავბედითი მერლინი, შეიძლება, სწორედაც კრიტიკოსების მიერ შერისხული ნოველა ყოფილიყო.

1996 წლის ზამთარში აღმოვაჩინე ერთი, არც თუ წარმატებული, უსიუჟეტო ნოველა, რომელსაც ჯიუტად არ უნდოდა, რომ დღის სინათლე ეხილა.

ჯანდაბა!

მთელი ათი წელი დავხარჯე ამ საცოდავ თევზზე, მაგრამ ჩემს არც ერთ მეგობარ "ზვიგენს" არ დააკმაყოფილებს ასეთი ნადავლი.

ახლახანს სამოცდაცამეტი წელი შემისრულდა.

დედაჩემმა ორმოცდათორმეტი წელი იცოცხლა, მამაჩემმა _ სამოცდათორმეტი, ჰემინგუეიმ _ სამოცდაორი წელი.

რაღაც დიდხანს შემოვრჩი!

რა უნდა მექნა?

პასუხი: ამეჭრა თევზისათვის საუკეთესო ნაჭრები, დანარჩენი კი გადამეყარა.

და ეს გავაკეთე კიდეც 1996 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე.

გუშინ, 11 ნოემბერს, სამოცდათოთხმეტი წელი გადავაგორე.

სამოცდათოთხმეტი წელი!

იოჰან ბრამსმა მუსიკის წერას ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკში დაანება თავი.

საკმარისია!

არქიტექტორი მამაჩემი არქიტექტურამ დაასნეულა ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკში.

საკმარისია!

ამერიკელი ნოველისტების უმეტესობას ამ ასაკში უკვე დაწერილი ჰქონდა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

საკმარისია!

ჩემი ორმოცდათხუთმეტი წელი ძალიან დიდი ხნის წინ იყო.

სამწუხაროა!

ჩემი ყველაზე დიდი თევზი, რომელიც ასე შემაძრწუნებლად ყარს, "დროის რღვევაა". ვუწოდოთ მას "დროის რღვევა-1". მეორე, ანუ ის, რაც თქვენს წინაშეა, მომზადებულია საუკეთესო ხორცისაგან, შეკაზმული _ ფიქრებითა და შვიდთვიანი გამოცდილებით. ვუწოდოთ მას "დროის რღვევა-2".

მოსულა?

"დროის რღვევა-1"-ის გზავნილი იყო რღვევა, რომელმაც დრო-სივრცულ კონტინიუმში მიმდინარე დინება უეცრად შეაჩერა და იძულებული გაგვხადა, გაგვემეორებინა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მიმდინარე ქმედება, ნებისმიერი - კარგიც და ცუდიც.

ეს იყო “déjà vu” ათი უსასრულო წელი. სრული უაზრობა იყო ჩივილი ცხოვრების არარაობაზე. ახალი არაფერი ხდებოდა. იყო მხოლოდ ძველი.

ან იქნებ ყველა შეიშალა?!

მოგონებისას აღარაფერი იქნებოდა სათქმელი, თუ პირველ დეკადაში გულხელდაკრეფილი ვისხდებოდით. ვერაფრით შევძლებდით საკუთარი თავის, ან საყვარელი ადამიანის გადარჩენას, თუ პირველ ეტაპზე ჩავიჭერით.

წარმოვიდგინოთ, რომ დროის რღვევამ ყველა და ყველაფერი ათი წლით უკან დააბრუნა 2001 წლის 13 თებერვლიდან 1991 წლის 17 თებერვალში. შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ, იმავე გზით, ვბრუნდებოდით 2001 წელში. საოცარია, მაგრამ მაინც არასწორ გზას ავირჩევდით! იმავე ადამიანებზე დავქორწინდებოდით! ისევ ავიკიდებდით გონორეას!

მიხვდით?!

წარმოიდგინე, ერთი და იგივე!

ადამიანები მხოლოდ მაშინ ბრუნდებიან უკან, როცა დრო მიაყენებს დარტყმას. და მაშინ ისინი თავიანთი წარსულიდან მოვლენილი რობოტები აღარ იქნებიან. რა კარგად ამბობს ბებერი ფანტასტი, კილგორ ტრაუტი:

"როდესაც თავისუფალი ნება შეგვიპყრობს, ჩვენსავე ძალისხმევით გადაღობილი გზისაკენ აღარ გავიქცევით."

ტრაუტი სინამდვილეში არ არსებობს. ის ჩემი ალტერ-ეგოა.

"დროის რღვევიდან" მხოლოდ ის მონაკვეთები მოვნიშნე, სადაც მის თავგადასავალსა და ფიქრებზეა ლაპარაკი. ათასიდან რამდენიმე მოთხრობა გადავარჩიე, რომლებიც 1931-დან 2001 წლამდე, გარდაცვალებამდე, დაწერა.

ცხოვრების დიდი ნაწილი სიღარიბეში გაატარა, მაგრამ გარდაიცვალა ფუფუნებაში, ხანადუში, როდ_აილენდზე, მოხუცებულ მწერალთა თავშესაფრის, ერნესტ ჰემინგუეის სახელობის ოთახში.

ერთობ დამამშვიდებელია.

მისი ერთ_ერთი მოთხრობის მოქმედება კამელოტში, მეფე არტურის ზეობის დროს ვითარდება. სამეფო კარის ჯადოქარი წარმოსთქვამს მაგიურ სიტყვას და მრგვალი მაგიდის რაინდების ხელში, მოულოდნელად, გაჩნდება ტომფსონის ტყვიამფრქვევი, ორმოცდახუთკალიბრიანი ტყვიებით.

სერ გალაჰედი დაუდევრად, უგულისყუროდ ათვალიერებს უცნაურ მექანიზმს. შემთხვევით სასხლეტს გამოჰკრავს და ტყვია განმსჭვალავს წმინდა გრაილს. დედოფალ გვინივიერას კი შვეიცარიულ ყველად აქცევს.

როდესაც ტრაუტმა გააცნობიერა, რომ კიდევ ათმა წელმა განვლო, აღნიშნა, რომ ისიც და სხვებიც, ვალდებული არიან, იფიქრონ თავიანთი შემოქმედების ნაყოფიერებასა და ხარისხზე. და დაამატა:

"ჩემო ბატონო, მეტისმეტად ბებერი და გამოცდილი ვარ საიმისოდ, რომ ჩემივე ნებით ვითამაშო "რუსული რულეტი".

დიახ, მე "დროის რღვევა-1"-ის გმირი ვიყავი და ერთ ეპიზოდში გამოვჩნდი. ეს იყო 2001 წლის ზაფხულში, თავშესაფარში გამართული პიკნიკი. ექვსი თვე გავიდა მომდევნო ათწლეულის დასასრულიდან. ექვსი თვე მას შემდეგ, რაც ყველა თავისუფალმა ნებამ შეიპყრო.

იქ ვიყავი რამდენიმე გამოგონილ პერსონაჟთან ერთად, კილგორ ტრაუტის ჩათვლით. წილად მხვდა ბედნიერება, მომესმინა მივიწყებული ბებერი მწერლის მონათხრობი და გამერკვია იმ განსაკუთრებული ადგილების აღწერილობაც, რომელსაც ადამიანები იკავებენ სამყაროს ნივთთა კოსმიურ სქემაში.

ასე რომ, წიგნი, თუმცა, წინასიტყვაობის გარეშე, მზად არის.

დღეს 1996 წლის 12 ნოემბერია.

ჩემი ვარაუდით, გამოცემამდე, ანუ იმ დღემდე, როცა საბეჭდი მანქანის საშოდან გამოძვრება, ცხრა თვეა დარჩენილი.

რა მეჩქარება. ინდური სპილოების მაკეობის ხანგრძლივობა ორჯერ მეტია, მაგრამ ჩემო მეგობრებო და თანამოქალაქენო, ოპოსუმები რომ 12 დღეში მშობიარობენ!

წიგნში აღნიშნულია, რომ 2001 წლის პიკნიკზე ჯერაც ცოცხალი ვარ. ორმოცდამეექვსე თავში ვწერ, რომ ცოცხალი ვარ 2010 წელს. ხანდახან მივუთითებ, რომ 1996 წელში ვარ, ანუ იქ, სადაც ვარ კიდეც სინამდვილეში. ხან მგონია, დროის რღვევის მეორე დეკადაში ვიმყოფები.

ალბათ, შიფერი დამიცურდა.

1

მიწოდეთ ჯუნიორი. ჩემი ექვსი ზრდასრული შვილი_სამი ნაშვილები დისწული და სამიც საკუთარი, ზურგსუკან ასე მეძახის. ჰგონიათ, არ ვიცი. ხშირად მითქვამს, რომ მხატვრის მთავარი მისიაა, ხალხს საკუთარი სიცოცხლის დაფასება ასწავლოს. მეკითხებიან, ვიცნობ თუნდაც ერთ მხატვარს, ვინც ამას მიაღწია?

ვპასუხობ: "ბითლზმა შეძლო."

ვფიქრობ, სამყაროს ყველაზე განვითარებულ ქმნილებებს სიცოცხლე დამთრგუნველად ან რაღაც უფრო უარესად მიაჩნიათ. ყურადღების გამახვილება არ ღირს ექსტრემალურ სიტუაციებზე, როცა იდეალისტები თავიანთ სიცოცხლეს რაღაც იდეას სწირავენ.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ძვირფას ქალებს, დედას და დას, ელის, რომლებიც ახლა სამოთხეში არიან, სძულდათ სიცოცხლე და ამას ხშირად აღნიშნავდნენ. ელი განუწყვეტლივ წუწუნებდა:

"აღარ შემიძლია!..."

თავისი დროის ყველაზე მახვილგონიერმა ამერიკელმა, მარკ ტვენმა, სამყაროს აღმოუჩინა, რომ სიცოცხლე სტრესული მდგომარეობაა. აღმოჩენა ჩემს ასაკში, ანუ სამოცდაათი წლისამ გააკეთა. აი, რა დაწერა:

"მას შემდეგ, რაც გავიზარდე, არასოდეს მინატრია ჩემი გარდაცვლილი მეგობრების გაცოცხლება."

ეს ციტატა ამოღებულია ესსედან, რომელიც ტვენმა თავისი ქალიშვილის, ჯინის, უეცარი გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში დაწერა. იმ ადამიანთა შორის, ვისი დაბრუნებაც მარკ ტვენს არ სურდა, იყვნენ მისი ქალიშვილები: ჯინი, სიუზი, საყვარელი მეუღლე და საუკეთესო მეგობარი, ჰენრი როჯერსი.

ტვენი ვერ მოესწრო მეორე მსოფლიო ომს, მაგრამ რატომღაც მაინც დარწმუნებული იყო, რომ ცხოვრება საზიზღარია.

ცხოვრება მაცხოვრის სიტყვებითაც საშინელია: "ნეტარ არიან სულით გლახაკნი", "ნეტარ არიან თვინიერნი", და "ნეტარ არიან სიმართლისათვის დამშეულნი და მწყურვალენი".

ჰენრი დეივიდ სოროუმ დააკონკრეტა: "ადამიანები ნებისმიერ საშუალებას მიმართავენ უიმედო მდგომარეობიდან თავის დასაღწევად."

საინტერესოა, რატომ ვწამლავთ წყალს, ჰაერს, ნიადაგს, ვქმნით ჯოჯოხეთის მანქანებს. სიცოცხლეშივე ვიქმნით განკითხვის დღეებს. მრავალფეროვნებისათვის, გულწრფელად გეტყვით, რომ ყოველი ჩვენგანი მოუთმენლად მოელის სამყაროს აღსასრულს.

არქიტექტორი მამაჩემი, კურტ უფროსი, რომელიც კიბოთი იყო დაავადებული და რომლის ცოლმაც ამ შემთხვევიდან თხუთმეტი წლით ადრე თავი მოიკლა, პოლიციამ მოძრაობის წესების დარღვევისათვის გააჩერა. აღმოჩნდა, რომ მართვის მოწმობას ოცი წლის წინ გასვლოდა ვადა. და იცით, რა უთხრა ოფიცერს?

_ მესროლეთ!

აფრო-ამერიკელმა პიანისტმა, ფეტს უოლერმა, შეთხზა ფრაზა და თავისი არაჩვეულებრივი მუსიკით დატყვევებული, ხშირად იმეორებდა: "მესროლეთ, სანამ ბედნიერი ვარ!"

არსებობს შესანიშნავი გამოგონება_ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის მოხმარება ისეთივე ადვილია, როგორც სანთებელის, ტოსტერივით იაფია და შესაბამისად, ყველას შეუძლია, მოკლას მამაჩემი, ფეტსი, აბრაჰამ ლინკოლნი, ლენონი, მარტინ ლუთერ კინგი ან ქალი ბავშვიანი ეტლით. ეს კი, ტრაუტის თქმით, ნიშნავს, რომ "ცხოვრება ნაგავია."

2

წარმოიდგინეთ, რომ ერთი უდიდესი ამერიკული უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ფეხბურთის კლუბს გააუქმებს, ცარიელი სტადიონს კი ყუმბარების დამამზადებელ ქარხნად გადააკეთებს.

რაოდენ ჯანსაღი აზრია!

კილგორ ტრაუტის ჩრდილი.

ვგულისხმობ ჩემს "ალმა _ მატერს," ჩიკაგოს უნივერსიტეტს. 1942 წლის დეკემბერში, დიდი ხნით ადრე, სანამ იქ ჩავაბარებდი, მეცნიერებმა სტეგფილდის ტრიბუნებიდან ურანის ჯაჭვური რეაქცია გაუშვეს. მათ მიზანს ატომური ბომბის ძალის დემონსტრირება წარმოადგენდა. მაშინ ორ ქვეყანას ვებრძოდით _ გერმანიას და იაპონიას.

ორმოცდაცამეტი წლის შემდეგ, 1995 წლის 6 აგვისტოს, ჩემი უნივერსიტეტის ეკლესიაში, ჰიროსიმაში ატომური ბომბის აფეთქების ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა. მეც იქ ვიყავი.

მომხსენებელთა შორის იყო ფიზიკოსი ლეო სერენი. თავის დროზე ისიც მონაწილეობდა ბომბის შექმნასა და გაშვებაში. წარმოიდგინეთ, "ბოდიში" მოიხადა ამ მოვლენებში მონაწილეობისათვის. არადა, ვინმეს ხომ უნდა ეთქვა მისთვის, რომ ფიზიკოსი იყო და პლანეტაზე, სადაც ყველაზე ჭკვიან ცხოველებსაც კი სძულთ სიცოცხლე, არავის წინაშე არ უნდა მოიბოდიშო.

ახლა ეს წარმოიდგინეთ: ადამიანი ქმნის ჰიდროგენულ ბომბს პარანოიდული საბჭოთა კავშირისათვის. დარწმუნებული მის სარგებლიანობაში, ნობელის პრემიას იღებს. ეს პიროვნება, კილგორ ტრაუტის მოთხრობის ღირსეული პერსონაჟი, სინამდვილეში, ფიზიკოსი ანდრეი სახაროვი იყო. 1975 წელს მიიღო ნობელის პრემია, როცა უარი განაცხადა ატომური იარაღის გამოცდაზე. რა თქმა უნდა, თავისი ბომბი უკვე გამოცდილი ჰქონდა. მისი ცოლი პედიატრი იყო. რა კაცი უნდა იყო, რომ ატომურ ბომბს ქმნიდე, როცა ცოლი ბავშვების ექიმი გყავს?! ან რომელი ექიმი იცხოვრებდა აშკარად შეშლილ კაცთან?

"საყვარელო, მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი შენს სამსახურში?"

"ჰო, ჩემი ბომბი ჩინებულად მუშაობს. მართლა, როგორ არის შენი პატარა პაციენტი?"

1975 წელს ანდრეი სახაროვი წმინდანად შერაცხეს, მაგრამ დღეს ეს არავის ახსოვს. ცივი ომი უკვე დასრულდა.

სახაროვი დისიდენტი იყო და საზოგადოებას ატომური იარაღის აღკვეთისაკენ, თავისუფლებისაკენ მოუწოდებდა. ამიტომაც გააპანღურეს ჯერ მეცნიერებათა აკადემიიდან, შემდეგ მოსკოვიდან და ყველაზე ცივ და პირქუშ ადგილებში უკრეს თავი. ოსლოშიც კი არ გაუშვეს დაჯილდოებაზე. პრემია მისმა პედიატრმა ცოლმა, ელენა ბონერმა, მიიღო ქმრის მაგივრად. მაგრამ იქნებ დადგა დრო, ვაღიაროთ, რომ შეიძლება, ის, ან რომელიმე სხვა პედიატრი უფრო იმსახურებს სამშვიდობო ჯილდოს, ვიდრე ბომბის ნებისმიერი შემქმნელი, სულერთია, რომელ სახელმწიფოს ემსახურება.

ადამიანის უფლებები?

მითხარით, არ მოუფურთხებია ატომურ ბომბს ადამიანის უფლებებისათვის? და საერთოდ, ყველა ცოცხალი ქმნილების უფლებებისათვის?

1978 წლის ივნისში სახაროვი ნომინირებული იყო საპატიო დოქტორის წოდებაზე, სთეითენ აილენდის კოლეჯში, ნიუ-იორკში. სახელმწიფომ არც ამჯერად გაუშვა ჯილდოს მისაღებად. მის მაგივრად ამისი გაკეთება მე მთხოვეს. სახაროვის სიტყვა უნდა წამეკითხა. და აი, ისიც:

"არ უნდა უარყოთ ატომური ენერგია,"_ წავიკითხე როგორც რობოტმა.

რა თავაზიანი ვიყავი!

ეს ჩერნობილის ტრაგედიიდან ერთი წლის შემდეგ მოხდა. ტრაგედიიდან, რომელმაც გააუბედურა ჩვენი დამთხვეული პლანეტის სამხრეთევროპული ნაწილის ბავშვები. რადიაციამ დაავადა და კვლავაც დაავადებს. გამოდის, რომ პედიატრები უზრუნველყოფილი არიან სამუშაოთი!

მართალი გითხრათ, ჩერნობილის შემდეგ სახაროვის სულელურმა მოწოდებამ ხასიათი ისე გამომიკეთა, როგორც სკენეკდატის მეხანძრეების საქციელმა.

მეხანძრეებმა თავიანთ კოლეგებს აღტაცებით აღსავსე წერილი გაუგზავნეს. განსაკუთრებით იყო გაზგასმული მათი თავგანწირვის მნიშვნელობა საზოგადოების წინაშე.

ვაშა მეხანძრეებს!

ადამიანებს, რომელთაც დედამიწის უმაქნის ნაწილად მიიჩნევენ, ხანდახან წმინდანებივით ეპყრობიან. მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ვაშა მეხანძრეებს!

3

"დროის რღვევა_1"_ში კილგორ ტრაუტმა ატომურ ბომბზე გვიამბო. დროის რღვევის გამო ერთი ამბავი ორჯერ დაწერა. ათი წლით უკან გადავინაცვლეთ და ამიტომაც, მან, მე. თქვენ და ყველა დანარჩენმა ხელახლა გავიმეორეთ ის, რაც უკვე გაკეთებული გვქონდა 1991 წლის 17 თებერვლიდან 2001 წლის 13 თებერვლამდე.

ტრაუტი მეორედ დაწერის წინააღმდეგი არც იყო. რა მნიშვნელობა აქვს, რღვევამდე, თუ მას შემდეგ, ის მაინც თავჩაღუნული ჯღაბნის ყვითელ ფურცლებზე და შეუძლია, სრულიად უპრობლემოდ იცხოვროს ამგვარ ამაზრზენ ყოფაში.

მოთხრობას უწოდა "სასაცილო არაფერია" და მოისროლა. და ახლაც ისევე მოუწევს მისი გადაგდება, რადგან დრო უკან დაბრუნდა. 2001 წლის ზაფხულში, პიკნიკზე, როცა თავისუფალმა ნებამ ხელახლა შეგვიპყრო, ტრაუტმა გვიამბო, როგორ დააქუცმაცა თავისი მოთხრობები და ჩარეცხა უნიტაზში, ან სანაგვეში მოისროლა.

"ადვილად მომეცა, ადვილად წამერთვა", - განაცხადა.

სახელწოდება, "სასაცილო არაფერია", მოთხრობის ერთი პერსონაჟის მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან აიღო, რომელიც ამერიკული ბომბდამშენის, "ჯოს პრაიდის," საიდუმლო სამხედრო გასამართლებაზე წარმოთქვა. სასამართლო მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ, წყნარი ოკეანის კუნძულ ბანალუზე შედგა. თვითმფრინავი ჩინებულ მდგომარეობაში იყო და ბანალუზე, ანგარში, იდგა. სახელდებული იყო პირველი მფრინავის, ჯოი პეტერსონის დედის, ერთი უბრალო ექთნის, საპატივცემულოდ, რომელიც ტეხასში, კორპუს კრისტის საავადმყოფოში, მუშაობდა.

"პრაიდს" ორი მნიშვნელობა აქვს: სიამაყე და ლომების ოჯახი.

საქმე ამგვარად წარიმართა: როცა ერთი ბომბი ჰიროსიმაზე დაუშვეს, მეორე_ნაგასაკიზე, მესამე იოკოგამუს დაუმიზნეს. ანუ მიმართული იყო კიდევ რამდენიმე მილიონი "ყვითელი ნაბიჭვრის" გასანადგურებლად.

მაშინ სწორედ "პატარა ყვითელი ნაბიჭვრებად" მოიხსენიებდნენ "პატარა ყვითელ ნაბიჭვრებს."

რას იზამ,ომი იყო.

ტრაუტმა ასე აღწერა მესამე ბომბი: "მეწამული ფერის შობელძაღლი_უშველებელი, როგორც ბოილერი სკოლის სრდაფში".

მოცულობით ისეთი დიდი იყო, რომ ვერსად დაატიეს და თვითმფრინავზე ჩამოკიდეს. ასე რომ, ბომბს ერთი ფუტი აშორებდა ასაფრენი ბილიკისაგან.

როდესაც დანიშნულ ადგილს მიუახლოვდნენ, მფრინავმა ინტერკომში სათანადო განცხადება გააკეთა. დედამისი, რიგითი ექთანი, უთუოდ ცნობილი გახდებოდა მას შემდეგ, რაც მისი ვაჟი დავალებას შეასრულებდა. ჰიროსიმის დაბომბვამ თვალისმომჭრელი ბრწყინვალება შემატა ბომბდამშენ "ენოლა გეის" და იმ ქალსაც, ვისი სახელიც ერქვა. იოკოგამაზე კი ორჯერ მეტი მოსახლეობა იყო, ვიდრე ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ერთად.

ამგვარმა მსჯელობამ მფრინავი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მისი საყვარელი ქვრივი დედა რეპორტიორებთან ვერასოდეს იამაყებდა თავისი ვაჟით, რომელმაც დროის ესოდენ მცირე მონაკვეთში განხორციელებულ მასობრივ მკვლელობაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ტრაუტის მოთხრობამ გამახსენა მამიდაჩემი, ემა ვონეგუტი, იმ დროისათვის უკვე მიხრწნილობამდე ბებერი, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ იტანდა ჩინელებს. მისმა აწ განსვენებულმა სიძემ, კერფიუტ სტიუარტმა, წიგნების მაღაზიის, "სტიუართ ბუკ სტორის," მფლობელმა, პირდაპირ ამხილა და შეეცადა, აეხსნა, თუ რაოდენ უზნეობაა, გეზიზღებოდეს ამდენი ადამიანი ერთად.

რაც იყო, იყო!

"ჯოს პრაიდის" ეკიპაჟის წევრებმა მფრინავის მოსაზრება უდავოდ გაიზიარეს. ცაში მარტო იყვნენ. ესკორტიც კი ახლდათ, რადგან იაპონელებს თვითმფრინავები არ ჰყავდათ. ომი თითქმის დასრულებული იყო. ამ ფაქტს მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტაციით კონსტატირება სჭირდებოდა. პრინციპში, არ შევცდებით, თუ

ვიტყვით, რომ როდესაც "ენოლა გეიმ" ჰიროსიმა კრემატორიუმად აქცია, ომი დასრულდა კიდეც.

კილგორ ტრაუტის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ: "ეს აღარ იყო ომი. აღარც ნაგასაკის მოსვრა იყო ომი. უფრო რაღაც ამგვარი: "გმადლობთ, იანკებო, კარგი ნამუშევარია!" ეს იყო შოუ-ბიზნესი."

მოთხრობაში, "სასაცილო არაფერია", ტრაუტი წერდა, რომ მფრინავები, თვითმფრინავიანად, დავალების შესრულების დროს და მაშინაც, როცა ხალხს ასაფეთქებელი ნივთიერებების ჭურვებს ესროდნენ, თავს ღმერთებად რაცხდნენ_პატარა ღმერთებად. ერთი სიტყვით, ყოვლის მომსვრელი პატარა ღმერთები იყვნენ. ახლა კი, იმ შობელძაღლი თვითმფრინავით ცად აღზევებულებმა, დიდ ღმერთებად იგულვეს თავი, რაკი შეეძლოთ არამარტო განადგურება, არამედ შეწყალებაც.

ტრაუტიც მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, მაგრამ არც მფრინავი იყო და არც წყნარ ოკეანესთან ჰქონდა შეხება. ის ევროპაში ერთი უბრალო საველე არტილერიის ლეიტენანტი იყო, ცეცხლის მარეგულირებელი, განუყრელი ბინოკლოთა და რაციით. უკან განლაგებულ რაზმებს თეთრი ფოსფორის, სრაპნელის ადგილმდებარეობას უჩვენებდა და მაქსიმალურად ცდილობდა, დახმარებოდა.

ტრაუტი არ იყო შემწყალებელი და მოწყალებას თავის მოვალეობად არც მიიჩნევდა.

2001 წელს, ხანადუს მოხუც მწერალთა თავშესაფარში გამართულ პიკნიკზე დავინტერესდი, რას აკეთებდა მეორე მსოფლიო ომის წლებში, რომელსაც თავადვე უწოდა "კაცობრიობის თვითმკვლელობის მეორე უშედეგო მცდელობა."

სინანულის გარეშე მიპასუხა:" გერმანელი ჯარისკაცებისაგან ვაკეთებდი სენდვიჩებს გაგლეჯილ დედამიწასა და აფეთქებულ ცას შორის. გარშემო კი ბასრი სამართლებლების წვიმა მოდიოდა."

ერთი სიტყვით, "ჯოს პრაიდის" მფრინავმა თვითმფრინავი შემოატრიალა. მეწამულისფერი ბომბი ისევ ზედ ეკიდა. გეზი ბანალუსკენ აიღეს.

ტრაუტი წერდა: "ეს დედის საამებლად გააკეთა".

საიდუმლო სამხედრო სასამართლოზე, სადაც "ჯოს პრაიდის" საქმეს განიხილავდნენ, თავმოყრილ საზოგადოებას უეცრად სიცილის ტალღამ გადაუარა. მოსამართლემ ენერგიული კაკუნით მოუწოდა სიმშვიდისაკენ და მკაცრად განაცხადა: "სასაცილო არაფერია!"

სიცილი პროკურორის სიტყვამ გამოიწვია. წარმოიდგინეთ, რა დღეში აღმოჩნდებოდნენ ბაზაზე, როდესაც მეწამულისფერი ბომბი უკან დაბრუნდებოდა. შიშისაგან ქვეშჩასვრილები ფანჯრებიდან ხტებოდნენ. "ყველა ტიპის მანქანა მუშაობდა"-წერდა ტრაუტი. და ის-ის იყო, მოსამართლემ სიცილისგან აცრემლებული საზოგადოება დააწყნარა, რომ ოკეანემ პირი მოაღო და კუნძული,

საიდუმლო სასამართლოთი და ქალწულებრივად უმანკო ჭურვით, უფსკრულში შთანთქა.

4

როდესაც ერთმა არაჩვეულებრივმა გერმანელმა ნოველისტმა და გრაფიკოსმა, გიუნტერ გრაასმა, შეიტყო, რომ 1922 წელს დავიბადე, მითხრა: "ევროპაში შენი წლოვანების მამაკაცი აღარ დარჩა."

ჩემი და კილგორ ტრაუტის ომის დროს ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო ისევე, როგორც ჯეზი კოზინსკი, მილოშ ფორმანი და სხვანი. გამიმართლა, რომ დავიბადე აქ და არა იქ, და რომ დავიბადე თეთრკანიანი, საშუალო ამერიკელის, წიგნებითა და სურათებით სავსე დიდ ოჯახში, რომელიც აღარ არსებობს.

ამ ზაფხულს წავიკითხე პოეტ რობერტ პინსკის ლექსი, სადაც ბოდიშს იხდის, რომ სხვებზე უკეთესი ცხოვრება ჰქონდა.

მეც ასე უნდა მოვიქცე.

ბატლერის უნივერსიტეტის გამოსაშვებ საღამოზე საშუალება მომეცა, მადლობა გადამეხადა ჩემი დაბადების ადგილისათვის და განვაცხადე: "მე რომ ხელახლა ცხოვრების საშუალება მომცემოდა, ისევ ინდიანაპოლისის სამშობიაროში გავჩნდებოდი, ბავშვობას გავატარებდი ჩრდილოეთ ილინოისის 4365-ე ქუჩაზე, აქედან ათი კვარტლის მოშორებით და ვიქნებოდი ამ სკოლის კურსდამთავრებული. ხელახლა გავივლიდი ბაქტერიოლოგიური ანალიზის კურსებს ბატლერის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში."

ის, რაც დასავლურმა ცივილიზაციამ მოგვცა, კარგიც იყო და ცუდიც. ვგულისხმობ ყველაფერს: მუსიკას, ფინანსებს, მმართველობის სისტემას, არქიტექტურას, კანონს, მხატვრობას, სკულპტურას, მედიცინას, ისტორიას, სპორტს, ყველა სახის მეცნიერებას, წიგნებს, მასწავლებლებს და მიბაძვის ობიექტებს.

ადამიანები ისეთი ჭკვიანები არიან, დაჯერება გიჭირს, ისეთი უტვინოები არიან, დაჯერება გიჭირს, ისეთი უვარგისები_დაჯერება გიჭირს.

რჩევაც მივეცი. ვუთხარი: "ბიძაჩემმა, ალექს ვონეგუტმა, სადაზღვევო აგენტმა, რომელმაც ჰარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრა და ჩრდილოეთ პენსილვანიის 5033-ე ქუჩაზე

ცხოვრობდა, ბევრი რამ მასწავლა. ერთხელ მითხრა: "როდესაც საქმეები კარგად მიდის, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ."

გულისხმობდა უმნიშვნელო შემთხვევებს და არა განსაკუთრებულს.

მაგალითად, ერთ პაპანაქება დილას სვამ ლიმონათს, სადმე, ჩრდილში წამოწოლილი და მეზობელი საცხობიდან არომატული სურნელი შეგიღიტინებს. ან თევზაობ იმის მიუხედავად, დაიჭერ თუ არა რამეს. ან ისმენ, რა შესანიშნავად უკრავენ მეზობელ სახლში ფორტეპიანოზე.

ბიძია ალექსი მარწმუნებდა, რომ ისეთ მომენტებში, რასაც ახლა გულახდილობას უწოდებენ, აუცილებლად უნდა მეთქვა: "თუ ცხოვრება არ არის მშვენიერი, მაშ, რა არის ის?!"

კიდევ ერთ რამეში მიმართლებდა. ჩემი ცხოვრების პირველი ოცდაცამეტი წლის განმავლობაში, ამერიკის ინდუსტრიისათვის უმთავრესი იყო მოთხრობების ფურცელზე მელნით წერა. ცოლი და ორი შვილი მყავდა შესანახი,მაგრამ თავს მივეცი უფლება, დაზღვევისა და პენსიის გარეშე მიმეტოვებინა სამსახური_სარეკლამო აგენტის თანამდებობა "ჯენერალ ელექტრიკში." რას ვიზამდი, მოთხრობების გაყიდვით უფრო მეტი ფულის შოვნა შემეძლო. "TSEPC"-ის ყოველკვირეული ჟურნალები ძირითადად რეკლამაზე მუშაობდნენ, მაგრამ მაინც იბეჭდებოდა ხუთი მცირე მოთხრობა და რომანი ნაწილ-ნაწილ.

ეს ჟურნალები ყველაზე კარგად მიხდიდნენ. სხვა ჟურნალებიც გამოთქვავდნენ მოთხრობების გამოქვეყნების სურვილს, ოღონდ დამდგარიყავი და გეწერა. როცა ჩემს აგენტს მოთხრობებს ვუგზავნიდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ რომელიმე გაზეთი იყიდდა.

სკენეკდატიდან ნიუ-იორკში გადავედი ოჯახთან ერთად. სულ მალე ტელევიზია ადამიანის ცხოვრებაში დამკვიდრდა, რეკლამებმაც დატოვეს გაზეთები და ეკრანზე გადაინაცვლეს. ამდენად, დრო, როდესაც პატარა მოთხრობების ბეჭდვით ფულის კეთება შეიძლებოდა, წარსულს ჩაბარდა.

ჯერ სარეკლამო სააგენტოში ვმუშაობდი. გზა, კოდიდან ბოსტონამდე, გატკეპნილი მქონდა. შემდეგ "SAAB"-ის ავტოდილერი გავხდი. ბოლოს, მდიდარი მშობლების ტვინნაღრძობ შვილებს ინგლისურ ენას ვასწავლიდი უმაღლეს კერძო სკოლაში.

ჩემმა ვაჟმა, ექიმმა მარკ ვონეგუტმა, 1960 წელს შესანიშნავი წიგნი დაწერა იმის შესახებ, თუ როგორ გიჟდებოდა. მან ჰარვარდის სამედიცინო სკოლა დაამთავრა და მილტონში აკვარელით შესრულებული ნახატების გამოფენა მოაწყო.

რეპორტიორმა ჰკითხა, როგორ გრძნობდა თავს ცნობილი ადამიანის შვილის ამპლუაში. მარკმა უპასუხა:

როდესაც პატარა ვიყავი, მამაჩემი მანქანებს ყიდდა, რადგან კოდის კოლეჯში მასწავლებლად არ მიიღეს.

დროდადრო ისევ ვწერ პატარ-პატარა მოთხრობებს. ამ საქმეს ფული აღარ მოაქვს, მაგრამ ჩვეულება სიკვდილამდე მიჰყვება კაცს. ეს არის შესანიშნავი და ადვილი საშუალება, გაერიო ცნობილ ადამიანთა საზოგადოებაში. განათლებული

ხალხი ხშირად დიდი ენთუზიაზმით მსჯელობს რეი ბრედბერის, ჯ. დ. სელინჯერის, ჯონ ჩეევერის, ჯონ კოლიერის, ჯონ ო'ჰარას, შირლი ჯექსონის, ფლენერი ო'კონორის შემოქმედებაზე ან რომელიმე ჟურნალში დაბეჭდილ უკანასკნელ მოთხრობაზე.

ჩემს პატარა მოთხრობებს იდეურად ვხვეწ, ვაშალაშინებ. ჯერ კილგორ ტრაუტს ვაჩვენებ, შემდეგ კი რომანში ვსვამ.

გთავაზობთ სწორედ ასეთი ტიპის ახალ შესავალს "დროის რღვევა-1"-დან, სახელწოდებით, "დები_ B-36".

მატრიარქალურ პლანეტა ბუბუზე, ქრეიბ-ნებულაში ცხოვრობდა სამი და, გვარად B-36. ალბათ, დამთხვევა იყო, რომ დედამიწელთა ბომბდამშენს, რომელიც სინდისის აუმღვრელად ბომბავდა მშვიდობიან მოსახლეობას_თავის კორუმპირებულ ლიდერებთან ერთად, იგივე სახელი ერქვა. არადა, დედამიწა ძალიან შორს იყო ბუბუსგან და ერთმანეთის შესახებ არც არაფერი იცოდნენ.

იყო მეორე დამთხვევა: ბუბუელთა დამწერლობა ჰგავდა ინგლისურს. ანუ შეიცავდა ჰორიზონტალურ ხაზზე განლაგებულ ოცდაექვს ფონეტიკურ სიმბოლოს, ათ ციფრსა და პუნქტუაციის, სადღაც, რვა ნიშანს.

სამივე და უმშვენიერესი იყო, მაგრამ ტრაუტის თქმით, მხოლოდ ორნი_მხატვარი და მწერალი, იყვნენ პოპულარული. ყველას სძულდა მესამე_მეცნიერი. ძალიან მოსაწყენი ადამიანი იყო. შეეძლო, საათობით ელაპარაკა თერმოდინამიკაზე. ეს კიდევ რა, შურიანიც გახლდათ. ოცნებობდა, გამოეგონებინა ისეთი რამ, რომ მის ორ ხელოვან დას კატის კურკლად ეგრძნო თავი.

ტრაუტის თქმით, ბუბუელებს მთელს გალაკტიკაში ყველაზე უკეთ შეეძლოთ ადაპტირება. მათი მეტად განვითარებული ტვინი ისე იყო მოწყობილი, რომ დაპროგრამებით შეეძლოთ კეთებაც და შეგრძნებაც.

რა კარგია, არა?!

დაპროგრამება ხდებოდა ძალიან ადვილად, ყოველგვარი ქირურგიული ან ელექტრონული, მომაბეზრებელი ნეიროლოგიის ჩარევის გარეშე. და ეს ხდებოდა პრიმიტიულ სოციუმში, მხოლოდ ლაპარაკით, ლაპარაკით და ლაპარაკით. უფროსები უჩიჩინებდნენ პატარებს, როგორი გრძნობები ან ქცევები უნდა ჰქონოდათ ან რა იყო მისაღები. მოზარდების ტვინი ისე ვითარდებოდა, რომ საკუთარი ქმედებებით უდიდეს ნეტარებას განიცდიდნენ.

ეს არ იყო ურიგო იდეა. როცა განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, ბუბუელები მინიმალური სტიმულით კმაყოფილდებოდნენ და სიამოვნებას ღებულობდნენ ოცდაექვსი ფონეტიკური სიმბოლოთი, ათი ციფრითა და პუნქტუაციის რვა ნიშნით. ან კიდევ უფრო მარტივად_ჩარჩოში ჩასმული, სიგრძივ განლაგებული პიგმენტური ლაქებით.

როდესაც პატარა ბუბუელი კითხულობდა, უფროსი შეაწყვეტინებდა და გამომდინარე იქიდან, რაზე იყო წიგნში ლაპარაკი, ჰკითხავდა: "რა სამწუხაროა,

არა? პატარა გოგონას პატარა ძაღლი სანაგვე მანქანამ გაიტანა. ტირილი არ გინდა?"

სხვა მოთხრობის შესახებ უფროს ბუბუელს შეეძლო, ეკითხა: "ხომ სასცილოა? წარმოიდგინე, რომ თავისთავზე შეყვარებულ, ჯიბესქელ, ხანშიშესულ კაცს ფეხი დაუცდება ნიმ-ნიმის ქერქზე და საკანალიზაციო ხვრელში მოადენს ტყაპანს. არ გასკდები სიცილით?"

ნიმ-ნიმი ბანანას მსგავსი ბუბუური ხილია.

როდესაც ჯერაც ჩამოუყალიბებელი ბუბუელი სამხატვრო გალერეაში მიდის, ცდილობს, გაერკვეს: სინამდვილეში იცინოდა თუ არა ეს ქალი, გათხოვილი თუ იყო, შვილები თუ ჰყავდა, როგორ ექცეოდა მათ, სად აპირებდა წასვლას, ან უნდოდა კი წასვლა?

თუ ეს ნატიურმორტი იქნებოდა, უფროსი ბუბუელი ეტყოდა: "რა მადის აღმძვრელად გამოიყურება, არა? იფ,იფ,იფ!"

დიდაქტიკის ეს შესანიშნავი მაგალითები კილგორ ტრაუტს ეკუთვნის.

უმცროსი ბუბუელის ტვინი მიკროჩიპებით იყო მოწყობილი. ჩვენ, დედამიწელები, ამას წარმოსახვას ვეძახით. და რაკი მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოსახვა, დიახაც რომ, ჰქონდა, ორი ხელოვანი და ძალიან უყვარდა. ბოროტ დასაც ჰქონდა წარმოსახვა, მაგრამ არა შემოქმედებითი. მას არც წიგნების კითხვა უყვარდა და არც გალერეაში სიარული. ბავშვობაში, თავისუფალ დროს, იქვე, მეზობლად მდებარე, სულიერად დავადებულთა თავშესაფრის ეზოში ატარებდა. მისი საქციელი ყველას კეთილშობილურად მიაჩნდა. გიჟებმა თერმოდინამიკა შეასწავლეს. სიყმაწვილეში, მათთან თანამშრომლობის ჟამს, გამოიგონა ტელეკამერა, გადამცემი და მიმღები. შემდეგ თავის მდიდარ დედიკოს ფული გამოართვა და შექმნა ეშმაკის მანქანა, რომელმაც წარმოსახვას ფასი დაუკარგა.

ბევრი ფული იშოვა, მაგრამ ყველაზე დიდ სიამოვნებას მაინც ის ანიჭებდა, რომ მისი უფროსი დები თავს კატის კურკლად გრძნობდნენ.

ბუბუზე აღარავის სჭირდებოდა წარმოსახვა, რადგან იცოდნენ, რომ თუ ღილაკზე თითს დააჭერდი, ნახავდი ყველაფერს, რასაც მოისურვებდი.

ახალგაზრდები გაკვირვებული უყურებდნენ დაბეჭდილ ფურცლებს, ნახატებს და არ მალავდნენ გაოცებას, თუ როგორ შეეძლოთ ადრე ისეთი უბრალო, შეიძლება ითქვას, მკვდარი ნივთებით, თავის შექცევა.

მეცნიერ დას ნიმ-ნიმი ერქვა. ეს სახელი მშობლებმა დაარქვეს, მაგრამ რას წარმოიდგენდნენ, როგორი მწარე იქნებოდა ის დამპალი!

ტელევიზია არაფერია იმასთან შედარებით, რაც მერე გამოიგონა. ერთი კი ფაქტია_პოპულარობა ვერ მოიპოვა. მოგვიანებით შექმნა: მანქანა, კომპიუტერი, მავთული, ტყვიამფრქვევი, ნაღმი და ა. შ.

დიდი საზიზღარი ვინმე იყო!

ახალი თაობა წარმოსახვის გარეშე გაიზარდა. მათ არ ჰქონდათ გემოვნება და ვერ ხვდებოდნენ, რის სანაცვლოდ და რას სთავაზობდა ნიმ-ნიმი.

წარმოსახვის გარეშე ერთმანეთის სახეებზე გულისამაჩუყებელი ისტორიების ამოკითხვა არ შეეძლოთ. კილგორ ტრაუტის თქმით, ამის შემდეგ ბუბუელები მთელს გალაქტიკაში ყველაზე დაუნდობელი ხალხი გახდა.

6

2001 წელს, პიკნიკზე, ტრაუტმა განაცხადა, რომ ცხოვრება აბსურდულია, მაგრამ ჩვენი ტვინი ისეა მოწყობილი, რომ სამარცხვინო შეცდომები და ტაკიმასხარაობა სრულიად გარდაუვალია. ადამიანმა ამ აქსიომას მისივე შექმნილი სიწმინდები დაუმატა. ალბათ, მხედველობაში ჰქონდა პიკნიკი ვარსკვლავიანი ცის ქვეშ.

"თუ ეს მშვენიერი არ არის, მაშ რა არის?"_ თქვა მან.

ზღვის მცენარეებში მოხარშული კაკლის გული, ასთაკვასა და ლიფსიტებთან ერთად, ნამდვილად ღვთაებრივია.

ბოლოს, დაუმატა: "განა ამ საღამოს ყველა ქალი ანგელოზისებრ მშვენიერი არ არის?!"

ის მართლაც ტკბებოდა კაკლის გულითა და ქალთა საზოგადოებით. კაკლის ჭამა არ შეეძლო, რადგან ზედა ყბის პროტეზი არც თუ მორგებულად ედო პირში. არც ქალებთან შეეძლო ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარება. ერთადერთ სასიყვარულო რომანში, "მაკოცე კიდევ ერთხელ", წერს:" ლამაზი ქალი ერთი წუთითაც ვერ იქნება ისეთი, მის სილამაზეს რომ შეეფერება."

რომანის იდეა იყო: "კაცები ბოთეები არიან, ქალები_ფსიქოპატები.´"

ადამიანის ქმნილებებს შორის ყველაზე დიდ სიწმინდედ თეატრი

მიმაჩნია. ტრაუტმა ამას "დროის ხელოვნური რღვევა" უწოდა. სანამ

ადამიანები გაიგებდნენ, რა იყო დროის რღვევა, მათ ის გამოიგონეს. ეს სრული ჭეშმარიტებაა.

მსახიობებმა წინასწარ იციან, რა უნდა თქვან. კეთილად

დამთავრდება ამბავი, თუ ცუდად. და იციან იქამდე, სანამ ფარდა

აიწევა. სხვა არჩევანი არა აქვთ. ასე რომ, მომავალსაც თავისი

ჯვარი აქვს.

როდესაც დროის რღვევამ 2001 წლიდან 1991 წელში გადაგვისროლა, ჩვენს მიერ განვლილი ათი წელი, მომავლად აქცია. ამიტომაც, როდესაც დადგება დრო, გვემახსოვრება ყველაფერი, რაც გავაკეთეთ. დარღვეული დრო გვაიძულებს, ყველაფერი თავიდან გავიმეოროთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შოუ უნდა გაგრძელდეს!

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე დროის ერთმა ძველებურმა რღვევამ მოახდინა ტორნტონ უაილდერის "ჩვენს ქალაქში", რომელიც ხუთჯერ თუ ექვსჯერ ვნახე და არ მომბეზრებია. ამ ზაფხულს ეს სენტიმენტალური შედევრი ჩემი ცამეტი წლის ქალიშვილის, ლილის, სკოლაში დადგეს. მას მკვდრის როლი მისცეს გროვერს_კორნერსის სასაფლაოდან. ამ წარმოდგენამ ლილი და მისი მეგობრები 1901 წლის მაისში გადაისროლა.

დროის რღვევა!

ისინი რობოტები იყვნენ უაილდერის მიერ გამოგონილ წარსულში იქამდე, სანამ უკანასკნელ სცენაში , ერთ_ერთი გმირის, ემილის, გასვენებისას, ფარადას დაუშვებდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს უკან, 1996 წელში, დაბრუნება. მხოლოდ მაშინ შეეძლოთ, გადაეწყვიტათ, რა გაეკეთებინათ. მაშინღა დაუბრუნდათ თავისუფალი ნება.

სანამ ლილი სიკვდილის სცენას თამაშობდა, ფიქრებში წავედი.წარმოვიდგინე, რომ როდესაც ის სკოლას დაამთავრებდა, სამოცდათვრამეტი წლის ვიქნებოდი, კოლეჯს_ოთხმოცდაორის და ა.შ.

ეს მომავლის მოგონებებია.

გავიხსენოთ მომავალი.

ყველაზე მეტად პიესის გმირის, ემილის, უკანასკნელმა სცენამ, მისმა სიტყვებმა შემძრა: "მშვიდობით მსოფლიოვ, მშვიდობით გროვერს_კორნერს, დედავ და მამავ, მშვიდობით საათის წიკწიკო, დედას მზესუმზირებო, საჭმელო და ყავა, ახალგაუთოებულო ტანსაცმელო და ცხელო აბაზანავ, ძილო და ღვიძილო! ო, დედამიწავ, შენ მეტისმეტად მშვენიერი ხარ იმისათვის, რომ მათ ეს გაიგონ! გრძნობენ კი ადამიანები სიცოცხლეს, სანამ ცოცხლები არიან? ყოველწუთს?"

რამდენჯერაც ამ სიტყვებს მოვისმენ, იმდენჯერ ემილიდ გადავიქცევი. ჯერ არ მოვმკვდარვარ, მაგრამ ეს ადგილი ისეთივე დაცული და უბრალო, მარტივი და სასიამოვნოა, როგორც გროვერს_ კორნერსი, თავისი მოწიკწიკე საათით, დედითა და მამით, ცხელი აბაზანით, ახალგაუთოებული ტანსაცმლითა და ყველაფრით, რასაც მე, ეშმაკმა უწყის, რამდენი ხნის წინ დავემშვიდობე.

ეს იყო ჩემი ცხოვრების პირველ შვიდ წელიწადში, იქამდე, სანამ მეორე მსოფლიო ომი და დიდი დეპრესია ყველაფერს ტალახში ამოსვრიდნენ.

ამბობენ, სიბერეს ყველაზე ადრე ფეხებითა და თვალებით გრძნობენო. სიცრუეა. პირველად მანქანის გაჩერება გიჭირს.

აღმოვაჩინე, რომ ჩემთვის ვბუტბუტებ ციტატებს პიესებიდან, რომლებიც აღარავის აინტერესებს. სასაფლაოს მსგავს სცენებს "ჩვენი ქალაქიდან", პოკერის თამაშის ეპიზოდს_ტენესი უილიამსის პიესიდან, "ტრამვაი "სურვილი", ან ვილი ლომანის ცოლის სიტყვებს ტრაგიკულ და გალანტურ ამერიკულ მკვლელობაზე, არტურ მილერის "ნოქარის სივდილიდან".

მან თქვა:"ყურადღება ანაზღაურებას საჭიროებს."

"ტრამვაი "სურვილში", სიძის მიერ გაუპატიურებული ბლანშ დუბიუსი ამბობს: "მე ყოველთვის უცხო ადამიანების სიკეთეზე ვიყავი დამოკიდებული."

ეს სიტყვები, სიტუაციები, ადამიანები, ჩემი ყმაწვილკაცობის ორიენტირები არიან დღემდე, 1996 წლის ზაფხულამდე.

როდესაც ეს სპექტაკლი პირველად ვნახე, ვიგრძენი, როგორ გვიპყრობდა თეატრი.

ასეთი განცდები არ მექნებოდა, ტელევიზორში რომ მენახა. ეს ძალიან ჰგავს ფეხბურთის მატჩის ყურებას ორშაბათს, საღამოს, ჩიფსების ჭამისას.

ტელევიზიის განვითარების საწყის ეტაპზე, როდესაც სულ რამდენიმე არხი გვქონდა, ამ საშინელ ელექრტომილში კარგი დრამა რომ გვენახა, შეიძლება, კიდევაც გვეგრძნო ჩვენი თანამონაწილეობა, თუნდაც შინ მარტო ვყოფილიყავით. პროგრამები ცოტა იყო და სავარაუდოდ, ნათესავ-მეგობრებიც იმავე გადაცემებს უყურებდნენ, რასაც ჩვენ.

მაშინ ხომ ტელევიზორი საოცრებად მიგვაჩნდა!

შეგვეძლო, ერთმანეთთან დაგვერეკა და გვეკითხა: "უყურე იმას?" შემდეგ კი პასუხი მოგვესმინა: "აბა რა!"

7

არაფერში გავცვლიდი დიდ დეპრესიას და მეორე მსოფლიო ომს. პიკნიკზე ტრაუტი ამტკიცებდა, რომ ნაცისტების ფორმის გამო, ეს ომი, სხვა ომებისაგან განსხვავებით, სამარადჟამოდ იცოცხლებს. არ მოსწონდა ჩვენი გენერლების ფორმა, რომელიც მაშინ ეცვიათ, როცა, ნავთობის გამო მესამე სამყაროს რომელიმე ქვეყნის დანგრევას ლამობენ.

"ვერ წარმომიდგენია ადგილი, სადაც ამგვარ სადღესასწაულო პიჟამოებში გამოჯგიმული ჯარისკაცები ამაზე უფრო დამამცირებელი სანახავები იქნებოდნენ. სამხილების გათვალისწინებით, მესამე მსოფლიო ომი ესპანურ ომლეტს დაემსგავსა."

ტრაუტმა მკითხა, ჩემი რომელიმე ნათესავი თუ დაიჭრა ომში. რამდენადაც ვიცი, მხოლოდ ერთი_დიდი პაპა, ემიგრანტი, რომელმაც სამოქალაქო ომის წლებში ფეხი დაიზიანა და შემდეგ ლუდის მეწარმე გახდა. ის საკმაოდ თავისუფლად აზროვნებდა რელიგიასთან მიმართებაში_ვოლტერის, თომას ჯეფერსონის, ბენჯამენ ფრანკლინისა და სხვათა, ან ტრაუტისა და ჩემს მსგავსად.

ტრაუტს ვუთხარი, რომ პეტერ ლიებერის ინგლისურ-ამერიკულ დანაყოფში გერმანელი ათეისტები იყვნენ და სულიერი სიმხნევისათვის რელიგიურ ლიტერატურას კითხულობდნენ. ტრაუტმა ბიბლიის თავისებური ვერსია მიამბო. საბედნიეროდ, მაგნიტოფონი მქონდა და ჩავიწერე.

_შეწყვიტე ჭამა და ყურადღებით მომისმინე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია,_შემდეგ ზედა ყბის პროტეზის შესასწორებლად შეჩერდა, რადგან აშკარად ჩამოვარდნის საფრთხე შეექმნა. ტრაუტი ჩემსავით ცაცია იყო. მეც ცაცია ვიყავი, სანამ

მშობლები გადამაჩვევდნენ. ცაციები არიან ჩემი ქალიშვილები_ედიტი და ლილი. ედიტს მოფერებით სათლს ვეძახით, ლილის-ბოჩოლს.

_დასაწყისში იყო არაფერი. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით,არაფერი,_თქვა მან,_მაგრამ არაფერი გულისხმობს, რომ რაღაც მაინც არის, ანუ_მაღლა და დაბლა, მწარე და ტკბილი, კაცი და ქალი, ბედნიერება და უბედურება. მეგობრებო, არ მინდოდა ამის თქმა, მაგარამ ეს არის ერთგვარი მცირედი იმპლიკაცია უშველებელში. თუ არ მოგწონთ აქ ყოფნა, წადით იქ, საიდანაც მოხვედით. პირველი, რაც არაფრისგან წარმოიშვა, იყო ორი არსება_ღმერთი და სატანა. ღმერთი მამრი იყო, სატანა-მდედრი. მათ აღიარეს ერთმანეთი და ამიტომ თანასწორი იყვნენ. ეს თავისთავად არაფერია, მაგრამ იმპლიკაციაა. ძალა უძლურებით იყო გაწონასწორებული. ღმერთმა შექმნა სასუფეველი და დედამიწა. დედამიწა იყო უფორმო, ცარიელი, ძალიან ღრმა ქვესკნელით. ღმერთი მოძრაობდა ზემოთ, წყლის ზედაპირზე. სატანასაც შეეძლო ეს, მაგრამ სისულელედ მიაჩნდა და არც არაფერს ამბობდა. სატანა ძალიან გაღიზიანა ღმერთის სიტყვებმა: "და იქმნა ნათელი," მაგრამ განსაკუთრებით განერვიულდა, როცა მართლა იქმნა ნათელი.

გაოცდა. არ იცოდა, რამდენად შორს წავიდოდა ღმერთი და გაიფიქრა: "ხომ არ ჰგონია, რომ დავეხმარები."

შემდეგ ყველაფერი აირია. ღმერთმა შექმნა ქალი და კაცი_თავისი და სატანის მოდელით. ეს მშვენიერი პატარა მინიატურები ედემის ბაღში გაუშვა და ინტერესით ადევნებდა თვალყურს. ეს იყო კოლიზეუმისა და რომაული თამაშების მსგავსი რამ. სატანას არ შეეძლო იმის გაკეთება, რაც გააკეთა ღმერთმა, მაგრამ მისი თოჯინებისათვის ცხოვრების შემსუბუქება კი არ გაუჭირდებოდა. მიხვდა, რომ ეს ცოცხალი არსებები ან მოწყენილობით დაიხოცებოდნენ, ან შიშით. ამიტომ ვაშლი ისეთი იდეებით გაავსო, რომელთაც ადამიანის გართობა შეეძლოთ. ეს იყო ბანქოს და ზარის თამაში, ღვინის, ლუდის, ვისკის დამზადების რეცეპტები, დეტალური ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა შექმნა გიჟური და სექსუალური მუსიკა და სიმღერები, როგორ შეუკურთხო, როცა ქვას ფეხს წამოჰკრავ, და რაც მთავარია, ასწავლიდა სექსუალურ თამაშებს, შეწყვილების წესებს. სატანამ ვაშლი ევას გაუგზავნა. ევამ ჯერ თვითონ იგემა, შემდეგ ადამს აჭამა და მაშინვე შეწყვილდნენ. გარწმუნებ, რომ ყველამ, ვინც სატანის იდეები გაიზიარა, სავალალოდ, მალევე იწვნია კატასტროფული შედეგები.

ტრაუტი არც ნარკომანი იყო და არც სექსუალური მანიაკი. ის მხოლოდ წერდა:

_სატანას დახმარება უნდოდა და შეეძლო კიდეც. მის სამკურნალო საშუალებებს იმაზე მეტი გვერდითი მოვლენები როდი აქვს, ვიდრე ყველაზე ცნობილ ფარმაკოლოგიურ საშუალებებს.

სატანის რეცეპტით დამზადებული მათრობელა სითხის გვერდითი მოვლენები ძვირად დაუჯდათ გამოჩენილ ამერიკელ მწერლებს. "დროის რღვევა_1"-ში

აღვწერე მოხუც მწერალთა თავშესაფარი, სახელწოდებით "ხანადუ", სადაც ყოველი სტუმრის ოთახი ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატორის სახელს ატარებდა. ერნესტ ჰემინგუეისა და იუჯინ ო’ნილის სახელობის ოთახები მეორე სართულზე იყო, სინკლერ ლუისისა_მესამეზე, ჯონ სტეინბეკის სახელი კი თავლას უწოდეს.

კილგორ ტრაუტმა, ხანადუში ჩასვლიდან ორი კვირის შემდეგ, როგორც კი თავისუფალმა ნებამ შეიპყრო, წამოიძახა: "მელან-ფურცლის ეს გმირები_ყველანი ლოთები იყვნენ!"

აზარტულმა თამაშებმა დაღუპეს უილიამ საროიანი. ჩემს დიდად სანატრელ მეგობარს, ელვინ დევისსაც, თამაშმა და არაყმა მოუთავა ხელი. ერთხელ ელს ვკითხე, უბრალოდ, მაინტერესებდა. როდის მიიღო თამაშისგან ყველაზე დიდი სიამოვნება. ერთი შემთხვევა გაიხსენა. როდესაც მთელი თანხა პოკერის ერთ პარტიაში დაკარგა, მაშინვე მიატოვა თამაში და ფულის საშოვნელად გაემართა. ნაწილი მეგობრებს გამოართვა, ნაწილი ლომბარდიდან აიღო. ამის შემდეგ ისევ სათამაშო მაგიდას დაუბრუნდა და წარმოთქვა მაგიური სიტყვები: "ვთამაშობ!"

აწ გარდაცვლილმა ბრიტანელმა ფილოსოფოსმა, ბერტრან რასელმა, აღიარა, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო ძალიან ბევრი მეგობარი დაკარგა. ზოგ შემთხვევაში, ეს იყო სასმელი, რელიგია ან ჭადრაკი.

კილგორ ტრაუტმა სხვა რამ აიკვიატა _ ჰორიზონტალურ ხაზზე განლაგებული იდიოსინკრეტული გეგმები, ოცდაექვსი ფონეტიკური სიმბოლო, პუნქტუაციის რვა ნიშანი და ათი ციფრი. თქვენს მეგობრად თუ იგულვებდით, იმედი აუცილებლად გაგიცრუვდებოდათ, რადგან მისგან ზუსტად იმავეს მიიღებდით, რასაც ცარიელი ორმოსგან.

ორჯერ ვიქორწინე. ჩემი ორივე ცოლი, ჯეინი, რომელსაც დავშორდი და ამჟამინდელი_ჯილი, ამბობენ, რომ ტრაუტი გაჭრილი ვაშლივით მგავს.

დედაჩემს სიგიჟემდე იზიდავდა ფუფუნება, მოახლეები, შეუზღუდავი ანგარიშები, გრანდიოზული წვეულებები, მოგზაურობა პირველი კლასით. შეიძლება ითქვას, რომ დიდი დეპრესიის სიმპტომებით იტანჯებოდა და მეტისმეტად მანერული იყო. მანერულია ადამიანები, რომელიც ფიქრობს, რომ სამყაროში მიმდინარე ცვლილებების გამო საზოგადოება მათ პატივს არ სცემს. ეკონომიკური კრიზისი, ახალი ტექნოლოგიების შემოჭრა, სხვა ქვეყნების დაპყრობა ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის ინტერესების ტყვეობა_ეს ყველაფერი უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე იტყოდე: "ჯეკ რობინსონი."

მოთხრობაში, "როგორ განიცადა ამერიკულმა ოჯახმა კატასტროფა პლანეტა პლუტოზე", ტრაუტი წერდა: "ისე არაფერი კლავს სიყვარულს, როგორც აღმოჩენა, რომ შენი რომელიმე საქციელი სასაცილო იყო."

2001 წელს, პიკნიკზე, განაცხადა:" კულტურისა და საზოგადოების გარემოცვისგან დამოუკიდებლად რომ შემძლებოდა ცხოვრება, ამდენჯერ არ მეტკინებოდა გული."

"დროის რღვევა-1"-ში ვთქვი, რომ ტრაუტმა თავისი მოთხრობა, "დები B-36", ჩააგდო ნაგვის ყუთში, რომელიც ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემიის წინ, დახვეულ მავთულზე მიბმულ სახანძრო წყალის გამანწილებელთან იდგა.Eეს იყო ჯანდაბაში, ძალიან შორს, 155-ე ქუჩაზე. და ეს მოხდა 2000 წელს, შობის დილას, დროის რღვევამდე ორმოცდათერთმეტი დღით ადრე, როდესაც სამყარომ 1996 წელში გადაინაცვლა.

როგორც აღვნიშნე, აკადემიის წევრები მოქმედებდნენ ძველმოდურად, ძველი მეთოდებით, კომპიუტერის გარეშე, ანუ აკულტურულები იყვნენ და ჩამოჰგავდნენ ორ ხელოვან დას, მატრიარქალური პლანეტა "ბუბუდან".

ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემია მართლა არსებობს. სინამდვილეში ის იქ არის, სადაც მოვათავსე "დროის რღვევა-1"-ში. იქვეა წყლის გამანაწილებელი ონკანი, ბიბლიოთეკა, მისაღები ოთახები და უზარმაზარი საკონფერენციო დარბაზი.

1916 წელს მიღებული კანონის თანახმად, აკადემიას არ უნდა ჰყავდეს ორას ორმოცდაათ წევრზე მეტი. მათ შორის, შეიძლება, ირიცხებოდეს ამერიკის რიგითი მოქალაქე, ნოველისტი, პოეტი, დრამატურგი, ისტორიკოსი, ესსეისტი, კრიტიკოსი, კომპოზიტორი, მხატვარი, არქიტექტორი ან მოქანდაკე. მათი რიგები რეგულარულად მცირდება დიდი მცელავის მიერ. ცოცხლად დარჩენილები კი ფარული კენჭისყრით ინაწილებდნენ თავისუფალ ადგილებს. აკადემიის დამაარსებლებს შორის იყვნენ ძველმოდური მწერლები: ჰენრი ადამსი, უილიამ და ჰენრი ჯეიმსები, სამოელ კლემენსი და ძველმოდური კომპოზიტორი, ედუარდ მაკდაუელი. მათი აუდიტორია ძალიან მცირე იყო_საკუთარი გონი_ერთადერთი, რისი მეშვეობითაც მუშაობდნენ.

"დროის რღვევა-1"-ში აღვნიშნე, რომ 2000 წლისათვის ასეთი ოსტატები ისეთივე უსარგებლო და ძველმოდურები აღმოჩნდებოდნენ, რამდენად ძველმოდურადაც გვეჩვენება ქარის წისქვილი, ახალ ინგლისში.

აკადემიის დამაარსებლები ტომას ელვა ედისონის თანამედროვეები იყვნენ. სხვა სიკეთესთან ერთად, მან გამოიგონა ხმის ჩამწერი აპარატი და მოძრავი სურათები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომამდე სასაცილო გვეჩვენებოდა, რადგან ჩვენი ცხოვრების უბადრუკ კარიკატურებს გვაგონებდა. 1923 წელს აცადემია კომპანია "მიდ ენდ უაითის" მიერ აშენებულ და ფილანტროპ არჩერ მილტონ ჰანთიგტონის მიერ დაფინანსებულ შენობაში გადაბარგდა, სადაც დღემდე მდებარეობს. იმავე წელს, ამერიკელმა გამომგონებელმა, ლი დე ფორესტმა, სურათებზე ხმის დადების ტექნოლოგია შექმნა. "დროის რღვევა-1"-ში აღწერილი იყო სცენა მონიკა პეპერის, აკადემიის გავლენიანი მდივნის ოთახში. ეს იყო 2000 წლის შობის დილა, როდესაც კილგორ ტრაუტმა "დები BB—36", დროის რღევამდე ორმოცდათერთმეტი დღით ადრე, ნაგავში მოისროლა.

ქალბატონი პეპერი, პარალიზირებული კომპოზიტორის, ზოლტან პეპერის, ცოლი, ძალიან ჰგავდა ჩემს უფროს დას, ელის, რომელსაც სიცოცხლე სძულდა. ელი

დიდი ხნის წინ, 1958 წელს გარდაიცვალა. კიბოთი. მაშინ ის ორმოცდაერთი წლის იყო, მე კი_ოცდათექვსმეტის. საგადასახადო ქვითრები და მევალეები სიკვდილამდე არ ასვენებდნენ, ისიც და მონიკაც ლამაზები იყვნენ. ქერა ქალი, თავისთავად, მშვენიერია, მაგრამ ამასთან, ძალიან მაღლები იყვნენ - ექვსი ფუტისა და ორი დუიმის სიმაღლის. აკულტურულობა თან სდევდათ, რადგან დედამიწაზე ვერვინ იტყვის, რაში გვჭირდება ასეთი მაღალი ქალები. ორივე უბედური იყო. ელი ცოლად გაჰყვა ყმაწვილს, რომელმაც ბიზნესს მთელი ქონება გადააგო. მონიკა პეპერი კი კოშკიდან აუზში გადაეშვა და შემთხვევით თავის ქმარს დაეცა. საბრალოს ხერხემალი დაუზიანდა და საბრალო წელს ქვემოთ მოწყდა.

ელი მხოლოდ ერთხელ მოკვდა.

მონიკა კი, დროის რღვევის გამო, მეორედ დაეცა ქმარს.

2000 წელს, შობის დამდეგს, მონიკა და ზოლტანი მდივნის ოთახში საუბრობდნენ. ზოლტანი ტიროდა და თან იცინოდა. ორივე ორმოცი წლის იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და შვილები არ ჰყავდათ. როგორც ჩანს, ზოლტანის ჩხარუნა მწყობრიდან იყო გამოსული. ამიტომაც ტიროდა და იცინოდა. უფრო კი, მეზობლის სმენადაქვეითებული ბავშვის გამო. ამ ბავშვმა, კომპიუტერული პროგრამა "ვოლფგანის" დახმარებით, სიმებიანი კვარტეტი დაწერა ბეთხოვენის სტილში. ბავშვის მამამ ზოლტანი არ მოასვენა. აინტერესებდა, რამდენად ღირებული იყო მისი შვილის ნაშრომი.

ზოლტანი ისედაც გაღიზიანებული იყო თავისი პარალიზებული ფეხებისა და უვარგისი ჩხარუნის გამო. თანაც, მისმა ძმამ, არქიტექტორმა ფრენკმა, ერთი თვის წინ თავი მოიკლა.

დიახ, ფრენკ პეპერს დროის რღვევა უკან დააბრუნებს და ისიც, უკვე მეორედ, თავისი სამი შვილის წინ ხელახლა გაიხვრეტს თავის ქალას.

აი, რა მოხდა: ფრენკი აფთიაქში წავიდა პრეზერვატივის, საღეჭი რეზინის ან სხვა რაღაცის საყიდლად. ფარმაცევტმა უთხრა, რომ მისმა თექვსმეტი წლის გოგონამ, მომავალმა არქიტექტორმა, კოლეჯის მიტოვება გადაწყვიტა, რადგან იქ სწავლას დროის უქმად დაკარგვად მიიჩნევდა. მან საბავშვო გასართობი ცენტრი დააპროექტა სოციალურად შეჭირვებული რაიონებისათვის. ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია პროგრამა "პალადიომ", რომელიც სკოლამ თავისი დებილი სტუდენტებისათვის შეიძინა. ფრენკი კომპიუტერულ მაღაზიაში მივიდა და დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელი იყო პროდუქციის გასინჯვა მის შეძენამდე. გულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, ეჭვობდა, რომ მისი გაქანების ადამიანს ეს რამეში დაეხმარებოდა. არა და, იქვე, მაღაზიაში, "პალადიომ" ფრენკის ყველა ბრძანება შეასრულა. სამსართულიანი ავტოფარეხიც კი დაუპროექტა თომას ჯეფერსონის სტილში. ამაზე უაზრო პროექტს ფრენკი ვეღარ მოიფიქრებდა. დარწმუნებული იყო, რომ პროგრამა მოთხოვნას ვერ შეასრულებდა. მაგრამ, არა! მენიუს მენიუს ამატებდა, კითხვებს – კითხვებს. მაგალითად, რამდენი მანქანა უნდა იყოს ამა თუ იმ ქალაქში? ეს არ არის უმნიშვნელო საკითხი. რადგან ყველა ქალაქს ხომ თავისი ნორმა აქვს? ამიტომ საინტერესოა, რამდენად მისაღებია ჯეფერსონის სტილი ამა თუ იმ

ქალაქისათვის? პროგრამამ ალტერნატიული გეგმა შესთავაზა მაიკლ გრეივის ან ი.მ. პეის სტილში.

შემდეგ ელექტროგაყვანილობისა და საკანალიზაციო არხის სქემა მისცა_მსოფლიოს მასშტაბით და წავიდა შინ, რათა პირველად მოეკლა თავი.

2000 წელს, აკადემიის ოთახში, ზოლტანი თავისი მშვენიერი, მაგრამ სულელი ცოლის წინაშე ზლუქუნებდა. როდესაც კაცი ფიასკოს განიცდის, ეჩვენება, რომ მისივე თავი ლანგარზე დადებული მიართვეს. ამჯერად ჩვენი თავები მაშებით მოგვიტანეს. მხედველობაში მიკროჩიპები მაქვს.

10

ელი ნიუ_ჯერსიში გარდაიცვალა და ინდიანაპოლისში, ქრაუნ_ჰილის სასაფლაოზეა დაკრძალული, თავისი ქმრის გვერდით.

იქ განისვენებენ ჯეიმს უიტკომბ რილეი, ინდიელი პოეტი, რომელსაც არასოდეს ჰყოლია ცოლი და ბანკების ლეგენდარული მძარცველი, ჯონ დილინჯერი. იქ პოვეს მარადიული სამკვიდრო ჩვენმა მშობლებმა_კურტმა და ედიტმა, ბიძაჩემმა ალექს ვონეგუტმა_ჰარვარდის კურსდამთავრებულმა, ვისი აზრითაც ცხოვრება მშვენიერი რამ იყო. ასეც ამბობდა: "თუ არა მშვენიერი, მაშ როგორია?!" ამ სასაფლაოს მივაბარეთ ჩვენი მშობლების წინაპრების მთელი ორი თაობა: ლუდის მეწარმეები, არქიტექტორები, ვაჭრები, მუსიკოსები, და რა თქმა უნდა, ცოლებითურთ.

ესეც ანშლაგი!

სოფლელი ბიჭი, ჯონ დილინჯერი, ციხიდან გაიქცა. დაცვის თანამშრომლები ხისგან გამოჩორკნილი და ფეხსაცმლის საცხით შეღებილი თოფით შეაშინა. ასეთი ხუმარა ბრძანდებოდა. სანამ ეძებდნენ, ბანკებს ძარცვავდა და ქალაქგარეთ იმალებოდა. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო წერილი მისწერა ჰენრი ფორდს. როგორ ემადლიერებოდა ბებერ ანტისემიტს, აქაოდა, თქვენი მანქანები ისე სწრაფად დაქრიან, მათი დამწევი კაცი არ მეგულებაო.

მაშინ მართლა ადვილი იყო პოლიციისგან თავის დაღწევა, თუ კარგი მანქანა გყავდა და მარჯვე მძღოლი იყავი.

დილინჯერი მხოლოდ მდიდრებს ძარცვავდა_ბანკებს, რომელთაც შეიარაღებული დაცვა ჰყავდა. თანაც, სრულიად მარტო! დილინჯერი ვიღაც ჯიბის ქურდი კი არა, ნამდვილი სპორტსმენი იყო.

ჩვენი სოლების ბიბლიოთეკებს ხშირად წმენდენ მავნე ლიტერატურისაგან, მაგრამ ხელუხლებელი რჩება ორი, არანაკლებ მავნე ზღაპარი. აქედან ერთ_ერთი უეჭველად რობინ ჰუდის ისტირიაა. ასე მგონია, მწირი განათლების მქონე დილინჯერი აღფრთოვანებული უნდა ყოფილიყო ამ ლურჯშრიფტიანი წიგნით, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, როგორ უნდა მოეპყრო სიცოცხლეს.

ამერიკული ოჯახების, ინტელექტუალურად მეტ_ნაკლებად განვითარებულ, შვილებს ტელევიზია დიდად არ ანებივრებდა ათასგვარი სათავგადასავლო ისტორიებით. კითხულობდნენ ან ისმენდნენ, ერთი სიტყვით, ატრიალებდნენ მხოლოდ რამდენიმე ამბავს. შეიძლება, იქიდან კიდეც სწავლობდნენ რამეს. ფაქტია, რომ მთელი ინგლისურენოვანი სამყარო "კონკიას", "მახინჯ იხვის ჭუჭულს" და "რობონ ჰუდს" მიელტვოდა.

იყო კიდევ ერთი წიგნი, თუმცა, არა ისეთი ავტორიტეტული, როგორც "რობინ ჰუდი"_"იესოს ცხოვრება" "ახალი აღთქმიდან."

FBI-ის უცოლო, ჰომოსექსუალი დირექტორის, ჯ. ედგარ ჰუვერის, ბრძანებით, დილინჯერი კინო_თეატრის შენობიდან გამოსვლისას მოკლეს. მას ქალი ახლდა. იარაღი თან ჰქონდა, მაგრამ არც ამოღება უცდია და არც გაქცევა. ისევე, როგორც სხვები, კინოსამყაროდან რეალურ ცხოვრებაში გამოდიოდა. მოკლეს იმიტომ, რომ თავზე ფედორაჩამომხობილ ძაღლებს აბიაბურებდა, რომლებიც, როგორც ერთი, ისე ჰგავდნენ დებილებს.

1934 წელს მე თერთმეტი წლის ვიყავი, ელი_თექვსმეტის. ის ბრდღვნიდა და წეწდა ყველაფერს. როგორ ვლანძღავდით ქალს, რომელმაც დილინჯერი ფედერალებთან დაასმინა. სწორედ მისგან უნდა გაეგოთ, რომ კინოში იქნებოდნენ, რომ ნარინჯისფერი კაბა ეცვა და რომ ჩვეულებრივი ბიჭი, რომელიც მას ახლდა, იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც FBI-ის დირექტორი საზოგადოების ყველაზე დიდ მტრად მიიჩნევდა.

ქალი უნგრელი იყო. ერთი ძველი ანდაზა კი გვაფრთხილებს:"თუ შენი მეგობარი უნგრელია, მტერი აღარ გჭირდება."

მოგვიანებით, ელიმ სურათიც კი გადაიღო დილინჯერის საფლავთან, ქრაუნ_ჰილის სასაფლაოზე, 38-ე ქუჩის შორიახლოს. ხანდახან მეც დავდიოდი მის საფლავზე და მამის ნაჩუქარი ნახევრადავტომატური თოფით ვხოცავდი ყვავებს. თოფი დაბადების დღეს მაჩუქა იარაღზე შეშლილმა მამაჩემმა. ყვავები კაცობრიობის მტრებად მიგვაჩნდა. მეტი შანსი რომ მიგეცათ მათთვის, მთელ ხორბალს შეგვიჭამდნენ. ერთმა ჩემმა ნაცნობმა ოქროს არწივი მოკლა. ის გაშლილი ფრთებით უნდა გენახათ!

არც ელის უყვარდა ნადირობა. ამ საქმეს მეც დავანებე თავი და მამაჩემმც. სადღაც დავწერე, რომ მამაჩემი იარაღზე გიჟდებოდა და ნადირობდა, რათა დაემტკიცებინა, რომ ქალი არ იყო. ამ დროს ის ხელოვანი იყო, არქიტექტორი, მხატვარი და მეთუნუქე. ლექციებზე ხშირად მითქვამს: "თუ გინდათ, გული ატკინოთ მშობლებს, მაგრამ არ გყოფნით სითამამე_იყოთ მამათმავალები, შეისწავლეთ მხატვრობა."

თავისი კაცობის დემონსტრირებისათვის თევზაობას მიჰყო ხელი. მაგრამ ჩემმა ძმამ, ბერნიმ, ყველაფერი გააფუჭა. მისი თქმით, მეთევზე ჰგავს კაცს, რომელიც იმიტომ ყიდულობს შვეიცარულ საათს, რომ ნაწილებად დაშალოს.

2001 წლის პიკნიკზე კილგორ ტრაუტს ვუამბე, როგორ ანამუსებდნენ მამაჩემს ელი და ბერნი ნადირობისა და თევზაობის გამო. ტრაუტმა შექსპირის ერთი ციტატა გაიხსენა:"უმადური შვილის ყოლა გველის ნაკბენზე მტკივნეულია."

ტრაუტი თვითნასწავლი იყო. სკოლა არც დაუმთავრებია. გამიკვირდა, როცა შევიტყვე, რომ შექსპირი ჰქონდა წაკითხული. დავინტერესდი, კიდევ თუ იცოდა რამე შექსპირიდან.

მიპასუხა: "დიახ, ძვირფასო კოლეგა, იმ წინადადების ჩათვლით, რომელიც ისე დეტალურად აღწერს ადამიანის არსებობის არსს, რომ მას შემდეგ, შეიძლება, სულაც აღარაფერი დაწერილიყო."

_რომელი წინადადება?_ვკითხე.

_ მსოფლიო არის სცენა, ქალები და კაცები მასში_მსახიობები."

11

გასულ გაზაფხულს ჩემს მეგობარს წერილობით ავუხსენი, რატომ აღარ შემიძლია ფანტასტიკის ჟანრში მუშაობა. ედვარდ მუირი, პოეტი და სარეკლამო აგენტი, ჩემი ასაკისაა და სკარსდეილში ცხოვრობს. ნოველაში "კატის აკვანი" აღვნიშნე, რომ თუ მავანის ცხოვრება ყოველგვარი მიზეზის გარეშე დაუკავშირდა შენსას, გამოდის, რომ ის შენი კარასის, ანუ გუნდის, წევრია, რომელიც ღმერთმა რაიმე იდეის განსახორციელებლად შექმნა.

ღმერთისათვის ედ მუირი ჭეშმარიტად ჩემი "კარასის" წევრია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მეც და ედიც, ჩიკაგოს უნივერსიტეტში ვსწავლობდით, მაგრამ არ შევხვედრივარ.

მოგვიანებით, სკენეკტადში ჩავედი. ედიც იქვე, "იუნიონ კოლეჯში," მუშაობდა მასწავლებლად. როდესაც "GEC" მივატოვე და კოდზე გავემგზავრე, ისიც იქ იყო და მსურველებს არჩევდა "GBP"-ის პროგრამისათვის. ერთმანეთს შევხვდით მაშინ როცა, ღმერთის ნებით თუ უნებლიეთ, მე და ჩემი პირველი ცოლი, ჯეინი, პროგრამის გამარჯვებულებად გვაღიარეს. როდესაც ბოსტონში გაემგზავრა სარეკლამო აგენტად, მეც იგივე გავაკეთე, ოღონდ, რა თქმა უნდა, ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე. ის დაშორდა ცოლს და მეც დავშორდი.

ახლა ორივე ნიუ-იორკში ვცხოვრობთ.

იცით, რატომ ვამბობ ამას?

როდესაც წერილობით ვაუწყე, ვეღარ ვწერ_მეთქი, ჩემი წერილი ლექსად გადააკეთა და უკან გამომიგზავნა.

ჩამოაშორა მხოლოდ მისალმება და რამდენიმე ხაზი, სადაც დევიდ მარკსონის, მისი "იუნიონ კოლეჯის" დროინდელი ნაცნობის წიგნის ქება ეწერა.

ჩემი აზრით, დევიდი ბედის კმაყოფილი არ უნდა ყოფილიყო. წიგნის წერის ნიჭი მას ისეთ დროს მიეცა, როცა ვეღარავის გააკვირვებ კარგი ლიტერატურით, რაოდენ ბრწყინვალეც უნდა იყოს. მომეწონა ედის საქციელი. ერთი მშვენიერი ისტორია გამახსენდა, იმდროინდელი, როცა ედი ჯერ კიდევ "დიდი წიგნების" წარმომადგენელი იყო. როგორც ნაკლებად ცნობილი პოეტი, დროგამოშვებით

იბეჭდებოდა „TAM”-ში მისი სახელი ცნობილი შოტლანდიელი პოეტის, ედვინ მუირის, სახელს ჩამოჰგავდა. ლიტერატურაში ნაკლებად გარკვეული ხალხი ხშირად ეკითხებოდა, "ის" ხომ არ ხარო. ერთხელ ედს ერთი ქალი ჩაეძია. როდესაც უარით იმედგაცრუებულმა თავისი საყვარელი ლექსი წაიკითხა, "პოეტისთვის ლექსი შვილია", სრულიად საოცარი რამ მოხდა. ამ ლექსის ავტორი იყო არა ედვინ მუირი, არამედ ჩემი მეგობარი, ედ მუირი.

ვისურვებდი, დამეწერა "ჩვენი ქალაქი", შემექმნა ციგურები.

ერთხელ ა.ე. ჰოტჩნერს, ერნესტ ჰემინგუეის მეგობარსა და ბიოგრაფს, ვკითხე, ვინმესთვის თუ უსვრია _მეთქი ჰემინგუეის, საკუთარი თავის გარდა.

არაო, მიპასუხა.

ცნობილ გერმანელ რომანისტს, ჰენრიხ ბულს, ვკითხე, რა მიაჩნდა გერმანული ხასიათის ყველაზე დიდი ნაკლად.

მორჩილებაო,მიპასუხა.

ჩემს დისწულს ვკითხე, როგორ მოსწონდა ჩემი ცეკვა.

მისაღებიაო, _მიპასუხა.

ბოსტონში სარეკლამო აგენტად ვიწყებდი მუშაობას. კადრებში ჩემი გვარის წარმომავლობით დაინტერესდენ. როდესაც გაიგეს, რომ გერმანელი ვიყავი, მითხრეს: "გერმანელებმა ჩვენი ექვსი მილიონი თანამოძმე მოკლეს."

იცით, მავანთაგან განსხვავებით, რატომ არ მაქვს შიდსი? იმიტომ, რომ ყველასთან არ ვწვები _ აი, მარტივი პასუხი. ტრაუტმა შესანიშნავი ამბავი მიამბო შიდსის და გონორეის გავრცელებისა და აგრესიული ფორმების მიზეზების შესახებ.

1945 წლის 1 სექტემბერს, მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, ქიმიური ელემენტების წარმომადგენლები პლანეტა ტრალფამადორზე შეიკრიბნენ. მათ პროტესტს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან სწორედ ზოგიერთი მათგანის შექმნილი იყო ისეთი ბინძური, უტვინო და სასტიკი ორგანიზმი, რომელსაც პოპულარული ენით ადამიანი ეწოდა.

პოლონიუმი და იტერბიუმი, რომლებიც სულაც არ შედიოდნენ ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო ელემენტების სიაში, აღშფოთებულები იყვნენ გარკვეული ელემენტების ცუდად გამოყენების გამო.

ნახშირბადმა, საუკუნეების განმავლობაში უთვალავი დამცირების მონაწილე, შერცხვენილმა ვეტერანმა, შეკრებილი საზოგადოების ყურადღება გაამახვილა, ინგლისში, XV საუკუნეში დასჯილი ერთი კაცის ამაზრზენ მკვლელობაზე. ის სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულეს და ჩამოკიდეს. რაკი რაღაც მიზეზის გამო არ დაიხრჩო, ჩამოხსნეს, მუცელი გაუფატრეს, შიგნეულობა ამოაცალეს და გაკვანძეს. ჯერ აჩვენეს, შემდეგ აქეთ_იქით შემოულაგეს. ჯალათმა და მისმა

ასისტენტებმა ხელებითა და ფეხებით ცხენებს გამოაბეს. მათრახი შემოჰკრეს და ოთხად გახლეჩილი სხეული კაიხანს ჰქონდათ ბაზარში გამოფენილი.

ტრაუტის თქმით, ელემენტები შეხვედრამდე შეთანხმდნენ, რომ კრინტიც არ დაეძრათ მოზრდილების ბავშვებისადმი დამოკიდებულებაზე. რამდენიმე ელემენტი ბოიკოტით იმუქრებოდა, რადგან ვერ ხვდებოდნენ, რატომ უნდა ესმინათ ეს ამაზრზენი ამბები.

"იქიდან გამომდინარე, რასაც ზრდასრულები ჩადიან ზრდასრულების მიმართ, ადამიანთა მოდგმა უნდა გადაშენებულიყო"_განაცხადა ტრაუტმა_ "რასაც ისინი პატარების მიმართ ახორციელებდნენ, მართალი ვთქვათ, სრულიად უმნიშვნელოა."

ნიტროგენიუმმა გაიხსენა, რომ ნაცისტებმა იძულებით წაიყვანეს სიკვდილის ბანაკში. მეორე მსოფლიო ომის დროს ექიმები ძალდატანებით ამუშავებდნენ. კალიუმმა ისეთი ამბავი მოყვა ესპანური ინკვიზიციის შესახებ, თმები ყალყზე დაგიდგებოდა. კალციუმა რომაული თამაშები გაიხსენა, ოქსიგენმა _ აფრიკელი მონები.

სოდიუმმა განაცხადა, რომ საკმარისზე მეტი იყო ნათქვამი. ამდენი მტკიცებულება საჭირო არ იყო. სამედიცინო კვლევებთან დაკავშირებულ ქიმიურ ელემენტებს მოუწოდა, შეერთებოდნენ ძლიერ ანტიბიოტიკებს და გამოემუშავებინათ ისეთი დაავადებები, რომლებიც განსაკუთრებით ძნელი დასაძლევი იქნებოდა.

სოდიუმმა იწინასწარმეტყველა, რომ ადამიანის ყველა სნეულება, მათ შორის, უბრალო ქავილიც კი, არათუ განუკურნებელი, ფატალური იქნებოდა.

"კაცობრიობა დაიღუპება"_ თქვა სოდიუმმა. ახალი სამყაროს დაბადების ჟამი თავისუფლებას მიანიჭებს ყველა ელემენტს. რკინა და მაგნეზიუმი სოდიუმის მოწოდებებს შეუერთდნენ. ფოსფორმა ელემენტებს კენჭისყრისაკენ მოუწოდა.

წინადადება დიდი აპლოდისმენტებით მიიღეს.

13

2000 წლის შობის დამდეგს ზოლტან პეპერმა თავის ცოლს განუცხადა, რომ ადამიანებს საკუთარ თავს ლანგრით მიართმევენ.

ამ დროს კილგორ ტრაუტი ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემიაში იმყოფებოდა, გვერდით ოთახში, მაგრამ მოსმენა არ შეეძლო. აგურის სქელი კედელი სიტყვებს ახშობდა. პარალიზებული კომპოზიტორი ლაპარაკობდა უცნაური აკვიატებაზე, რაც ადამიანებს მათზე ჭკვიან მანქანებთან შეჯიბრებისაკენ უბიძგებდა.

პეპერმა რიტორიკული შეკითხვა დასვა: "რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ყველა ჩვენგანის დამცირება, თანაც ამხელა ფასის საზღაურად? ჩვენ ხომ ვერც ვიფიქრებდით, რომ გამოუსადეგარ არსებათა სიაში პირველ ადგილზე ვიქნებოდით?!"

ტრაუტი თავის საწოლზე იჯდა, უსახლკაროთა თავშესაფარში. ერთ დროს იქ ამერიკელი ინდიელების მუზეუმი იყო. პატარა მოთხრობების ისტორიაში ყველაზე პროდუქტიული მწერალი პოლიციამ ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში, მეხუთე და ორმოცდამეორე ქუჩებს შორის, დააკავა. ის აქ თავის მსგავს, "წმინდა ნახირად" სახელდებულ, ოცდაათამდე კაცთან ერთად ცხოვრობდა. სასკოლო ავტობუსში ჩასვეს და ას ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩაზე, ჯანდაბაში, წაიბრძანეს. ამერიკელი ინდიელების მუზეუმში ინახებოდა აბორიგენების ცხოვრების ამსახველი ექსპოზიცია იმ პერიოდამდე, ვიდრე ყველაფერი განავალში ჩაინთქმებოდა. ტრაუტის მისვლამდე ხუთი წლით ადრე მუზეუმი გარეუბანში, უფრო უსაფრთხო რაიონში, გადავიდა.

2000 წლის 11 ნოემბერს, ოთხმოცდაოთხი წლის ასაკში, გაივლიდა უკანასკნელ გზასაყარს და მოკვდებოდა 2004 წელს, მშრომელთა დღეს_ისევ ოთხმოცდაოთხი წლისა. მაგრამ მომდევნო დროის რღვევა, რომელმაც ყველას მოულოდნელი საჩუქარი გვიძღვნა, მომდევნო ათი წელიწადში დასრულდება.

თავის დაუსრულებელ მემუარებში, რომელსაც უწოდებს "ათი წელი ავტოპილოტზე", ალბათ, დაწერს: "თუ დროის რღვევას ერთი უკიდურესობიდან მეორემდე არ მივყავართ, მაშინ ეს რაღაც უფრო საზიზღარი და ძლიერია."

ტრაუტზე ვწერდი, რომ დედისერთა იყო. მამამისმა, ნორტჰამფტონის კოლეჯის პროფესორმა მოკლა ცოლი, როდესაც მათი შვილი თორმეტი წლის იყო.

ტრაუტი მაწანწალა იყო და 1975 წლის შემოდგომიდან, დაბეჭდვის ნაცვლად თავის ნაწერებს ნაგავში ისროდა.

ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ლეონის_ერთადერთი შვილის, ამერიკის საზღვაო ფლოტის დეზერტირის, სიკვდილის ამბავი შეიტყო. ლეონმა შვედეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო და გემთსაშენზე შემდუღებლად მუშაობდა. საბრალოს, შემთხვევით, ვერფმა წააცალა თავი.

ორმოცდაცხრამეტი წლის ასაკში ტრაუტმა დაკარგა ბინა და გამათხოვრდა. სიკვდილის პირას მისული, ხანადუში, მოხუცებულ მწერალთა თავშესაფარში, ერნესტ ჰემინგუეის სახელობის ოთახში მოათავსეს. როდესაც ამერიკელი ინდიელების ყოფილ მუზეუმში შეამოწმეს, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული გენოციდი გაახსენდა. ჯიბეში "დები_B36" ეწვოდა. ეს მოთხრობა საჯარო ბიბლიოთეკის ქვედა სართულზე დაასრულა, მაგრამ პოლიციამ ტრაუტი იქამდე აღმოაჩინა, ვიდრე მის გაანადგურებას მოასწრებდა. ომის დროინდელი სამხედრო ფარაჯა ეცვა. თავშესაფრის კლერკს უთხრა, რომ ვინსენტ ვან გოგი იყო და ცოცხალი ნათესავი არ ჰყავდა. შემდეგ ისევ გარეთ გავიდა. გარეთ ისე ციოდა, რომ ყინულის კაციც გაიყინებოდა. მანუსკრიპტი ჩააგდო ცუდად თავდახურულ სანაგვე ყუთში, რომლის ლუქი ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემიის წინ, სახანძრო მილზე იყო მიბმული. ათიოიდე წუთში უკან დაბრუნდა. კლერკმა ჰკითხა:

_სად იყავი? ყველას ძალიან მოგვენატრე, ვინს!

შემდეგ მიუთითა საწოლზე, რომელიც აკადემიისა და თავშესაფრის კედლებს შორის იყო მოთავსებული. აკადემიის კედელზე, ვარდისფერი მაგიდის ზემოთ,

სადაც მონიკა პეპერი მუშაობდა, ჯორჯია კიიფის სურათი_"გათეთრებული ძროხის თავის ქალა უდაბნოში" ეკიდა. ტრაუტის საწოლის თავთან კი, ვიღაცას გაეკრა პლაკატი, რომელიც აფრთხილებდა, რომ პრეზერვატივის გარეში თავისი დინგ-დონგი არსად შეეყო.

როდესაც დროის რღვევა გაივლის და თავისუფალი ნება შეგვიპყრობს, მონიკა და ტრაუტი ერთმანეთს გაიცნობენ. ერთ დროს მონიკას მაგიდა მწერალ ჰენრი ჯეიმსს ეკუთვნოდა, მისი სკამი კი კომპოზიტორსა და დირიჟორს, ლეონარდ ბერნშტაინს. ტრაუტმა დროის რღვევამდე ორმოცდათერთმეტი დღით ადრე გააცნობიერა, რაოდენ ახლოს იყო ერთმანეთთან მისი საწოლი ამ მაგიდასთან და აღნიშნა: "მე რომ ნაღმსატყორცნი მქონოდა, ორ კედელს შორის დიდ ნახვრეტს გავაკეთებდი და თუ ამის შემდეგ არ დავიხოცებოდით, უეჭველად ვკითხავდი: "რას აკეთებს ასეთი ლამაზი გოგონა ასეთ ადგილას?"

14

თავშესაფარში ერთმა მათხოვარმა ტრაუტს ბედნიერი შობა უსურვა. ტრაუტმა უპასუხა:

_ტინგ-ლინგ! ტინგ-ლინგ!

შემთხვევით, მისი ნათქვამი მიესადაგა კიდეც ამ დღესასწაულს. ის, ალბათ, გულისხმობდა სანტა კლაუსს მარხილზე. თუმცა, ტრაუტი ყველას ასე პასუხობდა. მაგალითად, როდესაც მიმართავდნენ: "როგორ ხარ?" ან _ "დღე მშვიდობისა". ანუ ყოველთვის, წელიწადის ყველა დროს, ყველა ჟამს. მისი მიხვრა-მოხვრიდან, ხმის ტემბრისა და ჟესტიკულაციიდან გამომდინარე, ეს სიტყვები გულისხმობდა: "თქვენც გილოცავთ", ან_"ბედნიერ შობას გისურვებთ." ერთი სიტყვით, ჰავაელების "ალოჰასი" არ იყოს, "ნახვამდისაც" ნიშნავდა და "გამარჯობასაც". მოხუცი ფანტასტი ამ სიტყვებს საკმაოდ ბევრ მნიშვნელობას ანიჭებდა. იქნებოდა ეს "გეთაყვა", "გმადლობთ", "ჰო", "არა", "მე თქვენ არ გეთანხმებით" თუ_"შენი ტვინი დინამიტი რომ ყოფილიყო, თავზე ქუდსაც ვერ ადიფეთქებდა."

2001 წლის ზაფხულში ვკითხე, რატომ იყო "ტინგ-ლინგი" ასეთი აუცილებელი მის ლექსიკაში და რატომ მიაჩნდა ეს ფრაზა ასე მიმზიდველად. მოგვიანებით მივხვდი, რომ მისი პასუხი ერთგვარად ზედაპირული იყო:

_ამ სიტყვებს ვამბობდი ომში, როცა საარტილერიო ჭურვი ჩემი მითითებით მიზანში ხვდებოდა. მაშინ ვყვიროდი_ხოლმე: "ტინგ-ლინგ!".

საღამო ხანს, პიკნიკამდე ერთი საათით ადრე, თითის დაქნევით შემიტყუა ოთახში, კარი მიიხურა და მითხრა:

_გინდა, სიმართლე "ტინგ-ლინგის" შესახებ?

შოკირებული ვიყავი მისი განმარტებით.

ჩემმა უმანკო შეკითხვამ ტრაუტს თავისი საშინელი ბავშვობა გაახსენა და ერთი სული ჰქონდა, სანამ გულს გადამიშლიდა.

როდესაც მამაჩემმა დედაჩემი მოკლა, თორმეტი წლის ვიყავი. გვამს სახლის სარდაფში ინახავდა და იფიცებოდა, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა, სად უნდა წასულიყო. ალბათ, ნათესავებთან გაემგზავრაო. ცოლის მკვლელები ხშირად ამბობენ_ხოლმე ამას. როცა მკვლელობა ჩაიდინა, მე სკოლაში ვიყავი. საღამოს მოამზადა ვახშამი ორ კაცზე და შემპირდა, რომ თუ დედა დილამდე არ გამოჩნდებოდა, პოლიციაში განაცხადებდა.მერე სხვათაშორის გაიხსენა, ამ ბოლო დროს ძალიან დაღლილი და გაღიზიანებული ჩანდაო. მეც მკითხა, ნუთუ შენ ვერ შეამჩნიეო.

_მამა გიჟი იყო. _თქვა ტრაუტმა.

_როგორ, თუ გიჟი?!

_ერთხელ, შუაღამისას, ჩემს ოთახში შემოვიდა, გამაღვიძა და მითხრა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი ჰქონდა მოსაყოლი. ბინძური ხუმრობა იყო, მაგრამ ეს საცოდავი, ავადმყოფი კაცი თვლიდა, რომ ჩემთვის აუცილებლად უნდა მოეთხრო, რაც ცხოვრებაში შემთხვეოდა. ეს იყო ერთი დევნილის ამბავი, რომელიც პოლიციას მეგობარი ქალის სახლში ემალებოდა. მისი ბინის მისაღები ოთახი ჩინური საკათედრო ტაძრის ჭერს ჰგავდა და პირდაპირ სხვენზე ადიოდა.

ტრაუტი შეჩერდა. ალბათ, მამამისივით უჭირდა ამბის გაგრძელება. შემდეგ, თვითმკვლელი ერნესტ ჰემინგუეის სახელობის ოთახში მჯდომმა, განაგრძო:

_ქალი ქვრივი იყო. კაცმა ტანსაცმლის გამოცვლა განიზრახა და გაიხადა. ქალი თავისი ქმრის შარვლის მოსატანად წავიდა, მაგრამ სანამ ჩაცმას მოასწრებდა, პოლიციამ კარზე დააკაკუნა. ქალი კარის გასაღებად გაემართა, კაცი კი დირეზე გაწვა. მთელი სხეული ვერ დამალა და ჭერიდან კარგად ჩანდა მისი უზარმაზარი ყვერები.

ტრაუტი ისევ გაჩუმდა.

_პოლიციელმა ქალს ჰკითხა, ის ბიჭი სად არისო. ქალმა თავი მოიშტერა, ვერ ვხვდები, რომელ ბიჭზე ამბობთო. ერთ-ერთმა ძაღლმა ყვერები შენიშნა და ჰკითხა:

_ეს რა არის?

_ეს ჩინური საკათედრო ტაძრის ზარებია._უპასუხა ქალმა. პოლიციელმა დაუჯერა. მერე თქვა, რომ ყოველთვის უნდოდა ამ ზარების ხმის მოსმენა და "ზარებს" რეზინის ჯოხი შემოარტყა. ხმა, რა თქმა უნდა, არ გაიღო. უფრო მაგრად დაარტყა. და იცი, რა უპასუხა დირეზე გართხმულმა ყმაწვილმა?_ მკითხა ტრაუტმა.

_არა._მივუგე მე.

_ტინგ-ლინგ, ნაბიჭვარო!_იღრიალა ტრაუტმა.

აკადემია, თავისი საგანძურითა და მუშაკებით, უსაფრთხო რაიონში უნდა გადავიდეს, როგორც გადავიდა ამერიკელი ინდიელების მუზეუმი თავისი გენოციდისდროინდელი ექსპოზიციებით. ის სადღაც ჯანდაბაში მდებარეობდა. მოშორებით ცხოვრობდა ხალხი, რომელთა ცხოვრება კაპიკად არ ფასობდა, მაგრამ აკადემიის მუშაკებს ეს არ ადარდებდათ. გულწრფელები რომ ვიყოთ, ეს არ ადარდებდა მხოლოდ დამლაგებლებს, დაცვას და კლერკებს. მათ სულაც არ აინტერესებდათ ხელოვნება, ოღონდ კი სამსახური ჰქონოდათ. ეს ხალხი 1930 წლის დიდი დეპრესიისდროინდელ საზოგადოებას ჰგავდა, რომელიც დღესასწაულობდა, როცა თუნდაც რაიმე სახის სამსახური ჰქონდა. ტრაუტი ასე ახასიათებდა მათ საქმიანობას:

"გუგულიანი საათის ჩიტის სკლინტისაგნ გაწმენდა."

აკადემიის მდივანს სამსახური სჭირდებოდა. მონიკა პეპერი, რომელიც ასე ჰგავდა ჩემს დას, ელის, ერთადერთი დასაყრდენი იყო თავისთვის და თავისი ქმრისათვის. არადა, საბრალო თვითონვე დაახეიბრა. მონიკამ შენობის შესასვლელი ხის კარი რკინის ბორბლებიან რკინის კარად გადააკეთა, რომელიც ირაზებოდა და იკეტებოდა კიდეც. ყველაფერი გააკეთა, რათა შენობა კოლუმბიის უნივერსიტეტის მიტოვებულ ნანგრევებს დამსგავსებოდა, რომელიც აკადემიიდან ორი მილის მოშორებით, სამხრეთით, მდებარეობდა. ფანჯრები, როგორც შესასვლელი კარი, რკინის საკეტით ირაზებოდა. დარაბებზე შავად შეღებილი ფიცარი იყო გაკრული. ეს ყველაფერი აკადემიის მუშაკთა ნახელავი იყო. შესასვლელზე მონიკას ნარინჯისფერი და მეწამულისფერი საღებავებით წაეწერა: "გავკარი ხელოვნებას!"

აკადემიის დაცვის აფრო_ამერიკელი მუშაკი, დადლი პრინცი, სწორედ ამ კარის თვალაკიდან იჭვრიტებოდა, როცა ტრაუტმა "დები—B36" სანაგვეში ჩააგდო. მათხოვრებს რომ ნაგავი აინტერესებდეთ, ბუნებრივია, მაგრამ ტრაუტის საქციელმა პრინცსაც აღუძრა ინტერესი. არადა, მართლა საოცარი სანახავი იყო: შარვლის ნაცვლად სამი წყვილი ნიფხავი ეცვა, გაცვეთილი სამხედრო ფარაჯიდან შიშველი სხეული მოუჩანდა, ჩექმების მაგივრად სანდლებში წაეყოფეხები და კიდევ ერთი დეტალი, რაც საბოლოოდ ამსგავსებდა თავის "ბებიკოს"_თავზე მოეხვია ხილაბანდი, წითელი ბურთებითა და ლურჯი დათუნიებით. ტრაუტი სანაგვის წინ იდგა, ლაპარაკობდა და ისე იქნევდა ხელებს, თითქოს ძველმოდური გამოცემის რედაქტორს ელაპარაკებოდა, ხოლო მისი ოთხფურცლიანი ხელნაწერის ყვითელი მონუსკრიპტი უდიდესი თხზულება იყო_ სარფიანად გაყიდვის პერსპექტივით. მოგვიანებით აღნიშნა: "ეს იყო შეშლილი სამყარო. მე მხოლოდ წყვდიადში ვერთობოდი, გამოგონილ რედაქტორთან ვკამათობდი სარეკლამო ბიუჯეტისა და იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეთამაშა სატელევიზიო შოუში და ა. შ."_რაღაც სისულელეს ჩმახავდა. მისი საქციელი იმდენად ექსცენტრული იყო, რომ გამვლელმა მათხოვარმა ჰკითხა:

_ხომ კარგად ხარ, ძვირფასო?

ტრაუტმა სიამოვნებით მიუგო:

_ტინგ-ლინგ! ტინგ-ლინგ!

როგორც კი ტრაუტი თავშესაფარში დაბრუნდა, მოწყენილობისგან თავშებეზრებულმა თუ ინტერესით შეპყრობილმა დადლი პრინცმა სანაგვეს მიაშურა. ინტერესებდა, რა გადააგდო ჩანთიანმა მათხოვარმა ქალმა, რომელიც ისე უცნაურად იქცეოდა, თითქოს თვითმკვლელობის ჟამი დასდგომოდა.

16

ეს გახლავთ დროის რღვევის კილგორ ტრაუტისეული ახსნა "დროის რღვევა-1"-დან_აგებული მის დაუმთავრებელ მემუარებზე, "ათი წელი ავტოპილოტზე":

"2001 წლის დროის რღვევა კოსმიური კუნთის სპაზმი იყო, რომელიც ბედს შეეყარა.Eეს მოხდა ნიუ-იორკში, 13 თებერვალს, დღის ორ საათსა და ოცდაშვიდ წუთზე.

სამყარომ საკუთარი რწმენის უმწვავესი კრიზისი გადაიტანა. საჭიროა მეტად გაფართოება? რისთვის? სადამდე?

ორჭოფობდა. იქნებ, უკეთესია, დაუბრუნდეს წერტილს, საიდანაც ყველაფერი დაიწყო და მერე მოაწყოს დიდი აფეთქება?

დრო მთელი ათი წლით შეიკუმშა და მეც და სხვა ყველაც 1991 წლის 17 თებერვალში გადაგვისროლა.

დილის შვიდ საათსა და ორმოცდათერთმეტ წუთზე, ვიდექი სან_დიეგოში, გასისხლიანებული ბიჭის წინ.

გარკვეული მიზეზის გამო, რომელიც მხოლოდ სამყაროსათვის იყო ცნობილი, საწყისს ჯერჯერობით არ დაუბრუნდა. ფართოვდებოდა. იქნებ, ვინმე წყვეტდა მის გაფართოება-შევიწროების საკითხს? ამისი თქმა არ შემიძლია. მიუხედავად იმისა, რომ ვიცხოვრე ოთხმოცდაოთხი ან ოთხმოცდათოთხმეტი წელი, სამყაროს შესახებ არსებული ძალიან ბევრი შეკითხვა დამრჩა უპასუხოდ.

სამყარო ათი წლით უკან დაბრუნდა, ოღონდ ოთხი დღე მოაკლო. ზოგს ეს ღმერთის არსებობის მტკიცებულებად მიაჩნდა. შეიძლება, ღმერთს თვლის ათობითი სისტემა აქვს. მას აქვს ხელის ათი და ფეხის ათი თითი. ალბათ, თვლის დროსაც ისევე იყენებს, როგორც ჩვენ. ვეჭვობ, მაგრამ რა ვქნა, რა ვიღონო. ასეთი ვარ. მამაჩემს, რაიმონდ ტრაუტს, ნორტჰამპტონის პროფესორს, ჩემი პოეტი დედა რომ არ მოეკლა, დარწმუნებული ვარ, მაინც ასეთი ვიქნებოდი. თანაც, რელიგიის შესახებ სერიოზული განათლებაც არ მიმიღია. ასე რომ, კომენტარის გაკეთების უფლება არ მაქვს. ერთი კი ვიცი: მუსლიმანს სანტა_კლაუსის არსებობის არ სჯერა."

2000 წლის შობის დამდეგს ღრმად მორწმუნე აფრო-ამერიკელ დადლი პრინცს ტრაუტის მოთხრობა, "დები-B36", ღვთის გზავნილი ეგონა. რაც მოხდა პლანეტა ბუბუზე, დიდად არ განსხვავდებოდა იმისგან, რაც მის პლანეტაზე ხდებოდა, განსაკუთრებით, მის დამსაქმებლებთან_ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების

აკადემიაში, რომელიც ას ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩაზე მდებარეობდა, სადღაც ჯანდაბაში, ბროდვეიდან დასავლეთით, ასე, ორი კვარტლის მოშორებით.

ტრაუტმა ისე გაიცნო პრინცი, როგორც მონიკა პეპერი და მე_ დროის რღვევის შემდეგ, როცა კვლავ შეგვიპყრო თავისუფალმა ნებამ. იმის გამო, რაც დროის რღვევამ შეამთხვია, პრინცი, ელის მსგავსად, ღმერთისადმი ერთგვარი სიძულვილით განიმსჭვალა. ერთხელ, არამარტო თავისი, ზოგადად, ყველას ცხოვრების შესახებ თქვა: "თუ ღმერთი არსებობს, მას სძულს კაცობრიობა."

აი ის, რისი თქმაც შემიძლია.

ტრაუტმა შეიტყო, რაოდენ სერიოზულად აღიქვა პრინცმა "დები_B_36"-ის მიღება, როგორ სჯეროდა, რომ ყვითელი მანუსკრიპტის ნაგავში ჩაგდების დროს მათხოვარი განგებ აქნევდა ხელებს, რათა მისი ინტერესი გაეღვივებინა. ბებერმა ფანტასტმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

"ყველაფერი ნათელია, დადლი. ყველას, ვისაც სჯერა ღმერთის, პლანეტა ბუბუს არსებობასაც დაიჯერებს."

წარმოიდგინეთ, რა მოუვიდოდა 2000 წლის შობამდე ორმოცდათერთმეტი დღით ადრე დადლი პრინცს, ავტორიტეტულ ფიგურას, წესრიგის დამცველს.

დროის რღვევა მას ნიუ-იორკის შტატის არასრულწლოვანთა კოლონიაში გადაისვრის, თავისივე რაიონიდან სამოცი მილის მოშორებით, სამხრეთის მიმართულებით, სადაც ვიდეო-გაქირავების პატარა მაღაზია ჰქონდა. მართალია, ათი წლით გაახალგაზრდავდა, მაგრამ კარგი მაინც არაფერი ხდებოდა. მაინც მარტოსული იყო და ხელახლა ჩადიოდა თავის დანაშაულს. ათი წლის გოგონას გაუპატიურებისა და მკვლელობის გამო, მისჯილი ჰქონდა პატიმრობა, შეწყალების გარეშე. ეს საშინელება როჩესტერში, ერთ დანგრეულ სახლში ჩაიდინა, და რა თქმა უნდა, სრულიად უდანაშაულო იყო.

ალბათ, დამეთანხმებით, რომ დროის რღვევიდან შემდგომი ათი წლის განმავლობაში დადლი პრინცს ახსოვდა ყველაფერი, რაც ათი წელიწადში შეემთხვეოდა. ისიც კი იცოდა, რომ გაამართლებდნენ შვიდ წელიწადში. სპერმის ტესტირების შედეგად, რომელიც მსხვერპლის საწოლზე აღმოაჩინეს. ეს მტკიცებულებები ხელახლა იქნება აღმოჩენილი რაიონის პროკურორის მაგიდაზე ტომებად დაწყობილ ერთ-ერთ კონვერტში, რომელიც იმ იმედით წარადგინა, რომ გუბერნატორად აირჩევდნენ. და კიდევ, ექვსი წლის შემდეგ პროკურორს ისევ მდინარე კეიუგას ფსკერზე იპოვნიან_"ცემენტის ფეხსაცმლით". პრინცი ისევ მიიღებს "HSE "-ის სერთიფიკატს და იესოს თავისი ცხოვრების ცენტრში დააყენებს. შემდეგ ტელევიზიაში მიიწვევენ, იმ ხალხის მსგავსად, ვინც ტყუილად იხდიდა სასჯელს და შემდეგ სიმართლე იპოვნა. და იქიდან მთელს ქვეყანას ამცნობს, რომ ციხეში გატარებული წლები ყველაზე ბედნიერი იყო მის ცხოვრებაში, რადგან სწორედ იქ აღმოაჩინა ღმერთი.

2000 წლის შობის დამდეგს, სულერთია, რომლის, ოღონდ არა მათთვის, ვისაც აინტერესებს, თუ როგორ გადასცა ექს-მსჯავრდებულმა დადლი პრინცმა მონიკა პეპერს "დები-B36"_ მისი ქმარი, ზოლტანი, სავარძელში იჯდა და წინასწარმეტყველებდა განათლების აღსასრულზე, არცთუ შორეულ მომავალში:

_წინასწარმეტყველმა მუჰამედმა წერა-კითხვა არ იცოდა,_ამბობდა ზოლტანი, არც_ იესომ, მარიამმა და იოსებმა, ალბათ, არც მარიამ მაგდალინელმა. იმპერატორმა კარლოს დიდმაც ხომ აღიარა თავისი უვიცობა. ეს ძალიან ძნელი იყო და იმდროინდელ დასავლეთ ნახევარსფეროზე თითქმის არავის ხელეწიფებოდა. ცდუნებულ მაიას, ინკას და აცტეკს განათლებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ ევროპელების მოსვლამდე. ბევრი არც ევროპელთაგან გამოირჩეოდა ცოდნით. სპეციალისტები ცოტანი იყვნენ. ძვირფასო, პირობას გაძლევ, რომ ტელევიზია კაცობრიობას ისევ ძველ დროში დააბრუნებს.

დადლი პრინცმა თქვა:

_უკაცრავად, მაგრამ, მგონი ვიღაც რაღაცის თქმას ცდილობს.

მონიკამ მზარდი მოუთმენლობით წაიკითხა "დები-B-36". განაცხადა, რომ ძალიან სასაცილო იყო და ქმარს გადასცა. როგორც კი ავტორის სახელი და გვარი წაიკითხა, ზოლტანმა, აღგზნებულმა წამოიყვირა:

_ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ნახევარი საუკუნის მომაჯადოებელი დუმილის შემდეგ კილგორ ტრაუტი კვლავ შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში!

როდესაც ზოლტანი ფორტ_ ლოდერდეილის უმაღლესი სკოლის მეორე კლასში იყო, მამამისის კოლექციაში მოძიებული ერთი ჟურნალიდან ბებერი ფანტასტის მოთხრობა გადაწერა და შემდეგ თავისი ინგლისურის მასწავლებელს, ფლორენს უილკერსონს, მიურბენინა, როგორც საკუთარი ქმნილება.

ეს იყო კილგორ ტრაუტის ერთ-ერთი გამოქვეყნებული მოთხრობა.

როდესაც ზოლტანი მეორე კლასში იყო, კილგორი უკვე მაწანწალობდა.

მოთხრობაში აღწერილი იყო გალაქტიკის ერთი პლანეტა, სადაც ბინადრობდნენ პატარა ყვითელი ადამიანები, შუბლზე ერთადერთი თვალით. მათ მხოლოდ ისე შეეძლოთ საკვების მოპოვება, თუ საქონელს გაყიდდნენ, ან ვინმეს მოემსახურებოდნენ. როდესაც პლანეტაზე მყიდველი აღარ დარჩა, ვეღარაფერი მოიფიქრეს და პატარა, ყვითელი კაცუნები შიმშილით დაიხოცნენ.

ქალბატონი უილკერსონი ეჭვობდა, რომ პეპერის მოთხრობა პლაგიატი იყო. ზოლტანმაც აღიარა, რომ იხუმრა. მისთვის პლაგიატი იყო დაახლოებით ის, რასაც ტრაუტი კრიპტოექსგიბიციონიზმს უწოდებდა, ანუ სასქესო ორგანოების გაშიშვლება იმავე სქესის უსინათლო ადამიანების წინაშე.

ქალბატონმა უილკერსონმა გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა და აიძულა, კლასის წინაშე, დაფაზე დაეწერა: " მოვიპარე კილგორ ტრაუტის საკუთრება."

მომდევნო კვირის განმავლობაში პეპერი სკოლაში დადიოდა კისერზე ჩამოკიდებული ქაღალდით, რომელზეც ასო "P"ეწერა.

ეს რომ ახლა გაეკეთებინა სტუდენტისათვის, სულს ამოაძრობდნენ, მაგრამ მაშინ მაშინ იყო, ახლა კი_ახლაა.

ქალბატონ უილკერსონის შთაგონების წყარო, რა თქმა უნდა, ნათანიელ ჰოუსორნის "წითელი, ცეცხლისფერი ასო იყო". ჰიუსორნის გმირი ქალი მკერდზე ატარებდა ასო "A"-ს, სიტყვიდან _"მრუშობა", რადგან მან უცხო კაცს თავისი საშოს განაყოფიერების უფლება მისცა და ამასთან, არ გათქვა მისი სახელი. სხვათაშორის, ის კაცი მღვდელი იყო.

დადლი პრინცმა თქვა, რომ ხელნაწერი სანაგვეში მაწანწალა ქალმა ჩააგდო. ზოლტანს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ეს თავად კილგორ ტრაუტი იყო. ალბათ, მისი შვილია, ან შვილიშვილიო,-გაიფიქრა.

_ტრაუტი, ალბათ, დიდი ხნის მკვდარია. ვიმედოვნებ, რომ მისი სული ჯოჯოხეთშია.

მაგრამ ტრაუტი გვერდით ოთახში იჯდა და თავს ჩინებულად გრძნობდა. ფიქრობდა, რომ "დები_B-36" თავიდან მოიშორა და ახალი მოთხრობების წერა დაიწყო. თოთხმეტი წლიდან მოყოლებული, ყოველ ათ დღეში ახალ მოთხრობას წერდა. ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში სადღაც ორი ათას ხუთასი გამოვიდოდა.

ამჯერად მოქმედება ვითარდებოდა არა სხვა პლანეტაზე, არამედ, მინესოტაში, სენტ-პოლში, ფსიქიატრის კაბინეტში.

მოთხრობის სათაური და მთავარი გმირის სახელი ერთი და იგივე იყო_"ექიმი შადენფროიდი". ის თავის პაციენტს ტახტზე აწვენდა და ნებას რთავდა, ელაქლაქა, რამდენიც სურდა და რაზეც სურდა.

თუ პაციენტს შემთხვევით წამოსცდებოდა "მე", "ჩემი", "მე თვითონ", შადენფროიდი მაიმუნივით იღმეჭდა სახეს, ტყავის სავარძელზე შეხტებოდა, ფეხებს აბაკუნებდა, ხელებს აქნევდა, პაციენტს სახეში მიაჩერდებოდა და გაჰყვიროდა:

_როდის შეიგნებ, რომ შენზე არავინ ზრუნავს, არავის ანაღვლებ, ხორცის უჭკუო ნაგლეჯო?! შენი პრობლემა ის არის, რომ გგონია, რაღაცას წარმოადგენ! დაივიწყე ეგ ან ჯანდაბამდე გზა გქონია!

ერთმა მაწანწალამ ტრაუტს ჰკითხა, რას წერო.

ეს "ექ. შადენფროიდის" პირველი აბზაცი იყო.

ტრაუტმა უპასუხა, მოთხრობასო. მაწანწალამ ურჩია, რომ მეზობელ ოთახში მყოფი ადამიანებისგან ფულის მიღება შეეძლო. როდესაც შეიტყო, რომ იქ ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემია იყო, დაასკვნა, რომ იმავე წარმატებით, ეს, შეიძლება, ჩინელი დალაქების კოლეჯიც ყოფილიყო.

_მე არ ვქმნი ლიტერატურას. ლიტერატურა არის ის, რაზეც ზრუნავენ მაიმუნები მეზობელი ოთახიდან. დებილი ლიტერატორები მეზობელი ოთახიდან, ქმნიან ცოცხალ, სამგანზომილებიან გმირს ქაღალდზე, მელნით.

დიდებულია!

თითქოს პლანეტისათვის ცოტაა სამი მილიარდი ცოცხალი და სამგანზომილებიანი გმირი.

მეზობელ ოთახში იმყოფებოდნენ მონიკა, ზოლტანი და სამი მცველი_დადლი პრინცის მეთაურობით. მონიკამ მოსამსახურეებს დასვენების დღე მისცა საშობაო საჩუქრების საყიდლად. მათგან ყველა ქრისტიანი, აგნოსტიკოსი ან ათეისტი აღმოჩნდა.

ღამის დაცვის ცვლაში მუსლიმანები იყვნენ. მუსლიმანებს კი, როგორც აღნიშნა ტრაუტმა თავის წიგნში, "ჩემი ათი წელი ავტოპილოტზე", სანტა-კლაუსის არსებობის არ სწამთ.

_ჩემი, როგორც მწერლის კარიერის განმავლობაში,_თქვა ტრაუტმა ამერიკელი ინდიელების ყოფილ მუზეუმში,_ შევქმენი მხოლოდ ერთი ცოცხალი, სამგანზომილებიანი ქმნილება. ეს გავაკეთე დინგ-დონგის საშოს ხვრელში შეყოფით. ტინგ-ლინგ! _გულისხმობდა შვილს, ლეონს, ამერიკის საზღვაო ფლოტის დეზერტირს, რომელმაც გემთსაშენში თავი დაკარგა.

_მის შექმნაში რომ დრო დამეხარჯა, ჭეშმარიტად ღირებულ მოვლენებს ვეღარ შევამჩნევდი: ბუნების ძალას, ბოროტ გამოგონებებს, ფუჭ იდეალებს, ხელისუფლებას და ეკონომიკას, რომლებიც გმირ ქალებს და გმირ კაცებს აიძულებენ, თავი კატის კურკლად იგრძნონ.

ტრაუტს შეეძლო, ეთქვა და მეც შემიძლია, ვთქვა, რომ ვქმნიდი უფრო კარიკატურებს, ვიდრე გმირებს, პერსონაჟებს. მისი გაღიზიანება ე.წ. "მეინ-სტრიმის" ლიტერატურით იყო გამოწვეული, უფრო მეტიც, ის მათ რიგებს არ ეკუთვნოდა, ანუ არ იყო მეცნიერ _ ფანტასტი.

თუ კატეგორიულები ვიქნებით, ტრაუტის ბევრი მოთხრობა, მცირე გამონაკლისის გარდა, მართლაც არ განეკუთვნებოდა საეცნიერო ფანტასტიკას. "ექ. შადენფროიდი" უფრო იუმორსმოკლებული ამბავი იყო მათთვის, ვინც ფსიქიატრიას მეცნიერებად მიიჩნევს. დროის რღვევის მოახლოების ჟამს, "ექიმ შადენფროიდის" შემდეგ, აკადემიის ნაგავსაყრელზე ტრაუტმა მოისროლა "ბინგოს პარტია ბუნკერში"_რომანი_გასაღები, რომლის მოქმედება მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, გერმანიაში, დანგრეული ბერლინის ქვეშ განთავსებულ ადოლფ ჰიტლერის ბუნკერში ვითარდებოდა.

მოთხრობაში ტრაუტი თავის და ჩემს ომს "სამყაროს თვითმკვლელობის მეორე წარუმატებელ მცდელობას" უწოდებდა. საუბრის დროსაც ასე მოიხსენიებდა. ერთხელ, ისიც კი დაამატა: "ერთხელ თუ არ გამოგივიდათ, მეორედ სცადეთ!"

"საბჭოეთის ტანკები და ქვეითი ჯარები რამდენიმე ასეულ მეტრზე მისდგომოდნენ ბუნკერის რკინის კარს. ჰიტლერმა, კაცობრიობის არსებობის მანძილზე ყველაზე საზიზღარმა ადამიანმა,_წერდა ტრაუტი,_ არ იცოდა, რა ექნა: ჩაეფსა თუ დაბრმავებულიყო. მასთან იყვნენ ევა ბრაუნი და რამდენიმე უახლოესი მეგობარი. მათ შორის, პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გებელსი, ცოლთან და შვილებთან ერთად. ჰიტლერს რაიმე არაჩვეულებრივი, მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოესურვა და ევას დაქორწინება შესთავაზა. მანაც თანხმობა განაცხადა._ აქ ტრაუტი რიტორიკულ კითხვას სვამს: "რატომაც არა?!" საქორწინო ცერემონიის დროს ყველას დაავიწყდა არსებული პრობლემა. აკოცა რა სიძემ პატარძალს, პრობლემა ისევ ამოტივტივდა. გებელსი კოჭლი იყო,_წერდა ტრაუტი._ მაგრამ ეს რა პრობლემაა. ის კოჭლი იყო ყოველთვის. თავისდაუნებურად გაახსენდა, რომ მის შვილებს ჰქონდათ ბინგო_ სადღაც ოთხი თვის წინ ამერიკელებისაგან მოპოვებული ნადავლი. დაახლოებით ამ დროს მეც ტყვედ ვიყავი. რესურსების დაზოგვის მიზნით, გერმანიამ თვითონ შეწყვიტა ბინგოს გამოშვება. ბუნკერში მყოფი უფროსები ისე იყვნენ გართული ჰიტლერის დაცემითა და აღდგენით, რომ მხოლოდ ბავშვებმა იცოდნენ თამაში_მეზობლის ბავშვებისგან ესწავლათ.

ეს იყო ყველაზე საოცარი სცენა: გოგონა და ბიჭუნა ბინგოს თამაშის წესებს ასწავლიან ნაცისტებს. მათ შორის, შეშლილ ჰიტლერს! ბავშვები მათ თვალში სამყაროს ცენტრს წარმოადგენდნენ.

ტრაუტის ეს და ოთხი სხვა მოთხრობა რომ შემოგვრჩა, დადლი პრინცეს დამსახურებაა.

სანამ პირველი ათი წელი მიიწურებოდა, მას კვლავაც სჯეროდა, რომ მაწანწალა ქალი სანაგვე ურნას საფოსტო ყუთის ფუნქციით იყენებდა და დარწმუნებული იყო, რომ მის უცნაურ ცეკვას თვალყურს ადევნებდნენ მოპირდაპირე ქუჩაზე მდებარე რკინის კარის ჭუჭრუტანიდან. პრინცი აუცილებლად ამოიღებდა სანაგვიდან მოთხრობებს და აღმოაჩენდა უზენაესი ძალის უმნიშვნელოვანეს გზავნილს. სამუშაოს დასრულების შემდეგ კი კვლავ მარტოხელა აფრო-ამერიკელად გარდაისახებოდა.

20

2001 წლის ზაფხულში დადლი პრინცმა ტრაუტს მოთხრობების კრებული გადასცა. არადა, ტრაუტი ფიქრობდა, რომ ვიდრე ვინმე წაიკითხავდა, ჯანდაცვის დეპარტამენტი დაწვამდა ან ოკეანეში მოისროდა. ტრაუტმა თავად მითხრა, რომ სასწრაფოდ გადაფურცლა ჭუჭყიანი ქაღალდის ნაგლეჯები, როცა ერნესტ ჰემინგუეის სახელობის ოთახში, თავის ფართო საწოლზე შიშველი იჯდა.

ცხელოდა. ჯაკუზიდან ახალი ამოსული იყო. მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა სცენამ: ორი ანტისემიტი ბავშვი თეატრალურ მუნდირებში გამოწყობილ მაღალჩინოსან ნაცისტებს ბინგოს თამაშს ასწავლიდა. არცერთ ეპიზოდს არ აღუფრთოვანებია ასე. სცენა შეადარა ნაწყვეტს ისაიას წინასწარმეტყველებიდან: "მგელი იცხოვრებს ცხვართან, ლეოპარდი დაწვება ჩვილთან, ხბო და ლომის ბოკვერი ერთად გაიზრდებიან და მათ წარუძღვება ბავშვი."

ეს სცენა წავიკითხე და ჩემს თავს ვკითხე: "ღმერთო, როგორ დავწერე ასეთი რამ?"- გვითხრა ტრაუტმა მე და მონიკას. ეს არ იყო პირველი შემთხვევა. მსგავსი შეკითხვა შედევრის შემქმნელი ადამიანისაგან უკვე მომესმინა.

1960 წელს, დროის რღვევამდე დიდი ხნის წინ, სოფელ ბარნსთეიბლ დიდი, ძველი სახლი მქონდა, სადაც მე და ჩემი პირველი ცოლი, ჯეინ ვონეგუტი, ოთხ ბიჭსა და ორ გოგონას ვზრდიდით. სახლის ნაწილი, სადაც მე ვმუშაობდი, ინგრეოდა. სახლი სულ დავანგრიე და ჩემი მეგობარი და თანატოლი, ტედ ადლერი დავიქირავე, რათა ძველის მსგავსი აეშენებინა. ტედმა სრულიად მარტომ ამოიყვანა კედლები, გადახურა, გაიყვანა ელექტროობა, ჩასვა ფანჯრები, კარებები და გალესა. გალესვა მისი ბოლო საქმე იყო, რადგან შეღებვა თავად მსურდა. ეს რომ არა, ტედი ამასაც გააკეთებდა. როცა ყველაფერი დასრულდა, მთხოვა, სახლიდან ოცდაათი ფუტის მოშორებით დავმდგარიყავი და ისე შემეხედა ჩემი ახალი საცხოვრებელისათვის.

და მაშინ წარმოთქვა: "ღმერთო, როგორ გავაკეთე მე ეს?!"

ახლა 1996 წლის ზაფხულია. ეს შეკითხვა ჩემი საყვარელი ციტატების სიაში შევიტანე. სამიდან ორი კითხვა უფროა, ვიდრე რჩევა. მეორე იესოს შეკითხვაა: "შენ ამბობ, თუ სხვებმა გითხრეს, მე ვინ ვარ?"

მესამე ეკუთვნის ჩემს ვაჟს, მარკს, პედიატრს და მხატვარს, რომელიც საქსოფონზე უკრავს: " ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ ყველა წინააღმდეგობის დაძლევაში დავეხმაროთ ერთმანეთს."

შეიძლება, მავანმა გააპროტესტოს:

"ჩემო ძვირფასო ექიმო ვონეგუტო, ყველანი პედიატრები ხომ არ ვიქნებით."

მოთხრობაში, "ბინგოს პარტია ბუნკერში", ნაცისტები ბინგოს თამაშობდნენ. ღრმა მარაზმში გადაცვენილებისათვის თამაში ერთგვარი ტკივილგამაყუჩებელი იყო და ისე მოქმედებდა მათზე, როგორც საეკლესიო დღესასწაულები შეშლილ მოხუცებზე. რამდენიმე ნაცისტი რკინის ჯვარს ატარებდა. ამით მხოლოდ იმ გერმანელებს აჯილდოებდნენ, რომლებიც ისე ავლენდნენ სიმამაცეს, როგორც ფსიქოპათიას. ჰიტლერს ეს ორდენი, ცივილიზაციის პირველი წარუმატებელი თვითმკვლელობის დროს მიეღო და დიდი სიამაყით ატარებდა.

მეორე მცდელობაში მეც ვმონაწილეობდი. ერნესტ ჰემინგუეის მსგავასად, კაცისათვის არასოდეს მისვრია. შეიძლება, არც ჰიტლერს უსვრია. იმიტომ კი არ მიიღო თავისი ქვეყნის უმაღლესი ჯილდო, რომ ბევრი ხალხი დახოცა!

ის მამაცი მეკავშირე იყო!

ბრძოლის ველზე ყველა მკვლელობაზე როდი იყო ორიენტირებული. მაგალითად, მე მზვერავი ვიყავი და ისეთ ადგილებში დავძვრებოდი, რომელიც ჩვენებს ჯერ არ დაეპყროთ. თუ მტერს აღმოვაჩენდი, არ უნდა შევბრძოლებოდი. შეუმჩნევლად უნდა დავბრუნებულიყავი უკან და უფროსებისათვის მომეხსენებინა.

ზამთარი იდგა, როცა ჯილდო მომცეს.

შინ დაბრუნებულს, ბიძაჩემმა დენმა, ტაში დამიკრა და მითხრა:

_შენ ახლა კაცი ხარ!

ლამის პირველი მკვლელობა ჩავიდინე და გერმანელი მოვკალი.

დავუბრუნდეთ ტრაუტის რომან-გასაღებს:

"ფიურერმა წამოიძახა: "ბინგო!"_ ე.ი. მოიგო. დაჯერება უჭირდა განწირული ხმით დაიყვირა:

_არ მჯერა! ეს თამაში არასოდეს მითამაშია და მოვიგე. მე მოვიგე! ეს ნამდვილი სასწაულია!

ეს ჭეშმარიტი კათოლიკე სკამიდან წამოხტა და ისე მიაჩერდა მის წინ გაშლილ ქაღალდებს, როგორც ტურინის მოსასხამის ნაჭერს.

_რას უნდა ნიშნავდეს ეს, თუ არა იმას, რომ ჩვენი საქმე არც ისე ცუდად არის?!

ევა ბრაუნმა ყველაფერი წაახდინა_გებელსის ცოლის საქორწინო საჩუქარი, ციანიდის კაფსულა გადაყლაპა. ფრაუ გებელსს იმაზე მეტი საწამლავი ჰქონდა, ვიდრე მის ოჯახს სჭირდებოდა.

ტრაუტმა ევა ბრაუნის შესახებ დაწერა: "მისი ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ ურჩხულს გაანაყოფიერებინა თავისი საშო. ასე ემართებათ კარგ ქალებს."

ბუნკერის თავზე კომუნისტების ორას ორმოც მილიმეტრიანი ჭურვები ფეთქდება. ხალხს თავზე ნამსხვრევები ეყრება. ჰიტლერი თავისი იუმორის დემონსტრირებას ახდენს:

_თოვს._ამბობს ის.

პოეტური ნათქვამია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმედგაცრუებილი ხარ და თავი მოიკლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გალიაში ჩაგსვამენ და ისე წარგადგენენ შენი საკუთარი ერის წინაშე.

ფიურერი პისტოლეტს შუბლზე მიიბჯენს. ყველა შეძრწუნდება: "არა! არა! არა!" ის კი დარწმუნებულია და ჯიუტად ამტკიცებს, რომ თავის მოკვლა ღირსეული ნაბიჯია. გაინტერესებთ მისი უკანასკნელი სიტყვები?

გაგიკვირდებათ და: "მე არაფერს ვნანობ!"

გებელსი ამბობს, რომ ეს დასაშვებია. მაგრამ აი, უკვე ათი წელია, რაც ამ სიტყვებს ერთი ფრანგი მომღერალი, ედიტ პიაფი_ "პატარა ბეღურა" იმეორებს. დარწმუნებული ვარ, არ გინდათ, რომ "პატარა ბეღურის" სახელით დაამახსოვრდეთ ხალხს.

ჰიტლერს ჯერ კიდევ შერჩენია იუმორის გრძნობა და ამბობს: _რას იტყვით ბინგოზე?

მაგრამ არა, ის უკვე დაღლილია.

ისევ მიიბჯენს შუბლზე იარაღს დაამბობს:

_არასოდეს მითხოვია გაჩენა.

და ისმის გასროლის ხმა: ბახ!

21

მე ამერიკელი ჰუმანისტების ასოციაციის თავმჯდომარე გახლავართ. ეს უფუნქციო თანამდებობა მწერლისა და ბიოქიმიკოსის, აიზეკ აზიმოვის, შემდეგ მივიღე. ეს ორგანიზაცია, მოსაწყენი საქმიანობა, იმისათვის გვჭირდება, რომ სხვებმა იცოდნენ, რა ბევრნი ვართ. უმჯობესია, ჰუმანურად ვიცხოვროთ და ზედმეტი არ ვილაპარაკოთ. ან ისევე ვიფიქროთ ამ საკითხზე, როგორც საკუთარ არსებობაზე ვფიქრობთ.

ჰუმანისტები ცდილობენ, იცხოვრონ პატიოსნად, ღირსეულად, ყოველგვარი დანაშაულებრივი ქმედებისა და სიკვდილის შემდეგ ჯილდოს მოლოდინის გარეშე. შემოქმედი ჩვენთვის სრულიად ამოუცნობი რჩება. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვემსახურებით არა ამ აბსტრაქციას, რომლის შესახებაც ცოტა რამ მაინც არის გასაგები, არამედ საკუთარ ყოფას.

ორგანიზებული რელიგიური წრეების მტრები ხომ არ ვართ? რა თქმა უნდა, არა!

ჩემმა ომისდროინდელმა მეგობარმა, აწ განსვენებულმა ბერნარდ ვ. ო’ჰარამ, რომელიც ომის დროს კათოლიკე იყო, რწმენა დაკარგა. ეს არ მომეწონა. ვფიქრობ, დიდი დანაკლისია.

მე არასოდეს მქონია რწმენა, რადგან საინტერესო და დიდი მორალის მქონე ადამიანებმა აღმზარდეს. თომას ჯეფერსონისა და ბენჯამენ ფრანკლინის მსგავსად, ისინიც სკეპტიკურად უყურებდნენ მღვდლების პუტუნს. მაგრამ ვგრძნობ, რომ ბერნიმ რაღაც მნიშვნელოვანი, აუნაზღაურებელი და ღირებული დაკარგა.

ვიმეორებ, მე ეს არ მომეწონა, რადგან ძალიან მიყვარდა. რამდენიმე წლის წინ, დოქტორ აზიმოვის ხსოვნის საღამოზე, ჰუმანისტების ასოციაციაში სიტყვით გამოვედი და წარმოვთქვი: "აიზეკი ახლა ცაშია!"

ეს იყო ყველაზე სასაცილო რამ, რისი თქმაც შემეძლო ჰუმანისტების საზოგადოებაში. ეკლესიის სკამებს შორის გადაცვივდნენ და სიცილით მუცლები დაიხეთქეს. დარბაზი მაგონებდა სამხედრო ტრიბუნალს ტრაუტის მოთხრობიდან, "სასაცილო არაფერია", როცა წყნარმა ოკეანემ მესამე ატომური ბომბი "ჯოს პრაიდი" და შეკრებილი საზოგადოება შთანთქა.

ღმერთო, დამიფარე! მე რომ მოვკვდები, ვინმე ოხუნჯი იტყვის: "ის ახლა ცაშია."

ძილი მიყვარს. ერთ წიგნში, სადაც ძველი მუსიკისათვის ახალი რექვიემი შევქმენი, აღვნიშნე, რომ ყველასათვის უკეთესი იქნებოდა, თუ შემდგომ ცხოვრებაში მხოლოდ ვიძინებდით. რა საჭიროა, ცაშიც იყოს წამების საკნები და ბინგო.

გუშინ, 1996 წლის 3 ივლისს, ოთხშაბათს, შესანიშნავი წერილი მივიღე კაცისგან, რომელსაც არავისთვის უთხოვია გაჩენა. ის ჯერ არასრულწლოვანთა გამოსასწორებელი დაწესებულების, შემდეგ კი, უფრო დიდი ხნის განმავლობაში, ზრდასრულთა ამავე ტიპის დაწესებულების პატიმარი იყო.

როდესაც ციხიდან გამოვიდა, ამ სამყაროში ერთი მეგობარი და მოკეთეც არ აღმოაჩნდა. როგორ უნდა მოიქცეს ათწლიანი შესვენების შემდეგ, როდესაც თავისუფალი ნება ისევ შეიპყრობს.

მე, ამერიკელი ჰუმანისტების ასოციაციის დამსახურებულმა პრეზიდენტმა, ვურჩიე, ეკლესიისათვის მიემართა. ამ უპატრონო და საბრალო კაცს აუცილებლად ესაჭიროებოდა რაღაც ოჯახის მსგავსი.

ასეთ პიროვნებას ჰუმანიზმისაკენ ნამდვილად ვერ მოვუწოდებდი.

გერმანელმა ფილოსოფოსმა, ათაშანგიანმა ფრიდრიხ ნიცშემ ბრძანა, რომ მხოლოდ ღრმადმორწმუნე ადამიანი თუ მისცემს საკუთარ თავს უფლებას, რელიგიური სკეპტიციზმით განიმსჭვალოს.

ჩემნაირი ჰუმანისტები, რომლებიც საშუალო ფენიდან გამოვიდნენ, მაგრამ საფუძვლიანი განათლება მიიღეს და წარმატებული ცხოვრება და კარიერა ჰქონდათ, უდიდეს ნეტარებას სწორედ ცოდნაში ჰპოვებენ. მაგრამ ადამიანების უმეტესობისატვის ეს შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

ვოლტერი, "კანდიდის" შემქმნელი და უდიდესი ფრანგი მოაზროვნე, მსახურებისაგან ჰუმანისტების აბრაამივით მალავდა, კათოლიკური ეკლესიისადმი სიძულვილს. იცოდა, რომ მათი ცხოვრება მთლიანად რელიგიით იყო მართული.

2001 წლის ზაფხულში ტრაუტს ერთგვარი მწუხარებით ვუამბე ჩემი რჩევის შესახებ. ტრაუტი დაინტერესდა, პასუხი თუ მივიღე ან რაიმე თუ ვიცოდი მის მომავალზე.

არც წერილი მიმიღია და არც არაფერი ვიცოდი.

მკითხა, ეკლესიაში სიარული თუ მიცდია, ისე, უბრალოდ თუნდაც საცდელად.

თვითონ ტრაუტს ნაცადი ჰქონდა.

_როდესაც მე და ჯილი დავქორწინდით, გადავწყვიტეთ, საეპისკოპოსო ტაძარში დაგვეწერა ჯვარი.

რაკი დაქორწინებული ვიყავი, უამრავი განმწმენდი რიტუალის აღსრულება მომთხოვეს.

_გასაგებია, _თქვა ტრაუტმა._წარმოიდგინე, როგორი განსაწმენდელი ელის უბადრუკ პატიმარს. იმ საცოდავს, ალბათ, მიიღებდა ეკლესია, მაგრამ მაშინვე უკან, ციხეში დაბრუნება მოუწევდა.

_რა ცოდვის გამო? შესაწირავის ყუთს გატეხდა?

_არა. იესოს განდიდებისათვის. თუკი, რა თქმა უნდა, მოკლავდა გინეკოლოგს, რომელიც აბორტებს აკეთებს.

დამავიწყდა, რას ვაკეთებდი 2001 წლის 13 თებერვლის შუადღეს, როცა დროის რღვევა მოხდა. არა მგონია, რაიმე მნიშვნელოვანი მომხდარიყო, ყოველ შემთხვევაში, წიგნს არ ვწერდი.

ზეცის მადლით, სამოცდათოთხმეტი წლის ვიყავი, ჩემი ქალიშვილი, ლილი კი_თვრამეტის.

ბებერი კილგორ ტრაუტი ისევ წერდა. იჯდა თავშესაფარში, თავის ლოგინზე და ყველა ფიქრობდა, რომ ვინსენტ ვან გოგი იყო.

სწორედ მაშინ შეიქმნა მოთხრობა ლონდონელ მუშაზე, ალბერტ ჰარდზე. მოთხრობასაც ასე ეწოდა.

ალბერტ ჰარდი 1896 წელს დაიბადა. თავი ფეხებშორის ჰქონდა, სასქესო ორგანოები _კისერზე. ძალიან ჰგავდა ყასაბს. მშობლებმა ხელებით სიარული და ფეხებით ჭამა ასწავლეს. ინტიმური ადგილები კი შარვალში დაუმალეს. ალბერტის გენიტალიები ისეთი დიდი არ იყო, როგორც ტრაუტის მამის ანეგდოტის გმირისა, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

მონიკა პეპერი გვერდით ოთახში იჯდა. ისინი ჯერ არ იცნობდნენ ერთმანეთს. მას, ზოლტანს და დადლი პრინცს ვერ წარმოედგინათ, რომ ქალი, რომელმაც სანაგვე ყუთში მოთხრობები ჩაყარა, მათ მეზობლად ცხოვრობდა. საუკეთესო შემთხვევაში, ის კონვენტ_ ავენიუზე მდებარე მოხუცებულთა თავშესაფარში ან წმინდა იოანეს სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრში უნდა ყოფილიყო. მონიკასა და ზოლტანის სახლი უსაფრთხო რაიონში მდებარეობდა, თორთლ_ ბეიში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობიდან შვიდი მილის მოშორებით. მონიკა სამსახურში ლიმუზინით დადიოდა. მანქანაში ზოლტანის სავარძელი იყო ჩამონტაჟებული. აკადემია წარმოუდგენლად მდიდარი იყო და ფულის პრობლემა არ ჰქონდა. ხელოვნების მოყვარულთა შემწეობით, ის უფრო მდიდარი იყო, ვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რამდენიმე წევრი ერთად. დაახლოებით ისე, როგორც მალი, შვეიცარია და ლუქსემბურგი.

შუადღისას ზოლტანი ლიმუზინში იჯდა. მას მონიკა უნდა წამოეყვანა და სწორედ ამ დროს მოხდა დროის რღვევაც. დარეკა თუ არა აკადემიის კარზე ზარი, დრომ 1991 წლის 17 თებერვალში გადაგვაგდო. ზოლტანი ათი წლით გაახალგაზრდავდა. რაც მთავარია, სრულიად გამოჯანმრთელდა.

რეკე, რამდენიც გინდა!

მივიღეთ თუ არა ბედის ეს საჩუქარი, ყველაფერი დასრულდა და თავისუფალი ნებით შეპყრობილნი იმ ჟამში დავბრუნდით, სადაც დროის რღვევამდე ვიყავით. პარალიზებული ზოლტანი ისევ ზარს რეკდა. ვერც კი გააცნობიერა, რა მოხდა. მისმა თითმა ინსტრუქცია მიიღო_ ღილაკზე აჭერდა და ზარიც ირეკებოდა.

რას აკეთებდა ზოლტანი, როცა გვერდით მიმავალი სახანძრო მანქანა დაეჯახა? მძღოლს ჯერ არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მანქანა თვითონ უნდა ემართა.

ტრაუტმა თავის მოთხრობაში, "ათი წელი ავტოპილოტზე", ყველაფერი თავისუფალ ნებას გადააბრალა. დროის რღვევამ და მისმა შედეგებმა ვერაფერი შეცვალეს და რაც მოხდა, მოხდა რაღაც სხვა ძალის ზექმედებით.

დროის რღვევის დროს მონიკა ხანადუს ბიუჯეტზე მუშაობდა. ფული, რის ხარჯზეც მოხუცებულთა თავშესაფარი ფუნქციონირებდა, იულიუს კინგ ბოუვენის ფონდიდან მოდიოდა. აკადემია კი საჭიროებისამებრ ანაწილებდა.

იულიუს კინგ ბოუენი მონიკას დაბადებამდე გარდაიცვალა. ამ თეთრკანიანმა, უცოლო კაცმა მთელი ქონება 1920-1930 წლებში შეიძინა, სასაცილო მოთხრობებითა და ლექციებით ამერიკელი შავკანიანების შესახებ, რომლებიც ცდილობდნენ, თეთრკანიანებისათვის მიებაძათ და ფიქრობდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში მსგავს წარმატებებს მიაღწევდნენ.

ისტორიულ რკინის აბრაზე, რომელიც ფოინთ ზიონის საზოგადო პლაჟსა და ხანადუს შორისაა გაკრული, მითითებულია, რომ 1922-30 წლებში აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბოუვენი. პრეზიდენტი უორენ გ. ჰარდინგი ბოუენს მოიხსენიებდა "ამერიკის სიცილის პრეზიდენტად, შავკანიანების დიალექტის ოსტატად, იუმორის მეფის, მარკ ტვენის ღირსეულ შთამომავლად". ეს აბრა 2001 წელს წავიკითხე. ტრაუტმა მაშინ აღნიშნა, რომ ჰარდინგმა თეთრი სახლის საკუჭნაოში, სტენოგრაფისტ ქალს უკანონო გოგონა გაუკეთა.

23

1991 წელს დროის რღვევამ ტრაუტი უკან გადმოისროლა. რატომღაც მაინც ახსოვდა, როგორ უნდა დაესრულებინა მოთხრობა ბიჭის შესახებ, რომელსაც თავი ფეხებშორის ჰქონდა, დინგ-დონგი კი-კისერზე. ფინალის დაწერა მთელი ათი წლის განმავლობაში ვერ შეძლო, ანუ იქამდე, ვიდრე თავისუფალმა ნებამ შეიპყრო.

ალბერტ ჰარდი მეორე მსოფლიო ომში, თავისი მეორე საბრძოლო ოპერაციის დროს, ნაკუწებად იქცა. მისი პირადი ნიშანი ასეც ვერ აღმოაჩინეს, სხეულის ნაწილები შეაგროვეს და ისევე, როგორც სხვებს, თავი კისერზე მიადგეს. დინგ-დონგი ვერ იპოვნეს და გულწრფელად რომ ვთქვათ, არც უძებნიათ.

ალბერტ ჰარდი საფრანგეთში დაკრძალეს, უცნობი ჯარისკაცის სასაფლაოზე.

"მხოლოდ იქ გახდა ისეთი, როგორც ყველა".

დროის რღვევამ მეც ლონგ _ აილენდის გვერდით სახლში, ნიუ-იორკში გადამისროლა, იქ, სადაც ახლაც ვწერ. 1991 წელს თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ახლა _ როგორც ჰერმან მელვილის ვეშაპებზე მონადირეები _ ერთმანეთს რომ არ ელაპარაკებოდნენ. მათ უკვე თქვეს ყველაფერი, რისი თქმაც შეეძლოთ.

2001 წელს მე ჩემი ბავშობის მეგობრის, ჟღალთმიანი დევიდ კრეიგის შესახებ ვუამბე, დღეს ის უბრალო ახალორლეანელი მშენებელია, მაგრამ ჩემსა და ტრაუტის ომში ბრინჯაოს ვარსკვლავი მოიპოვა, რადგან ნორმანდიაში გერმანელების ტანკი ააფეთქა.

მან და მისმა მეგობარმა ტყეში რკინის ურჩხული იპოვეს.

ძრავა არ უმუშავებდა.

გარშემო არავინ იყო.

შიგნიდან რადიოს ხმა ისმოდა.

პოპულარული მელოდია ჟღერდა.

დევიდი და მისი მეგობარი ბაზუკის მოსატანად წავიდნენ. როცა დაბრუნდნენ, ტანკი ისევ იქ იყო და რადიოც უკრავდა.

ესროლეს, მაგრამ გერმანელები არ გადმოსულან.

რადიო დადუმდა.

აი,სულ ეს იყო!

დევიდმა და მისმა მეგობარმაც უკანმოუხედავად მოკურცხლეს.

ტრაუტის აზრით, ჩემი მეგობარი ჯილდოს იმსახურებდა.

_ალბათ, ხალხიც ასეთივე წარმატებით ამოხოცა, როგორც რადიო, _ თქვა მან._ გამოდის, რომ ისინი უიმედო და უშედეგო მოქალაქეობრივი ყოფიერებისგან გაათავისუფლეს. მისცეს საშუალება, როგორც იტყოდა ინგლისელი პოეტი, ა.ე. ჰაუსმენი: "დახოცილიყვნენ დაფნის გვირგვინით შუბლდამშვენებულნი და არასოდეს დაბერებულიყვნენ."

ტრაუტი შეჩერდა. მარცხენა ხელით ზედა ყბა გაისწორა და განაგრძო:

_ოდნავ მეტი ნებისყოფა რომ მქონოდა, დავწერდი ბესტსელერებს, შევქმნიდი სრულფასოვან, სამგანზომილებიან გმირებს. ბიბლია საუკეთესოა ოდესმე შექმნილ მოთხრობათა შორის, მაგრამ მაინც ვერც ერთი ამბავი ვერ იქნება ისეთი პოპულარული, როგორც შეყვარებული წყვილის თავგადასავალი, თუკი შეერთებულნი არიან არა ქორწინებით, არამედ გრძნობით და რაიმე მიზეზით ერთმანეთს შორდებიან.

ჩემი ერთ-ერთი ნაშვილები დისწული, სტივ ადამსი, გამახსენდა.

ელის უბედური ქმრის, ჯიმის, სიკვდილიდან ორ დღეში, ელიც გარდაიცვალა_კიბოთი და სხვა ყველაფრით.

დორტმუნდში გატარებული პირველი წლის შემდეგ სტივი კონცხ კოდზე დაბრუნდა. გულაჩუყებული იყო. ჰემინგუეის "მშვიდობით, იარაღო!" წაეკითხა თავისი პროფესორის რჩევით. სტივი კომედიებს წერს კინოსა და ტელევიზიისათვის. ისეთი აღფრთოვენებული იყო, რომ ხელახლა წაკითხვა გადავწყვიტე. რას უნდა აღეფრთოვანებინა?

"მშვიდობით, იარაღო!" აღმოჩნდა პამფლეტი ქორწინების ინსტიტუტის წინააღმდეგ.

ჰემინგუეის გმირი ომში დაიჭრა.

მას და მის ექთანს ერთმანეთი შეუყვარდათ. თაფლობის თვე ბრძოლის ველისაგან მოშორებით გაატარეს.

მიირთმევდნენ საუკეთესო საჭმელს, აყოლებდნენ საუკეთესო ღვინოს.

არ დაქორწინებულან.

შემდეგ ქალი დაორსულდა, თითქოსდა იმის დასამტკიცებლად, რომ მისი რჩეული ჭეშმარიტი მამაკაცი იყო.

როდესაც ქალი და ბავშვი დაიღუპნენ, კაცს ერთიღა დარჩენოდა_ეშოვნა რეგულარული სამსახური, ბინა, დაზღვევა და შეენარჩუნებინა მშვენიერი მოგონებები.

სტივს ავუხსენი, რომ მისი ცრემლები ჰემინგუეის მიერ მოგვრილი შვების ცრემლები იყო. ისეთი პირი უჩანდათ, უნდა დაქორწინებულიყვნენ, მაგრამ კაცი სიკვდილმა იხსნა.

აი, ასე! როგორ გაუმართლა!

ტრაუტმა მითხრა, რომ მხოლოდ ერთი წიგნის გახსენება შეუძლია, სადაც ქორწინება ასევე ისჯება.

_რომელი?_ვკითხე.

_დევიდ ტოროს "ოულდენი."

_ჩემი საყვარელი წიგნი!_მივუგე.

24

1996 წელს ლექციებზე ვქადაგებდი, რომ ამერიკული ოჯახების უმეტესობა განწირულია დიდი, მყარი ოჯახების არქონის გამო. ქორწინებისას ნებისმიერი თქვენგანი მხოლოდ ერთ ადამიანს ირთავს. გარწმუნებთ, რომ ცოლ-ქმარი არ კინკლაობს ფულის, სექსის, ან პირველობის გამო. ჩხუბით მხოლოდ ერთის თქმა უნდათ:

"შენ მეტისმეტად ცოტა ხარ!"

ზიგმუნდ ფროიდმა არ იცოდა, რა უნდოდათ ქალებს.

მე კი ვიცი.

მათ დიდი აუდიტორია ესაჭიროებათ თავიანთი მჭერმეტყველების დემონსტრირებისათვის.

ტრაუტის მადლიერი ვარ ცოლ-ქმრული საათის კონცეფციისათვის, რაც მათი სიახლოვის ერთგვარ საზომს წარმოადგენს. ცნობისათვის, ცოლქმრული საათი

არის დროის მონაკვეთი ერთ საათში, როდესაც ქალი და კაცი, სიახლოვის დროს, არ ყვირიან, თუ რა თქმა უნდა, საერთოდაც სურთ ერთმანეთთან ლაპარაკი.

მოთხრობაში, "ოქროს ქორწილი", ტრაუტი ამბობს, რომ ქალსა და მამაკაცს სულაც არ სჭირდებათ ლაპარაკი იმისათვის, რომ ცოლქმრული საათი ერთად გაატარონ.

"ოქროს ქორწილი" კიდევ ერთი მოთხრობაა, რომელიც დადლი პრინცმა სანაგვე ურნას დროის რღვევამდე გამოსტაცა. მოთხრობაში ლაპარაკია მეყვავილეზე, რომელიც ცდილობს, თავისი შემოსავალი ერთად მომუშავე, ან ერთი საქმით დაკავებული წყვილების მეშვეობით გაზარდოს.

როგორ?

იქნებ, როგორმე, წელიწადში რამდენჯერმე აღნიშნონ ქორწინების დღე.

მისი გამოთვლით, წყვილები, რომლებიც ცალ-ცალკე მუშაობენ, ერთად ატარებენ ოთხ ცოლქმრულ საათს –სამუშაო დღეებში, თექსვმეტ საათს_შაბათ-კვირას.

ძილის საათები არ ითვლება.

ეს, საშუალოდ, კვირაში ოცდათექვსმეტ ცოლქმრულ საათს გვაძლევს. მიღებული რიცხვი ორმოცდათორმეტზე გაამრავლა, დაამრგვალა და მიიღო რვაასი ცოლქმრული საათი.

შემდეგ სარეკლამო განცხადება განათავსა, სადაც იუწყებოდა, რომ წყვილებს, რომლებსაც ამდენი დრო ჰქონდათ ერთად გატარებული, კიდეც უნდა ედღესასწაულათ თავიანთი ქორწინება და ერთმანეთისათვის საჩუქრები და ყვავილები მიეძღვნათ.

წყვილებს რომ მართლა შეეგროვებინათ ცოლქმრული საათები_როგორც მეყვავილე ამბობდა, მე და ჩემი ორივე ცოლი ლალის ქორწილს ოც წელიწადში გადავიხდიდით, ოქროსას-ოცდახუთში.

არ ვაპირებ ჩემი პირადი გრძნობების განხილვას. მხოლოდ ერთს ვიტყვი: გულგრილად ვერ ვუყურებ, როგორ არიან ქალები აწყობილი. მინდა, მოვკვდე სურვილით, ძუძუებსა და თეძოებზე ხელების ფათურით.

მოდი, ვაღიაროთ, რომ სექსი ყველაზე კარგი რამ არის სატანის ინგრედიენტებს შორის, რომელიც ევას ვაშლში გაურია.

მაგრამ იმასაც ვიტყოდი, რომ ვაშლს ისევ ჯაზი მირჩევნია.

მატარებელი, რომლითაც ელის ქმარი მგზავრობდა, ელის სიკვდილამდე ორი დღით ადრე გახსნილი ხიდიდან გადავარდა.

უფრო უცნაურია, ვიდრე ფანტასტიკური.

მისმა გამოგონილმა სათამაშომ ჯიმი ვალებში ჩააგდო. ეს იყო საცობიანი რეზინის ბურთი, ერთგვარი კანიანი თიხა. გარედან კლოუნი ეხატა. შეგეძლოთ, ცხვირი დაგეგრძელებინათ ან თვალები გამოგეწიათ.

“ფუთი ფუსი” შეარქვა.

“ფუთი ფუსმა” ასეც ვერ მოიპოვა პოპულარობა. უფრო მეტიც, მისმა წარმოებამ და რეკლამირებამ ჯიმი ვალებში ჩააგდო.

ელი და ჯიმი წარმოშობით ინდიანაპოლისიდან იყვნენ და ნიუ-იორკში ცხოვრობდნენ. ოთხი ბიჭი ჰყავდათ. უმცროსი წლისაც არ იყო.

და არც ერთს არ უთხოვია გაჩენა. …

ჩვენი ოჯახის გოგოები და ბიჭები, ისევე, როგორც ელი, ნიჭიერები არიან. ზოგი ხატავს, ზოგი ძერწავს. ჩემი და ჯეინის ორი ქალიშვილი, ედიტი და ნინეტი, პროფესიონალი მხატვრები გახდნენ. გამოფენებსაც აწყობენ და ნახატებსაც ყიდიან. ელიც შეძლებდა ამის გაკეთებას, თუ უფრო ნაყოფიერად, აზრიანად გამოიყენებდა თავის დროს. მერი ხშირად იმეორებდა: “რეი, ნიჭიერი ხარ, მაგრამ აუცილებელი არ არის, ეს ნიჭი რამეში გამოიყენო”.

ნოველაში, “ლურჯი წვერი” ვწერ :

“გეშინოდეთ ნიჭით შემამკობელი ღმერთისა." როდესაც ამ სიტყვებს ვწერდი, ალბათ, ელიზე ვფიქრობდი. მაშინაც, როცა &ქუოტ; დროის რღვევა 1-ში”მონიკა პეპერს აკადემიის რკინის კარზე საღებავით დავაწერინე: “გავკარი ხელოვნებას !”

ელიმ არაფერი იცოდა ამ ინსტიტუტის შესახებ. მერის კი, დარწმუნებული ვარ, მოეწონებოდა, სადმე რომ ენახა. ჩვენი არქიტექტორი მამა აღფრთოვანებული იყო ელის რამდენიმე ნამუშევრით. თავის ქალიშვილს ახალ მიქელანჯელოდ თვლიდა. როგორ იტანჯებოდა საბრალო ელი ამის გამო! ის ხომ არც სულელი იყო და არც უგემოვნო! ეგონა, მისი ნიჭი ლიმიტირებული იყო და ამიტომ სრულიად დაკარგა სიამოვნების განცდა, რომელიც მუშაობის პროცესში ეუფლებოდა.

მე ათი წლის ვიყავი, ელი თხუთმეტის, ჩემს უფროს ძმას, დაბადებიდან მეცნიერ ბერნის, თვრამეტი წლის შეუსრულდა.

ერთხელ, ვახშმობისას, განვაცხადე, რომ ქალებს არაფერი შეუძლიათ და ყველაზე გამოჩენილი მზარეულები და ტანსაცმლის დიზაინერებიც კი, კაცები არიან.

დედამ თავზე ერთი გრაფინი წყალი გადამასხა.

მართალია, მამა აღფრთოვანებული იყო ელის ნიჭიერებით, მაგრამ დედას უნდოდა, მდიდარ კაცზე გათხოვილიყო. დიდი დეპრესიის დროს ელისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. ჩემმა მშობლებმა დიდი ფინანსური მსხვერპლი გაიღეს, როდესაც ტიუდორ ჰოლის სკოლაში გაგზავნეს. არადა, ოთხი კვარტლის მოშორებით მდებარეობდა შორტრიჯის უმაღლესი სკოლა, სადაც მე თავისუფალი, სრულფასოვანი და ჰეტეროსექსუალური განათლება მივიღე.

ჩემი პირველი ცოლის მშობლებმა, ჰარვი და რია კოქსებმაც, იქ გაგზავნეს ერთადერთი ქალიშვილი. ძვირფასი ტანსაცმლით მოსავდნენ, უკანასკნელ კაპიკებს იხდიდნენ, ოღონდაც კი მათი შვილი ვუდსტოკის გოლფის კლუბის წევრი გამხდარიყო, რათა მდიდარი და სახელოვანი ოჯახიდან გამოსულ კაცს გაჰყოლოდა ცოლად.

დიდმა დეპრესიამ გადაიარა და მეორე მსოფლიო ომიც დასრულდა. საზოგადოება მოიცვა იდეამ, რომ მდიდარი ოჯახიდან გამოსულ კაცებს ცოლად უნდა შეერთოთ არისტოკრატული მანერებით აღზრდილი ქალები, რომელთა მშობლებს ღამის ქოთნის ყიდვაც არ შეეძლოთ. მაგრამ ეს იდეა ისეთივე აბსურდული იყო, როგორც თიხის ბურთების გაყიდვა.

მაგრამ ბიზნესი ბიზნესია!

ყველაზე მეტი, რაც ელიმ მოახერხა, ის იყო, რომ ცოლად გაჰყვა ჯიმ ადამსს, ლამაზ, მომხიბვლელ,სასაცილო ბიჭს, რომელსაც არც ფული ჰქონდა, არც პროფესია და ჯარში მსახურობდა_საზოგადოებასთან ურთიერთობების ცენტში.

ყველაზე მეტი, რაც ჯეინს შეეძლო, ეს იყო, გაჰყოლოდა კაცს, რომელმაც კორნელში ვერც ერთი გამოცდა ვერ ჩააბარა და არც არაფრის გაკეთება შეეძლო. წავიდა ომში, პირველი კლასის რიგითის წოდებით დაბრუნდა და როდესაც თავისუფალმა ნებამ შეიპყრო, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა უნდა ეღონა.

ჯეინს მხოლოდ ძვირფასი კაბები და კარგი მანერები კი არ ჰქონდა! ის Phi -ს წევრი და ცნობილი მწერალი იყო.

სერიოზულად ვფიქრობდი, რაიმე სახის მეცნიერებისათვის ხომ არ მიმეყო ხელი.

იქნებ, სჯობდა ერთი გამოთაყვანებული მეცნიერი გავმხდარიყავი?

მე ხომ მაქვს სათანადო განათლება?!

ოქსფორდის ციტატების ლექსიკონის მერვე გამოცემაში ინგლისელი პოეტის, ტეილორ კოლრიჯის (1772_1834), სიტყვები წერია: “უნდა ინატრო, რომ ხანდახან მაინც შეძლო სულიერი ეჭვის მიძინება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოეზიას ვერ შექმნი”.

უნდა გჯეროდეს სისულელის, თუ არა და, ლექსები, რომანები, მოთხრობები და პიესები სიამოვნებას ვერ მოგანიჭებენ. თუმცა, ზოგიერთი მწერლის ნათქვამი ისეთი სულელური გეჩვენება, რომ დაჯერება გიჭირს.

მაგალითად, ვინ დაუჯერებს კილგორ ტრაუტს, როდესაც წაიკითხავს მის მოთხრობას: "ათი წელი ავტოპილოტზე”

“მზის სისტემაში არის ერთი პლანეტა, რომლის მოსახლეობა იმდენად გონებაჩლუნგია, მილიონი წლის განმავლობაშიც ვერ მიხვდა, რომ პლანეტას მეორე ნახევარიც აქვს. ეს სულ რაღაც ხუთასი წლის წინ შეიტყეს!

მხოლოდ ხუთასი წლის წინ, არადა, ჰომო-საპიენსებად მოაქვთ თავი!

გონებაჩლუნგი? გინდათ, თქვათ, გონებაჩლუნგი? პლანეტის მეორე ნახევარზე ცხოვრობდა ხალხი, რომელთაც ისიც კი არ იცოდნენ, რომ ანბანი ჰქონდათ! წარმოიდგინეთ, ბორბალიც კი არ გამოეგონებინათ!”

დაგვასვენეთ, მოგვეშვით, მისტერ ტრაუტ!

ტრაუტს ყველაზე მეტად ამერიკელი აბორიგენები ეზიზღებოდა. იმათ კიდეც მოიმკეს თავიანთი სიდებილის ნაყოფი.

ნოამ ჩომსკი, მასაჩუსეცის ინსტიტუტის პროფესორი, სადაც ჩემი ძმა, მამა და ბაბუა სწავლობდნენ და საიდანაც ბიძაჩემი (დედის მხრიდან), პიტერ ლეიბერი, გარიცხეს, ამბობდა: “არსებობს მონაცემები, რომ როდესაც კოლუმბმა კონტინენტი “აღმოაჩინა”, ამერიკის მოსახლეობა ოთხმოც მილიონს შეადგენდა, ეს კი, როგორც ვთქვით, თორმეტი-თხუთმეტი მილიონით მეტია რიო-გრანდეს მცხოვრებთა რაოდენობაზე”.

ჩომსკი განაგრძობს: “1650 წლისათვის ლათინური ამერიკის მცხოვრებთა თითქმის ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი ამოწყვიტეს. აშშ-ს საზღვრები რომ გახსნეს, სადღაც ორასი ათასი კაცი თუ იყო დარჩენილი."

ჩემი აზრით, ტრაუტს არ სურს, აბორიგენების კიდევ უფრო დამცირება და რიტორიკულ კითხვას სვამს:

_ როდის იყო ბედნიერი კაცობრიობა? როდესაც აღმოაჩინა პლანეტის მეორე ნახევარი, ატომური ბომბი, თუ მანამდე?

ატომურმა ენერგიამ ხელი მიაუთავა ადამიანებს, პლანეტის მეორე ნახევრის აღმოჩენამ გააუბედურა და ვერც ანბანისა და ბორბლის შექმნამ მოჰგვარა შვება.

ასეთი საზიზღარი აზრები რომ მაქვს თავში, იმიტომაც ვწერ კარგად.

ორი ნახევარსფერო უფრო კარგია, თუ ერთი?

ერთ ანეგდოტს გავიხსენებ.

მეცნიერული თვალსაზრისით, არც კარგია, არც ცუდი და საერთოდ, კაპიკადაც არ ღირს.

დედაჩემის ბაბუა ერთი ნახევარსფეროდან წავიდა მეორეზე, რათა ფეხში დაჭრილიყო. ეს ჩვენი არასამოქალაქო სამოქალაქო ომის დროს მოხდა.

პიტერ ლეიბერი ერქვა. ინდიანაპოლისში ლუდის მწარმოებელი ქარხანა იყიდა და კარგად აამუშავა.1989 წელს, პარიზის გამოფენაზე, მისმა ლუდმა ოქროს მედალი მოიპოვა. და რაც ყველაზე საინტერესოა, მისი საიდუმლო ინგრედიენტი იყო ყავა.

პიტერმა საქმე თავის შვილს, ბაბუაჩემს, გადაულოცა. ის კი მშობლიურ ნახევარსფეროზე დაბრუნდა. ეგონა, იქ უკეთ იცხოვრებდა. სასკოლო წიგნებში

ინტენსიურად ბეჭდავდნენ ფოტოსურათებს, სადაც ნაჩვენებია, როგორ ბრუნდებიან ემიგრანტები სამშობლოში.

სინამდვილეში, ისინი სხდებოდნენ გემებში და ბრუნდებოდნენ იქ, საიდანაც ოდესრაც აიყარნენ.

ეს ნახევარსფერო ვარდებით მოფენილი არ არის.

აქ დედაჩემმა მოიკლა თავი და ხიდიდან გადავარდა მატარებელი, რომელშიც ჩემი სიძე იჯდა.

27

დროის რღვევის შემდეგ, 1991 წელს, კილგორ ტრაუტმა დაწერა მოთხრობა, "ძაღლის საუზმე". ეს იყო შეშლილი მეცნიერის, ფლეონ სანოკოს ამბავი, რომელიც ჯანდაცვის ნაციონალურ ინსტიტუტში გამოკვველევებს აწარმოებდა. ექიმი …სანოკო დარწმუნებული იყო, რომ ნიჭიერ ადამიანებს თავში ერთგვარი რადიო-მიმღები ჰქონდათ და ნათელ იდეებს მისი მეშვეობით ღებულობდნენ.

„ნიჭიერებს საიდანღაც მიეწოდებათ დახმარება,"_ მითხრა ერთხელ ტრაუტმა. …

მართალია, სანოკოს სულელად მიიჩნევდა, მაგრამ როგორც ჩანს, თავადაც სჯეროდა, რომ არსებობდა დიდი კომპიუტერი, რომელმაც რადიო-გადაცემის მეშვეობით ზუსტი ინსტრუქცია მიაწოდა პითაგორას_ სამკუთხედის, ნიუტონს_გრავიტაციის, დარვინს_ევოლუციის, პასტერს_ჩანასახის, აინშტაინს კი ფარდობითობის თეორიის შესახებ.

სადაც არის და როგორიც არის, ეს კომპიუტერი თავს გვაჩვენებს, თითქოს ჩვენი დახმარება უნდა. სინამდვილეში, ჩვენს დაღუპვას ცდილობს. ჩვენს მოცილებაზე ფიქრი გადაიყოლებს, თქვა კილგორ ტრაუტმა.

ტრაუტი „ძაღლის საუზმის" ხელახლა დაწერის წინააღმდეგი არ იყო. ისევ დაწერდა და გადაყრიდა იქამდე, ვიდრე თავისუფალი ნება შეგვიპყრობდა.

_დაწერა, გადაწერა _ ჩემთვის ორივე ერთია. ოთხმოცი წლის ასაკშიც ისეთივე ვარ, როგორიც თოთხმეტი წლისა ვიყავი, როდესაც, მოვკიდებდი თუ არა კალამს ხელს, მოთხრობა თავისთავად იწერებოდა. იცი, რატომ ვეუბნები ხალხს, რომ ვან გოგი მქვია?-მკითხა მან._ უნდა აღვნიშნო, რომ ვან_გოგმა, ირლანდიელმა მხატვარმა, რომელიც სამხრეთ საფრანგეთში ხატავდა და ვისი ნამუშევრებიც ჩვენს დროში შედევრებად აღიარეს, სიცოცხლეში ორი სურათი გაყიდა. მთავარი ეს კი არ არის, რომ მასაც ჩემსავით ფეხებზე ეკიდა სურათის გაყიდვა და სძულდა ქალები, თუმცა, გარკვეული აზრი ამაშიც არის. მთავარი მსგავსება ის არის, რომ აღფრთოვანებული იყო თავისი ნახატების მნიშვნელობითა და სიდიადით. რა მოხდა, თუ მათში კაპიკსაც არავინ უხდიდა. მეც აღფრთოვანებული ვარ ჩემი მოთხრობებით და არც მე მიხდიან ფულს.

როგორ გამიმართლა, არა?

ტრაუტი თვითონვე იყო საკუთარი თავის პუბლიკა. სხვა არც სჭირდებოდა. ამიტომაც გადაიტანა დროის რღვევა ასე ვაჟკაცურად. მიმდინარე მოვლენები სამყაროს შეშლის სრულიად საკმარისი მტკიცებულება იყო. სამყარო ისევე არ იმსახურებდა პატივისცემას, როგორც მისი ეკონომიკური კრიზისები, სნეულებები, კინოვარსკვლავები და ა.შ.

როცა თავისუფალმა ნებამ შეგვიპყრო, მეზობელ აკადემიაში ყველას ნაციონალურ გმირად მოევლინა. შეიძლება იმიტომ, რომ déjà vu -სა და ჭეშმარიტ ცხოვრებას შორის განსხვავებას ვერ ხედავდა.

მოგიყვანთ ერთ ფრაზას წიგნიდან „ათი წელი ავტოპილოტზე“ და დარწმუნდებით, რომ ჩვენგან განსხვავებით, დროის რღვევას მასზე არ უმოქმედია:

„მე არ ვსაჭიროებდი დროის რღვევას. ცხოვრება რომ ნაგავია, ეს ისედაც ვიცოდი ბავშვობიდან, ეკლესიიდან და ისტორიიდან“.

დოქტორი ფლეონ სანოკო ძალიან მდიდარი იყო. საფლავის ქურდებს ქირაობდა, რათა მენსის კლუბის წარჩინებული მიცვალებულების ტვინები მიეტანათ. კლუბის წევრები უმაღლესი ინტელექტულური განვითარების ადამიანები იყვნენ. როგორც წესი, მათ სპეციალიზებული ტესტებით არჩევდნენ. შედარებისთვის კი უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპული ადამიანების ტვინებს უგზავნიდნენ. მაგალითად, ვინც წითელ შუქზე გადაჭრა გზა, ან პიკნიკზე ბენზინით ცეცხლი აანთო და ა. შ. გარშემო მყოფთ ეჭვი რომ არ აღძვროდათ, ახალ ტვინებს იქვე მდებარე სასადილოდან მოპარული კალათებით აწვდიდნენ. კალათზე ეწერა: „შემწვარი წიწილები კენტუკიდან“ სანოკოს ხელმძღვანელობას წარმოდგენაც არ შეეძლო, რას აკეთებდა იქ გვიანობამდე. ერთი კი აღნიშნეს, რომ როგორც ჩანს, ძალიან უყვარს შემწვარი ქათმის ხორცი, დიდი რაოდენობით ყიდულობს და არავის უნაწილებს. ძალიან უკვირდათ, რომ ასეთი კვების მიუხედავად, ისეთივე გამხდარი იყო.

სანოკო ქმნიდა აბებს, რომლის მიღების დროს სექსი ადამიანს სიამოვნებას აღარ ანიჭებს და მოზარდები სრულიად კარგავენ მისდამი ინტერესს.

ღამით, როდესაც მარტო რჩებოდა, რადიო_გადამცემის ძიებაში, ტვინებს თხელ ნაჭრებად ჭრიდა. დარწმუნებული იყო, რომ რადიო_გადამცემი ერთგვარი ხორცის ნაჭერი უნდა ყოფილიყო, რადგან ადამიანებს დაბადებიდან ჰქონდათ. საიდუმლო ჟურნალებში სანოკო წერდა: "ადამიანის ტვინი, არც მეტი, არც ნაკლები, ძაღლის საუზმეა. ეს სამნახევარფუტიანი, სისხლით გაჟღენილი ღრუბლები, სხვისი დახმარების გარეშე ვერაფრით დაწერდნენ, თუნდაც, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას.

ერთხელ, ღამით, მენსის კლუბის წევრის ყურიდან მდოგვის მარცვალზე ოდნავ დიდი ზომის ცინგლისფერი ნივთიერება ამოიღო, რომლის მეშვეობითაც, სანოკოს აზრით, განსვენებული სკოლის ასაკიდანვე იმარჯვებდა სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონკურსებში.

ევრიკა!

ხელახლა გადაამოწმა ერთი უტვინო ქალის ყურები, რომელიც გორგოლაჭებიანი ფეხსაცმლით სეირნობის დროს გვერდით მიმავალი მანქანის სახელურს ჩააფრინდა.

შეამოწმა და ვერაფერი აღმოაჩინა.

ევრიკა!

სანოკომ გამოიკვლია ორმოცდაათ ტვინზე მეტი.

ნაწილი ისეთი დებილებისა იყო, რომ ნაოჭი არ გააჩნდა, ნახევარი კი ისეთი ჭკვიანებისა, რომ არც იმათ აღენიშნებოდათ ნაოჭის ნიშან_წყალი. პატარა კოპები მხოლოდ ზოგიერთი მეცნიერის ტვინში აღმოაჩინა.

უდავოდ ამ კოპში იმალებოდა საიდუმლო, რომელიც მათ I Q ტესტის გავლაში ეხმარებოდა. ეს რომ უბრალო ხორცის ნაჭერი ყოფილიყო, ისევე დაეხმარებოდა, როგორც მუწუკი წერის დროს. რა თქმა უნდა, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო რადიო_გადამცემი.

ეს აღმოჩენა ნობელის პრემიას იმსახურებდა!

მის გამომზეურებამდე სტოკჰოლმში გაემგზავრა შარვალ-კოსტუმის შესაძენად.

28

ტრაუტი წერს: „ფლეონ სანოკომ ეროვნული ჯანდაცვის ავტოსადგომზე მოიკლა თავი. ეცვა ახალი პიჯაკი, რომელსაც ვეღარასოდეს ჩაიცვამს სტოკჰოლმში. საბრალო მიხვდა, რომ ეს აღმოჩენა მას არ ეკუთვნოდა.

საკუთარმა გამარჯვებამ კრახი განაცდევინა.

ვინ შეძლებდა ასეთი აღმოჩენის გაკეთებას სხვისი დახმარების გარეშე, მხოლოდ „ძაღლის საუზმის“ იმედად, გარეშე ძალების ჩაურევლად?"

ათი წლის შემდეგ, როდესაც თავისუფალმა ნებამ შეგვიპყრო, განხორციელდა ტრაუტის გარდასვლა დეჯა ვუ-დან უსაზღვრო შესაძლებლობების სამყაროში. დროის რღვევამ გადაისროლა დრო-სივრცულ კონტინიუმში, სადაც ისევ შეეძლო მოთხრობების წერა ბრიტანელ ჯარისკაცზე, რომლის თავმა და სასქესო ორგანოებმა ადგილები შეინაცვლეს. უკუსვლა უჩუმრად დასრულდა. ყველა, ვინც ტრანსპორტს მართავდა, მისი მგზავრი ან მომლოდინე იყო. ენერგიის მოზღვავება იგრძნო.

მთელი ათი წლის განმავლობაში მანქანები ადამიანების მსგავსად აკეთებდნენ იმას, რასაც პირველ ათწლეულში. მაშინაც კი, როდესაც იცოდნენ, რომ ფატალური ფინალი გარდაუვალი იქნებოდა.

ასეც დაწერა ტრაუტმა თავის მოთხრობის ერთ თავში: „დროის რღვევამდე, თუ მას შემდეგ, ყველაზე თანამედროვე სატრანსპორტო საშუალება რუსული რულეტია."

მეორე ფატალურ შედეგზე სამყარო აგებდა პასუხს და არა კაცობრიობა. ადამიანებს ეგონათ, მართვის სადავეები ეპყრათ ხელში, მაგრამ ეს ასე არ იყო. მათ არ შეეძლოთ მართვა.

ისევ ტრაუტს მივმართოთ: „ცხენმა იცის თავისი სადგომისკენ მიმავალი გზა“.

მაგრამ მეორე ათწლეული რომ დასრულდა, ცხენი, რომელშიც უნდა მოვიაზროთ ყველაფერი_სკუტერიდან, რეაქტიულ თვითფრინავამდე_გზას ვეღარ იგნებს. ასე რომ, ადამიანმა, თუ არ უნდა, რომ ნიუტონის ქმედების კანონების მსხვერპლი აღმოჩნდეს, თვითონვე უნდა მართოს მისი გეზი.

ტრაუტი აკადემიის მახლობლად, თავის საწოლზე იჯდა და არ მართავდა არაფერს, გარდა ერთი ბურთულიანი კალმისა.

თავისუფალმა ნებამ რომ შეგვიპყრო, მაშინაც თავის საქმეს განაგრძობდა. დაასრულა მოთხრობა, „ნარატივის ფრთები&ქუოტ;, რომელმაც თავად ავტორი გადაისროლა იქით, რაც ნებისმიერ ჩვენგანს უფსკრულად მოეჩვენებოდა.

როცა თავისი შთანმთქმელი საქმიანობა _ მოთხრობის წერა_დაასრულა, მაშინღა გააცნობიერა, რა ხდებოდა გარეთ, მსოფლიოში, ანუ, თუ დავაკონკრეტებთ, სამყაროში, თუკი იქ საერთოდ რამე ხდება.

ადამიანს, რომელიც კულტურისა და საზოგადოების გარეშე არსებობს, მაინც შეუძლია ოკამის სამართებლის ან პარსინგის კანონის გამოყენება. საერთოდ, ფენომენის ყველაზე გონივრული განმარტების ათი ვერსიიდან ცხრა უფრო ჭეშმარიტებაა, ვიდრე გამოგონება.

ტრაუტის გონი მხოლოდ იქით იყო მიმართული, რომ მოთხრობა დაესრულებინა. საერთოდ არ უშლიდა ხელს სამყაროში მიმდინარე ძვრები, რომელთა მართვა ან უმართაობა მის ძალებს აღემატებოდა. ბებერი ფანტასტი მივიდა მარტივ ჭეშმარიტებამდე: ყველა ჩვენგანი განიცდის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განცდილს. არავინ მომკვდარა და არც გაგიჟებულა იმის გამო, რომ სამყარო უკუღმა დატრიალდა, შემდეგ გაფართოება დაიწყო და ყველა და ყველაფერი რობოტად აქცია.

თავისთავად დადგინდა, რომ სამყაროს შეცვლა შეუძლებელია.

ისევ 2001 წლის 13 თებერვალია, შუადღე, ნიუ-იორკი, სადღაც, ჯანდაბაში მდებარე ას ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩა და....

უეცრად, ისევ თავისუფალმა ნებამ შეგვიპყრო.

deja vu - დან შეუზღუდავი შესაძლებლობების სამყაროში გადავვარდი. უცხო თვალს მოეჩვენებოდა, რომ მაშინვე ვისარგებლებდი თავისუფალი ნებით, როგორც კი საშუალება მომეცემოდა, მაგრამ დროის რღვევამდე რამდენიმე წამით ადრე მუხლებზე ქათმის ბულიონი გადავისხი. მაშინვე წამოვხტი და

შარვლიდან მაცარონი ჩამოვიფერთხე. ამ დროს დროის რღვევაც დასრულდა. თავისუფალმა ნებამ რომ შეგვიპყრო, ბულიონის ინგრედიენტებისგან შარვალის გაწმენდას ვცდილობდი, სანამ სითხე გაატანდა და დამწვავდა.

ტრაუტის თქმით, ჩემი ქმედება რეფლექსური იყო და არაფრით ჰგავდა თავისუფალი ნების გამოვლინებას.

_შენ რომ დაფიქრებულიყავი,- მითხრა ტრაუტმა,- შარვალს გაიხდიდი. ის ხომ ისედაც დასვრილი იყო. როგორც არ უნდა გაგეწმინდა, წვენი მაინც გაატანდა ქსოვილში და დაგწვავდა.

ჩვენს სამყაროში ტრაუტი ერთ-ერთი პირველი შეიპყრო თავისუფალმა ნებამ. მერე რა, რომ სადღაც ჯანდაბაში, ას ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩაზე ცხოვრობდა!

თავისთავად მნიშვნელოვანი იყო, რომ სხვებს არ ჰგავდა.

ადამიანების უმეტესობამ ათი წლის განმავლობაში დაშვებული შეცდომები გაიმეორა.

ტრაუტმა რიტორიკული შეკითხვა დასვა:

_ რა უნდა დადო სუფრაზე გაშლილ აწმყოზე, მომავალთან ერთად?

_პოსტ-დროის რღვევის აპათია(PTA).

ტრაუტმა ექსპერიმენტი ჩაატარა_ხმამაღლა წარმოსთქვამდა არაფრისმთქმელ სიტყვებს.

1991 წელს, როდესაც დროის რღვევამ მეორედ გადაგვისროლა, . ვცდილობდით, დაგვემტკიცებინა, რომ რაც გვინდოდა, იმას გავაკეთებდით.

სამაგიეროდ, დროის დაბრუნების შემდეგ, ტრაუტმა დიდი გაჭირვებით წარმოთქვა: "ორგვერდიანი ლურჯი წავი”.

რა პრობლემაა!

როდესაც სამყარო თავისუფალმა ნებამ შეიპყრო, ევროპაში, აზიასა და აფრიკაში ღამე იყო.

ადამიანთა უმეტესობა საწოლში იწვა, ან სადმე მიმჯდარიყო. ჩვენგან განსხვავებით, მათ ვერაფერი შეიგრძნეს.

მეორე ნახევარსფეროში ყველას ეღვიძა.

ორივე ნახევარსფეროს ფეხით მოსიარულე ნაწილი, რომელიც მოძრაობდა, მიწაზე დაეცა. წაიქცა ისიც, ვინც, მაგალითად, გზაზე გადადიოდა.

წარმოიდგინეთ, რა ხდებოდა კიბეებზე, ესკალატორებზე, განსაკუთრებით, დასავლეთ ნახევარსფეროზე.

ესეც შენი ახალი მსოფლიო!

ელი_ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი სული_თავის მიწიერი

ცხოვრების ორმოცდაერთი წლის განმავლობაში, დღენიადაგ ამბობდა, რომ არაფერია წაქცეულ ადამიანზე უფრო სასაცილო. რა თქმა უნდა, დარტყმის ან ინფაქტის შედეგად დაცემულებს არ გულისხმობდა. ეცინებოდა ათ წელზე უფროსი ასაკის, ნებისმიერი რასის, სქესის, აღნაგობის, ადამიანის უმიზეზო ვარდნაზე.

ელის დღეები დათვლილი იყო.

სიკვდილის წინ ვცდილობდი, გამემხიარულებინა და ვუამბობდი წაქცეულთა ისტორიებს. ეს უნდა ყოფილიყო ამბავი, რომელსაც თავად შევესწარი.

ერთი ისტორია გამახსენდა.

ეს დიდი ხნის წინ მოხდა, ინდიანაპოლისში.

აპოლოს თეატრში, სპექტაკლში მონაწილე, ერთი, ჩემი აზრით, მეტად ღირსეული ადამიანი, რომელიღაც ეპიზოდში საორკესტრო ორმოში ჩავარდა და როდესაც ამოძვრა, თავზე დოლი ჰქონდა დამხობილი.

სხვა ისტორიები მოყვარულებზე იყო.

იმ დროს ელი თხუთმეტი წლის იქნებოდა, მე_ათის.

რაღაც ხმა მოესმა. ჩვენი სარდაფის კიბეებზე ვიღაც დაგორდა. იფიქრა, რომ მე ვიყავი და ლამის სიცილით გაიგუდა.

1932 წელი იყო, დიდი, მძვინვარე დეპრესიის მესამე წელი.

მაგრამ ეს მე არ ვყოფილვარ. გაზის კომპანიიდან მოსული ყმაწვილი აღმოჩნდა, რომელსაც მრიცხველიდან ჩვენების ამოწერა უნდოდა.

საცოდავი სარდაფიდან თავიდან ფეხებამდე დალურჯებული ამოძვრა.

ერთხელ, როდესაც თექვსმეტი წლის ელი საჭესთან იჯდა, მე კი_ მის გვერდით, დავინახეთ, როგორ გადმოვარდა სავსე ტრამვაიდან ქალი და ქუსლით რაღაცას გამოება.

არ დაშავებულა.

ადგა და გზა განაგრძო.

კიდევ ერთი ამბავი მახსოვს_ელის ყოველთვის ეცინებოდა ამის გახსენებაზე.

ერთ წვეულებაზე ყმაწვილმა მშვენიერ მანდილოსანს შესთავაზა, ტანგოს ცეკვას გასწავლიო. მისი ცოლი არ უნდა ყოფილიყო. ცოლებს ასეთი წინადადებებით არ მიმართავენ. წვეულებაზე ათი კაცი მაინც იქნებოდა, მასპინძლის ჩათვლით.

ეს პატეფონის ხანაში მოხდა და მასპინძელმა დიდი შეცდომა დაუშვა, ტანგოს ფირფიტა რომ დადო.

წარმოიდგინეთ სცენა: ყმაწვილს თვალები ულაპლაპებს, ცხვირის ნესტოები დაბერვია, მშვენიერ ქალბატონს ხელს ხვევს და ამ დროს იატაკზე გაიშხლართება.

დიახ, ყველა ის ადამიანი, ვინც “დროის რღვევა -1”-ში დაეცა, რაღაცით ჰგავს აკადემიის რკინის კარზე ფერადი საღებავით გაკეთებულ წარწერის: “გავკარი ხელოვნებას!”

ელისთვის პორნოგრაფიული სურათის ეფექტი ჰქონდა ნებისმიერ სცენას, სადაც მიზიდულობის ძალა ადამიანს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს.

ყველას როდის შეუძლია, იცინოს იმის დანახვაზე, როგორ ვარდება ადამიანი სრულიად უმიზეზოდ. ამ უსიამოვნო ჭეშმარიტებაში დავრწმუნდი ლონდონოს სამეფო საბალეტო თეატრში. “გედების ტბის” წარმოდგენაზე, ჩემს ქალიშვილთან, ნენისთან ერთად ვიყავი. მაშინ სულ რაღაც თექვსმეტი წლის იყო. 1996 წლის ზაფხულში ორმოცდაერთი წელი შეუსრულდა. ეს ამბავი ოცდახუთი წლის წინ მოხდა. ერთი მოცეკვავე, წესისამებრ, თითის წვერებზე იდგა და ფრთებსაც წესისამებრ იქნევდა. უეცრად, გაისმა ისეთი ხმა, თითქოს ვედრო წამოიცვა ფეხებზე და რკინის კიბეზე დასრიალდა.

ხარხარი ამიტყდა.

ჩემს გარდა არავის გაუცინია.

ასეთივე ამბავი მოხდა ჩემს ბავშვობაში, ინდინაპოლისში, სიმფონიური ორკესტრის კონცერტის დროს.

დარბაზში მუსიკის ხმა თანდათანობით ძლიერდებოდა. ჩემს რიგში, სადღაც ათი სკამის მოშორებით, იჯდა ქალი და მეგობარს ელაპარაკებოდა. რაც უფრო ხმამაღლა უკრავდნენ, ქალიც ხმას უწევდა. უეცრად, დაკვრა შეწყვიტეს და ამ დროს მან დაიყვირა: “მე ვწვავ კარაქში!”

სამეფო საბალეტო თეატრში გამართული სპექტაკლის მეორე დღეს, მე და ნენი ვესტმინსტერის სააბატოში წავედით.

ნენი ელდანაკრავივით იდგა ნიუტონის საფლავის ქვასთან. მის ასაკში ჩემი მეცნიერად დაბადებული უფროსი ძმა, ბერნი, რომელსაც ვაშლის დახატვაც არ შეეძლო, შარვალში ჩაისვრიდა. იგივე დაემართებოდა ნებისმიერ განათლებულ ადამიანს, თუკი ჩაფიქრდებოდა, რამდენი აღმოჩენა გაეკეთებინა ამ უბრალო

მოკვდავს თავისი "ძაღლის საუზმით"_ სისხლით გაჟღენთილი სამნახევარფუნტიანი ხორცის ნაგლეჯით.

ამ შიშველმა მაიმუნმა გამოიგონა ტელესკოპ-რეფლექტორი, რომელმაც, თავის მხრივ, ამოიცნო და განმარტა, თუ როგორ გარდატყდება თეთრი შუქი შემადგენელ ფერად სხივებად. შექმნა და დანერგა აქამდე უცნობი_მოძრაობის, სიმძიმისა და ოპტიკის კანონები.

კმარა. დაგვასვენე!

დოქტორ ფლეონ სანოკოს სთხოვეთ, თუ შეიძლება!

გალესეთ სკალპელი, ტვინი გვაქვს თქვენთვის!

ნენის ჰყავს ბიჭი, რომელიც 1996 წელს თორმეტი წლის არის. მან „უფლისმიერი მადლის“_ დროის რღვევის ჟამის ნახევარი უკვე განვლო. როდესაც კილგორ ტრაუტი მოკვდება, ჩვიდმეტი წლის იქნება. გასულ აპრილს მაქსმა სკოლაში თავისუფალი თემა დაწერა ნიუტონზე. ადამიანის გარეგნობის მქონე ზეკაცად წარმოგვიდგინა. ეს სტატია რომ წავიკითხე, ბევრი ისეთი რამ შევიტყე, რაც აქამდე არ ვიცოდი. თურმე, ნომინალური სახელმძღვანელოები ურჩევდა, მიეტოვებინა მეცნიერება და თეოლოგია შეესწავლა. ვიმედოვნებ, რომ ეს რჩევა მათი სიბრიყვით არ იყო განპირობებული. უბრალოდ, უნდოდათ, ეთქვათ, რომ რელიგია ადამიანს ძალას მატებს და ეხმარება.

გამახსენდა ციტატა ტრაუტის მოთხრობიდან, „სახელმწიფო იმპერია“.

"დედამიწას უახლოვდება მანჰეტენის ცათამბჯენისოდენა მეტეორი, საათში ორმოცდათოთხმეტი მილის სიჩქარით. მეცნიერებამ ერთი ადამიანიც კი არ გააბედნიერა. სიმართლე ადამიანთა ხვედრზე უფრო საშინელია.“

ადამიანის ხვედრი არასოდეს ყოფილა ასეთი საშინელი მისი არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში, როგორიც დროის რღვევის დასრულების შემდეგ. მილიონობით სხეული ძირს ეგდო, რადგან თავისუფალი ნებით შეპყრობის წუთებში მათი წონა თანაბრად არ იყო გადანაწილებული. უმეტესობა არ დაშავებულა, თუ არ ჩავთვლით იმათ, ვინც ესკალატორსა და კიბეებზე იდგა. მათი უმრავლესობა დაახლოებით ისე იყო დაზარალებული, როგორც ის ქალი, რომელიც ჩემსა და ელის თვალწინ ტრამვაიდან თავით გადმოეშვა.

ამერიკელი ინდიელების მუზეუმში სიმშვიდე სუფევდა. გარეთ დაშვებულთა ყვირილი და მოთქმა ისმოდა ზუსტად ისეთი კონტრასტით, როგორც -„მე ვწვავ კარაქში!“

მაწანწალები, ტრაუტის ინტერპრეტაციით - „სამსხვერპლო ხარები“, უდარდელად იწვნენ ან ისხდნენ. ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ დროის რღვევის დასრულების დროს. თავისუფალი ნება მათ ისედაც ვერაფერს დააკლებდა. ტრაუტის თქმით, ისინი დროის რღვევამდეც ამჟღავნებდნენ PTA-ს სიმპტომებს.

როდესაც სახანძრო მანქანა დიდი სიმძლავრით დაეჯახა აკადემიის კარს, ტრაუტი ფეხზე წამოხტა.

სიჩქარის უეცარმა შემცირებამ მანქანიდან ისეთივე სიმძლავრით გადმოყარა მეხანძრეები, როგორითაც თვითონ დაგორდა ბროდვეიდან, სადღაც, ჯანდაბისაკენ.

ტრაუტმა მეხანძრეების ფრენა განსაზღვრა საათში ორმოცდაათი მილით.

მანქანა მკვეთრად შეტრიალდა მარცხნივ და სასაფლაოსაკენ მიმავალი, აკადემიის მოპირდაპირე გზა გადაკვეთა. ცოტა ხნით შეჩერდა. შემდეგ უკან დაბრუნდა. ძრავა ღმუოდა. სატერფული დაზიანებოდა და წინ ვეღარ მიდიოდა. ბერკეტი ნეიტრალურ მდგომარეობაში იყო და ძრავას ბორბლებზე ზემოქმედება არ შეეძლო.

სიმძიმის ძალამ აღმუვლებული წითელი მონსტრი ჯერ უკან, ას ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩაზე, ხოლო შემდეგ_ჰადსონ რივერზე გადაისროლა.

დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ აკადემიის ფოიეში ბროლის ჭაღი ჩამოვარდა და რამდენიმე მტკაველით ასცდა დადლი პრინცს. მისი სიმძიმის ცენტრი თანაბრად რომ არ ყოფილიყო გადანაწილებული, აუცილებლად დაეცემოდა თავზე და მოკლავდა.

მოდი, იღბალზე ვილაპარაკოთ!

როდესაც დროის რღვევა მოხდა, მონიკა პეპერის პარალიზებული ქმარი კარზე რეკავდა. ის-ის იყო, პრინცი გასაღებად გაემართა, რომ სურათების გალერიაში სიგნალიზაცია ჩაირთო. საბრალო ერთ ადგილზე გაიყინა. არ იცოდა, რა ეღონა.

ამ დილემის წინაშე იდგა მაშინაც, როდესაც სამყარო თავისუფალმა ნებამ შეიპყრო. გამოდის, რომ სწორედ სიგნალიზაციამ შეუნარჩუნა სიცოცხლე.

როდესაც ტრაუტმა მისი იღბლიანი გადარჩენის ამბავი შეიტყო, კვამლის სიგნალიზაციას კატერინ ლი ბეითსის ციტატით უძღვნა მადლობა. ისე, რომ ვთქვათ, ბეითსი უფრო ლაპარაკობდა, ვიდრე მღეროდა.

ყოფილი პატიმრის ფორმაში გამოწყობილი პრინცი ქანდაკებას ჰგავდა. კილგორ ტრაუტმა მაშინ დაინახა, როდესაც დაუცველი ცენტრალური შესასვლელიდან შევიდა.

რამდენიმე წუთში უკვე განწირულად გაჰყვიროდა:

_გამოფხიზლდით! ღვთის გულისათვის, გამოფხიზლდით! თავისუფალი ნება! თავისუფალი ნება!

რკინის კარი, ენიგმატიკური წარწერით_"გავკარი ხელოვნებას!"_ძირს ეგდო.

ტრაუტი გადახტა, პრინცამდე რომ მისულიყო.

კარი ჩარჩოდან არ იყო ამოვარდნილი. სახანძრო მანქანას მთლიანად მოეგლიჯა, მაგრამ მისი ჭანჭიკების ხელახლა გამოყენება კიდევ შეიძლებოდა. როგორც ჩანს, ჩარჩოს მანქანის დარტყმისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ალბათ, კარის ჩაყენების დროს მუშა დაუდევრად მოეკიდა თავის საქმეს. მოგვიანებით ტრაუტმა საინტერესო კითხვა დასვა:

_მათ ისე ეზარებათ თავიანთი საქმის ხარისხიანად კეთება, ნეტა, ღამე როგორ სძინავთ?

1996-2001 წლებში, ჩემს ერთ გამოსვლაში ვთქვი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩიკაგოს უნივერსიტერტის ანთროპოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ისე, ხუმრობით ვთქვი, თორემ ეს საგანი არც არასოდეს მისწავლია, რადგან პრიმიტიულ ხალხს ვერ ვიტანდი.

ისინი ხომ დებილები არიან!

ჩემი ინტერესის საგანი იყო ადამიანი, როგორც ცხოველი. ჩემმა ცოლმა, ჯეინ მარია კოქს_ვონეგუტმა, რომელიც მოკვდა როგორც ჯეინ მარია კოქს _ იარმოლინსკი, გააჩინა ბავშვი, სახელად მარკი.

ფული გვჭირდებოდა.

ჯეინი სვარტმორის უნივერსიტეტის რუსისტიკის კათედრის ასპირანტი იყო. როცა შეიტყო, რომ ორსულად იყო, უნივერსიტეტის დატოვება გადაწყვიტა. ერთად მივედით კათედრის გამგესთან, სტალინის რეჟიმისგან გამოქცეულ ერთ მელანქოლიკთან. ბიბლიოთეკაში ვიპოვეთ.

მახსოვს, როგორ ამცნო ჯეინმა თავისი გადაწყვეტილება. არც ის დამავიწყდება, რაც მან უპასუხა:

_ჩემო ძვირფასო მისის ვონეგუტ, ორსულობა ცხოვრების მხოლოდ დასაწყისია და არა დასასრული."

ერთ-ერთ კურსზე წავიკითხე არნოლდ ტოინბის წიგნი, "ისტორიის შესწავლა." ეს იყო ინგლისელი ისტორიკოსი, რომელიც ამჟამად ზეცაში სუფევს. წერდა გამოწვევასა და პასუხზე. ცივილიზაციები იღუპებოდნენ იმის მიუხედავად, თუ რამდენად ადექვატურად რეაგირებდნენ გამოწვევაზე. მოყვანილი ჰქონდა შესაბამისი მაგალითებიც.

იგივე ითქმის ცალკეულ პიროვნებებზე, რომელთაც უნდათ, რომ ჩემი გმირები იყვნენ, განსაკუთრებით, კილგორ ტრაუტზე.

ის რომ დროის რღვევის არეალში ყოფილიყო, ან გვირაბის შესასვლელსა თუ გასასვლელში, ან აეროპორტში, სადაც მფრინავები თავისუფალი ნების ჟამიდანვე მიჩვეულიყვნენ თვითმფრინავებით თვითნებურ აფრენა-დაფრენას_ანუ ამგვარ ადგილას რომ აღმოჩენილიყო, ვერაფრით უპასუხებდა თავისუფალი ნების გამოწვევას.

როდესაც თავშესაფრიდან გარემოს დასათვალიერებლად გამოვიდა, საშინელი სანახაობა გადაეშალა. მხსვერპლი უმნიშვნელო იყო. არსად ჩანდა დამწვარი და დაშავებული ხალხი, მკვდრები ან მომაკვდავები. როგორც ცოცხლებს, ასევე მკვდრებს, ტანსაცმელსა და სახეზე აღბეჭდოდათ მთელი ცხოვრება. გზა

დასავლეთის მიმართულებით, ას ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩაზე, სრულიად ჩამკვდარიყო. მხოლოდ ერთი სახანძრო მანქანა მიდიოდა ჰუძონისაკენ ღმუილით. ტრაუტიც მას მისჩერებოდა. ამასთან, მეტისმეტად თავისუფლად გრძნობდა თავს, რათა დეტალებზე დაფიქრებულიყო. ხმაურს ყურადღებას არ აქცევდა და როგორც მოგვიანებით, ხანადუში, მითხრა, მაშინ სრულიად მშვიდად დაასკვნა: "ამ მანქანას ან მხოლოდ უკან_უკან შეუძლია სიარული, ან რაღაც დაუზიანდა."

პანიკაში არ ჩავარდნილა. გამოცდილებით იცოდა, რომ პანიკას თავი უნდა აარიდო, თორემ უარესია. ხანადუში მითხრა:

_რეალურ ცხოვრებაშიც ისევე, როგორც დიდ ოპერაში, არიის შესრულება აშკარად აუარესებს უიმედო სიტუაციას.

რა თქმა უნდა, პანიკაში არ ჩავარდნილა. მაშინვე გააცნობიერა, რომ მხოლოდ მას შეენარჩუნებინა საღი აზრი. მიხვდა, რომ სამყარო ჯერ შეიკუმშა, შემდეგ გაფართოვდა. ეს ყველაზე მარტივი მომენტი იყო.

თუ რეალობას მოვწყდით, სინამდვილე შესანიშნავი წინასიტყვაობა იქნებოდა მისი მოთხრობისათვის, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჯერ დაწერა, შემდეგ კი, ნაკუწებად ქცეული, სანაგვეში ჩაყარა.

დადლი პრინცისაგან განსხვავებით, ტრაუტს არ ჰქონდა უმაღლესი სკოლის სერთიფიკატი. ძალიან ჰგავდა ჩემს უფროს ძმას, ბერნის, ფიზიკური ქიმიის დოქტორს. ბავშვობაში ორივენი მარტო თამაშობდნენ. კითხვასაც ერთნაირად სვამდნენ: "თუ საქმე ასე და ასეა, რა გამოვა აქედან?"

ტრაუტმა ასეც ვერ გააკეთა სათანადო დასკვნა დროის რღვევისა და თავისუფალი ნების თაობაზე. ვერ მიხვდა, რომ ას ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩაზე და საერთოდ, ყველგან, ყველაფერი გარკვეული დროით პარალიზებული იყო, მაგრამ არა სიკვდილით, ან სერიოზული კატასტროფით. ტყუილად დაკარგა დრო სახანძრო მანქანის, სასწრაფო დახმარების ბრიგადისა და გადაუდებელ საქმეთა ფედერალური სააგენტოს წარმომადგენლების ლოდინში, რომელთაც, მისი აკვიატებული ვარაუდით, მომხდარზე უნდა ეზრუნათ.

ღვთის გულისათვის, ნუ დაივიწყებთ, რომ ოთხმოცდაოთხი წლის იყო. პირს ყოველდღე იპარსავდა და ამიტომაც ამსგავსებდნენ მაწანწალა ქალს, და არა მამაკაცს. და მაინც, თავისი გარეგნობით არავითარ პატივისცემას არ იმსახურებდა. სანდლები კი ძალიან გამძლე ეცვა. შეკერილი იყო კოსმიური ხომალდის "აპოლო-11"- ის სამუხრუჭე მექანიზმის მსგავსი მასალით. ეს ის "აპოლო-11"-ია, რომლითაც 1969 წელს, ნილ არმსტრონგმა მთვარეზე ამოყო თავი. ეს სანდლები მთავრობამ ვიეტნამის ომის(ერთადერთი ომის, რომელიც ჩვენ ოდესმე წაგვიგია) მებრძოლებს აჩუქა. ამ ომის დროს იდეზერტირა ტრაუტის ერთადერთმა ვაჟმა, ლეონმა. როდესაც ამერიკელი ჯარისკაცები ჯუნგლებში მიდიოდნენ დაზვერვაზე, ეს სანდლები ეცვათ. მიწაში ჩარჭობილი იყო განავლით დაფარული რკინები, რომლებიც ათასგავრ ინფექციურ დაავადებებს იწვევდა.

ტრაუტს არაფერში სჭირდებოდა თავისუფალ ნებასთან რუსული რულეტის თამაში, მით უმეტეს, მის ასაკში. თანაც, სხვა ადამიანების ბედი წყდებოდა. ამიტომ გადაწყვიტა, თავისთვის ძალა დაეტანებინა და დახმარებოდა.

სხვა რა შეეძლო, ან რა უნდა ექნა?!

33

მამაჩემი ხშირად მიმართავდა შექსპირის ციტირებას, მაგრამ მგონი, შეცდომით. რაღაც, არასოდეს მინახავს წიგნით ხელში.

ჰო, აქ ვარ და ვაცხადებ, რომ ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი პოეტია ლანსელოტ ენდრიუსი(1555-1626) და არა ეივონის ბარდი(1564-1616). მის ეპოქაში ყველაფერი პოეზიით საზრდოობდა.

ლანსელოტ ენდრიუსმა იაკობის ბიბლია გვაჩუქა.

დაუწერია კი კილგორ ტრაუტს ოდესმე წიგნი?

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მხოლოდ ერთი, ისიც თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეს. იცოდა, რომ საკმარისად დიდხანს იცხოვრა და მალე გრიმ რიპერი მოაკითხავდა. ხანადუში, მოხუცებულთა თავშესაფარსა და თავლას შორის ურთხელი დგას. ტრაუტმა ამ ხეზე მშვენიერი ლექსი ამოტვიფრა:

"როცა მოჭრიან ურთხელს,

და დააგორებენ ძირს,

მე დავბრუნდები სახლში,

წავიღიღინებ:"კის-კის."

34

ჩემი პირველი ცოლისა და დის, ელის, დედები, დროდადრო ჭკუიდან იშლებოდნენ.

ჯეინმა და ელიმ ტიუდორ ჰოლი დაამთავრეს. ვუდსტოკის გოლფის კლუბში ყველაზე ლამაზ, ჭკვიან გოგონებად ითვლებოდნენ.

სხვათა შორის, ყველა მწერალს, ღატაკსაც და მდიდარსაც, ლამაზი ცოლი ჰყავს.

ვინმემ აუცილებლად უნდა განიხილოს ეს ფაქტი.

ჯეინი და ელი დროის რღვევას ვერ მოესწრნენ.

მადლობა უფალს! მგონია, რომ ჯეინი დროის რღვევაში ღვთიურ სიკეთეს დაინახავდა, ელი კი_პირიქით.

ჯეინი ოპტიმისტი იყო და ბოლო წუთამდე ებრძოდა კიბოს.

ელის უკანასკნელ სიტყვებში მხოლოდ შვება იგრძნობოდა და სხვა არაფერი. სადღაც ეს ვთქვი კიდეც.

"აღარ მტკივა, აღარ." _ეს არც მე გამიგია, არც ბერნის. ერთმა სანიტარმა გვითხრა ტელეფონზე, თავისებური აქცენტით.

არ ვიცი, ჯეინმა რა თქვა უკანასკნელად. იმ დროს ის უკვე ადამ იარმოლინსკის ცოლი იყო.

მას ვკითხე. აღმოჩნდა, რომ არაფერი უთქვამს. ალბათ, ვერც გააცნობიერა, რომ კვდებოდა. ვაშინგტონის საეპისკოპოსო ცენტრში, მისი გასვენების დღეს, ადამი შეკრებილი საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდა და ჯეინის საყვარელი სიტყვები წარმოსთქვა:

"არ შემიძლია ლოდინი!"

რას ელოდა ჯეინი ასეთი ნეტარებით?

ალბათ, რაიმე სიახლეს ჩვენი ექვსი, უკვე ზრდასრული შვილისგან. გასვენებაზე სიტყვით არ გამოვსულვარ. არ მინდოდა. რისი თქმაც მსურდა, ეს მხოლოდ მას ეხებოდა. ჩვენი უკანასკნელი საუბარი_ინდიანაპოლისელი ორი ძველი მეგობრის საუბარი, მის გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე შედგა. ის ვაშინგტონში იყო (იარმოლნისკებს იქ სახლი ჰქონდათ), მე კი, უკვე დაქორწინებული მწერალ ჯილი კრემენტზე _ მანჰეტენზე.

აღარ მახსოვს, მე დავრეკე თუ მან. ფაქტია, რომ ეს საუბარი გამოსამშვიდობებელი აღმოჩნდა.

მისი სიკვდილის შემდეგ ჩვენმა ვაჟმა თქვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა ისეთ სამედიცინო პროცედურებზე, რომლებიც ჯეინმა გაიარა და მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტა ხანს კიდევ ემზირა ჩვენთვის თავისი გაბრწყინებული თვალებით და ეთქვა:" არ შემიძლია ლოდინი!"

უკანასკნელი საუბარი ძალიან ინტიმური აღმოჩნდა. ჯეინი ფიქრობდა, რომ მე ვგრძნობდი, როგორ მოკვდებოდა. ალბათ, ჩემი რომელიმე წიგნის გმირად წარმოიდგინა თავი. გარკვეულწილად, ასეც იყო. ჩვენი ოცდაორწლიანი ქორწინების განმავლობაში მე ვწყვეტდი, სად წავიდოდით: ჩიკაგოში, სკენეკდატში თუ კონცხ კოდზე. ჩემი სამსახური წყვეტდა ჩვენს სამომავლო გეგმებს. მას არასოდეს უმუშავია. ექვსი შვილის აღზრდა მისთვის სრულიად საკმარისი სამსახური იყო.

სატელეფონო საუბრის დროს ვუთხარი, რომ ათიოდე წლის გარუჯული, ერთი ჩვეულებრივი, მაგრამ ბედნიერი, ჩვენთვის სრულიად უცხო ბიჭუნა, გავა სკადერს_ლეინის ნავსადგურში და თვალების ცეცებას დაიწყებს.

სკადერს ლეინის დასაწყისში, მესამოცე ტრასაზე ერთი დიდი, ძველი სახლი დგას, სადაც ჩვენი და ელის შვილები აღვზარდეთ. ახლა იქ ედიტი ცხოვრობს, თავის მშენებელ ქმართან, ჯონ სკუიბთან და ორ ბიჭუნასთან, უილსა და ბაკთან, ერთად.

ჯეინს ვუთხარი, რომ უსაქმურობით შეპყრობილი ეს უცნობი ბიჭი აიღებს ქვას და ისე, როგორც ბავშვები აკეთებენ _ ხოლმე, წყალში გადაისვრის. სწორედ იმ წუთს, როცა ქვა წყალში ჩავარდება, ჯეინი მოკვდება.

გულის სიღრმეში ჯეინს ყველაფრის სჯეროდა და მის ცხოვრებას ეს მაგიურ ელფერს ანიჭებდა. ამაში იყო მისი ძალა. ჯეინი ძალიან მშვიდი და თვინიერი ბუნების იყო, თითქმის არასოდეს ესწრებოდა ათასგვარ შეხვედრებს, მეგობრებთანაც კი. ადამთან ქორწინების ოთხი ბედნიერი წლის განმავლობაში ხშირად დადიოდა სვარტმორის საეპისკოპოსო ეკლესიაში. ადამი კი ებრაელად დარჩა. ჯეინმა სიკვდილამდე შეინარჩუნა სამების რწმენა და ყოველთვის სჯეროდა სამოთხის და ჯოჯოხეთის.

მიხარია.

რატომ?

იმიტომ, რომ მე ის მიყვარდა.

35

მწერლები ორ ჯგუფად იყოფიან: უეცრად დამრტყმელებად და დამრტყმელებად. უეცრად დამრტყმელები მოთხრობებს სწრაფად წერენ. შემდეგ გასწორებას უნდებიან. დამრტყმელები ნელა წერენ, თითოეულ წინადადებას ასწორებენ და როდესაც სასურველ შედეგს მიაღწევენ, მოთხრობა უკვე დასრულებულია.

მე დამრტყმელი ვარ. კაცების უმეტესობა დამრტყმელია. საინტერესოა, რატომ? ეს ხომ უნდა გამოიძიოს ვინმემ? შეიძლება, მწერალს დაბადებიდან აწერია, რომ უნდა იყოს დამრტყმელი ან უეცრად დამრტყმელი. ახლახანს როკფელერის უნივერსიტეტს ვეწვიე, სადაც ეძებენ და პოულობენ კიდეც უფრო და უფრო მეტ გენს, რომლებიც გარკვეული ქცევის ნორმებს გვკარნახობენ. ასე იყო დროის რღვევის დროსაც. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ვიზიტამდე აღმოვაჩინე, რომ ჩემი და ჯეინის, ელის და ჯიმის შვილები აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები იყვნენ. თითოეული მათგანი ისე ჩამოყალიბდა, როგორც ბედით იყო განსაზღვრული.

ექვსივე ჩინებულად გრძნობს თავს.

ექვსივეს ჰქონდა დიდი შანსი, კარგად მოეწყო ცხოვრება. თუ თქვენ გჯერათ იმისი, რასაც გაზეთებში წერენ, რასაც ხედავთ, ტელევიზიით ისმენთ ან ინტერნეტში კითხულობთ, სხვებისაგან ძალიან განსხვავებით.

ჩემი აზრით, მწერლები-უეცრად დამრტყმელები, მიიჩნევენ, რომ ადამიანები სასაცილოები ან ტრაგიკულები არიან. დაუფიქრებლად წერენ, თანაც უკვირთ, რატომ ცხოვრობს ხალხი. დამრტყმელები ქმნიან წინადადებას წინადადებაზე, წარმოსახვით კარსა და კედლებში

ძვრებიან, ცეცხლში და აირში გადიან, რათა იპოვონ პასუხი მარადიულ კითხვაზე: "რა იღონონ? რა ხდება მათ თავს?"

დამრტყმელი ვოლტერი ამბობს: "საჭიროა, ყველამ თავისი ბაღი გააშენოს."

მათ სურთ, იმსჯელონ ადამიანის უფლებებზე. მეც ამაზე მინდოდა ლაპარაკი. გავიხსენებ რამდენიმე ისტორიას, რომელიც ჩემი და ტრაუტის ომის დასასრულს მოხდა ევროპაში.

1945 წლის 7 მაისს, გერმანიამ, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად, მაგრამ აშკარად დამნაშავე იყო ორმოცი მილიონი ადამიანის სიკვდილში, კაპიტულაცია გამოაცხადა. ჩეხეთის საზღვრებთან ახლოს, დრეზდენში, ანარქიის ჯიბე იყო, რომელიც საბოლოოდ ოკუპირებულ საბჭოთა კავშირში შევიდა. მე იქ ვიყავი და ზოგიერთი ფაქტი ავსახე კიდეც ნოველაში, "ლურჯი წვერი". ბანაკებიდან გამოეშვათ ათასობით სამხედრო ტყვე-გათავისუფლებული და ჩემსავით ბედის ანაბარა მიტოვებული. ვინ აღარ იყო მათ შორის: ტყვეები დანომრილი ხელებით, გიჟები, ეჭვმიტანილები, ბოშები და ა.შ.

იქ იყვნენ გერმანელებიც _ დამარცხებულები, მაგრამ ჯერ კიდევ შეიარაღებულები. უნდოდათ, ვინმეს ჩაბარდებოდნენ, ნებისმიერს, ოღონდ, არა საბჭოთა კავშირს. მე და ჩემი მეგობარი, ბერნარდ ო’ჰარა, რამდენიმე მათგანს გამოველაპარაკეთ.

თავისი ცხოვრების მანძილზე, ო’ჰარა პროკურორიც იყო და ადვოკატიც.

ახლა ის ცაშია.

გერმანელების აზრით, ამერიკა ვალდებული იყო, უღმერთო კომუნისტებს შებრძოლებოდა.

ჩვენ ასე არ ვფიქრობდით. გვწამდა, რომ ოდესმე საბჭოთა კავშირი ამერიკას დაემსგავსებოდა _ სიტყვის, რელიგიის თავისუფლებით, მიუკერძოებელი სასამართლოთი, გამჭვირვალე არჩევნებით და ა.შ. ჩვენ კი, გავაგრძელებდით იგივეს, რასაც აქამდე ვაკეთებდით:

"თითოეულისაგან_მისი შესაძლებლობის მიხედვით,
თითოეულის_მოთხოვნილებების შესაბამისად."

მოგვიანებით, მე და ო’ჰარა ერთ ქოხში შევედით. საჭმელს ვეძებდით და ყველაფერზე მადლობას ვიტყოდით, თუ რაიმეს წავაწყდებოდით. ქოხში ვნახეთ სასიკვდილოდ დაჭრილი გესტაპოელი ოფიცერი. სავარაუდოდ, არაერთი სადამსჯელო ღონისძიების ორგანიზატორი და მკვლელი. როგორც ყველა ესესელს, მასაც ხელზე ჰქონდა ამოსვირინგებული საკუთარი ნომერი.

აი, ბედის ირონია!

გვთხოვა, მარტო დამტოვეთო.

ჭასვლა დავაპირეთ, მაგრამ ტუჩების მოძრაობაზე შევატყვეთ, რომ რაღაცის თქმა სურდა.

ვინღა მოუსმენდა, თუ არა ჩვენ?

_მხოლოდ ახლა მივხვდი, რა უაზროდ გავატარე ჩემი ცხოვრების უკანასკნელი ათი წელიწადი._თქვა მან.

ესეც დროის რღვევა!

ჩემს ცოლს მაგარი ბიჭი ვგონივარ, მაგრამ ძალიან ცდება. სულაც არ ვფიქრობ, რომ მაგარი ვარ.

ჩემი კერპია ჯორჯ ბერნარდ შოუ, სოციალისტი და სასაცილო დრამატურგი. ოთხმოცი წლის ასაკში შოუმ თქვა, რომ ის ყოველთვის ჭკვიანად მიაჩნდათ და გულწრფელად ებრალებოდა ყველა, ვისაც დებილებად თვლიდნენ. ცხოვრების ვრცელი გზა განვვლე, თავი ჭკვიანი კაცი მგონია და დარწმუნებული ვარ, რომ კურიერად თავისუფლად ვიმუშავებდიო.

მეც ასე ვფიქრობ.

ლონდონის მერიას მხცოვანი მწერლის საპატიო ორდენით დაჯილდოება სურდა. მაგრამ მან განაცხადა, რომ ეს ორდენი საკუთარ თავს დიდი ხნის წინ გადასცა.

მოდით, ეს ჩემი ეპიტაფია იყოს!

ახლა, 1996 წლის ზაფხულში, ვეკითხები ჩემს თავს: მქონია ახალგაზრდობაში ისეთი იდეები, რომლებსაც დღეს უარვყოფდი? ჩემს წინაშე იყო ჩემი ერთადერთი ბიძის, ინდიანაპოლისელი უშვილო სადაზღვევო აგენტის მაგალითი. ბიძია ალექსს ჰარვარდი ჰქონდა დამთავრებული. მან მაიძულა, ადრეულ ასაკშივე გავცნობოდი სოციალისტი მწერლების: შოუს, ნორმან ტომასის, იუჯინ დებსისა და ჯონ დოს პასოსის, შემოქმედებას. თვითმფრინავების მოდელების გაკეთებაც მან მასწავლა.

მეორე მსოფლიო ომმა ბიძია ალექსი არქანგელი გაბრიელის მსგავს კონსერვატორად გარდაქმნა.

თუმცა, დღესაც მომწონს, რაც მე და ო’ჰარამ გერმანელ ჯარისკაცებს გათავისუფლების შემდეგ ვუთხარით: "ამერიკა შეეცდება, მიიღოს გარკვეული სოციალისტური იდეები, შეეცდება, ყველა დააკმაყოფილოს სამუშაოთი, შეეცდება, უზრუნველყოს ჩვენი შვილები იმდენად, რომ არ იშიმშილონ, არ გაიყინონ, ისწავლონ წერა-კითხვა და არ შეშინდნენ სიკვდილამდე."

გერმანელებმა ტუჩები აიბზუეს.

ჩემს ყოველ გამოსვლაში ვიხსენებ სოციალისტ იუჯინ დებსის(1855-1926) ციტატას, რომელიც ხუთჯერ დაასახელეს პრეზიდენტობის კანდიდატად:

"სანამ არსებობს დაბალი ფენა, მე ერთი მათგანი ვარ; სანამ არსებობს ერთი დამნაშავე, მეც ერთი მათგანი ვარ. სანამ თუნდაც ერთი ადამიანი ზის ციხეში, არც მე ვარ თავისუფალი."

გასულ წლებში, სანამ ციტატას ვიტყოდი, საზოგადოებას ვაფრთხილებდი, სერიოზულად მიეღოთ ჩემი სიტყვები. არადა, ხალხი იცინოდა. და იცინოდა არა ბოროტი განზრახვით, არამედ იმიტომ, რომ იციან _ მომწონს, როცა სასაცილოდ

გამოვიყურები. მათი სიცილი მეტყველებს, რომ ტერმინი მოძველებული და დისკრედიტირებულია.

არადა, ეს ასე არ არის.

37

როდესაც კილგორ ტრაუტი გადაახტა რკინის კარს, წარწერით: "გავკარი ხელოვნებას!"_ მისი სანდლების ქვეშ ჭაღის ნამსხვრევები ხრაშუნობდა. რაკი ჭაღის ნამსხვრევები ეყარა კარზე, ნაცვლად იმისა, რომ მის ქვეშ ყოფილიყო მოქცეული, სასამართლო ექსპერტი, ზარმაცი ხელოსნის წინააღმდეგ აღძრული სარჩლის მიხედვით დაამტკიცებს, რომ მისი ჩამოკიდებული ჭაღი უფრო ადრე ჩამოვარდა, ვიდრე სიმძიმის ძალა "მისცემდა ნებას".

სანამ სიგნალიზაცია რეკავდა, და ტრაუტის თქმით, "რეკავდა თავისი ნებით", ის ჩვეულებისამებრ ხუმრობდა, ნეტა, დროის რღვევამდე ან მის შემდეგ თუ დაეუფლებოდა ვინმეს თავისუფალი ნება?

აკადემიის კარის ზარი მაშინ გაჩერდა, როცა ზოლტან პეპერი მანქანამ გაიტანა.

ტრაუტმა აღნიშნა:

_ამ დროისათვის ზარი უკომენტაროდ დადუმდა.

არც ტრაუტს უსარგებლია თავისუფალი ნებით. აკადემიაში შევიდა და იუდეველთა და ქრისტიანთა ღმერთს მოუწოდა:

_ღვთის გულისათვის, გამოფხიზლდით! თავისუფალი ნება! თავისუფალი ნება!

მოგვიანებით, ხანადუში აღნიშნა, რომ იმ დღეს თუ საღამოს, გმირიც რომ ყოფილიყო, აკადემიის შენობაში მაინც შეშინებული შევიდოდა. თავს იკატუნებდა, თითქოს პოლ რივერი იყო.

ბროდვეისა და ქალაქის სხვადასხვა რაიონიდან მომდინარე სერიოზული აფეთქების ხმებისაგან თავის დასაღწევად, თავშესაფარს ნახევარი კვარტლის მოშორებით, გრანიტის მემორიალთან ეძებდა. სატვირთო მანქანა ჯანდაცვის დეპარტამენტს ეკუთვნოდა და მართვის მექანიზმის დაზიანების გამო ერთ-ერთი შენობის ვესტიბიულში, კომენდანტის კაბინაში შევარდა და გაზქურა მოგლიჯა. მასიური საყოფაცხოვრებო ნივთის გახეთქილმა მილმა ექვსსართულიანი შენობის კიბეები და ლიფტის შახტა მეთანითა და რკინის მტვრის ნაჯერით აავსო.

მობინადრეთა უმეტესობა პენსიონერი იყო.

. . . და ბა-ბახ!

"კატასტროფა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, როდის მოხდებოდა", _ ასე განმარტა კილგორ ტრაუტმა.

ბებერ ფანტასტს უნდოდა, ფორმაში გამოწყობილი შეიარაღებული დაცვის წევრი, დადლი პრინცი, გონზე მოეყვანა, რათა, როგორც მოგვიანებით აღიარა, თვითონ არაფერი გაეკეთებინა.

საბრალოს ყურში ჩაჰყვიროდა:

"თავისუფალი ნება! თავისუფალი ნება! ხანძარი! ხანძარი!"

პრინცი კუნთებს ვერ ამოძრავებდა, თვალებს აფახუნებდა, მაგრამ ეს რეფლექსები იყო და არა თავისუფალი ნება.

ასე მოხდა ჩემი ქათმის წვნიანის შემთხვევაშიც.

პრინცი მხოლოდ ერთზე ფიქრობდა_თუ ერთ კუნთს მაინც აამოძრავებდა, შეიძლება, ისევ 1991 წელში, სრულწლოვანთა გამოსასწორებელ კოლონიაში აღმოჩენილიყო.

გასაგებია?!

ტრაუტმა პრინცს თავი დაანება.

ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია გამაყრუებლად ღმუოდა. თუ შენობას მართლა მოედებოდა ცეცხლი, მისი გაკონტროლება წარმოუდგენელი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში, ტრაუტს უნდა მოენახა ადგილი, საიდანაც მომხდარს შორიდან ადევნებდა თვალს.

გალერეაში მოკიდებული სიგარა იპოვნა. ნიუ-იორკში სიგარის მოწევა აკრძალული იყო. შუაგულ თეფშზე ისე იდო, რომ ჩაწვის შემთხვევაშიც არ გადავარდებოდა. ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალი ისე გაჰკიოდა, თითქოს ცივილიზაციის დასასრულს მოასწავებდა. ეს კი უიმისოდაც ვიცოდით.

თავის წიგნში, "ათი წელი ავტოპილოტზე", ტრაუტმა აღიარა, რომ ძალიან უნდოდა, ეთქვა სიგნალისათვის:

"ეს ნონსენსია! ხმა ჩაიწყვიტე, ისტერიულო რეგვენო!"

საოცარია, რომ გალერეაში ტრაუტის გარდა არავინ იყო.

იქნებ, ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემიაში მოჩვენებები სახლობენ?

38

როდესაც კილგორ ტრაუტი გადაახტა რკინის კარს, წარწერით: "გავკარი ხელოვნებას!"_ მისი სანდლების ქვეშ ჭაღის ნამსხვრევები ხრაშუნობდა. რაკი ჭაღის ნამსხვრევები ეყარა კარზე, ნაცვლად იმისა, რომ მის ქვეშ ყოფილიყო მოქცეული, სასამართლო ექსპერტი, ზარმაცი ხელოსნის წინააღმდეგ აღძრული სარჩლის მიხედვით დაამტკიცებს, რომ მისი ჩამოკიდებული ჭაღი უფრო ადრე ჩამოვარდა, ვიდრე სიმძიმის ძალა "მისცემდა ნებას".

სანამ სიგნალიზაცია რეკავდა, და ტრაუტის თქმით, "რეკავდა თავისი ნებით", ის ჩვეულებისამებრ ხუმრობდა, ნეტა, დროის რღვევამდე ან მის შემდეგ თუ დაეუფლებოდა ვინმეს თავისუფალი ნება?

აკადემიის კარის ზარი მაშინ გაჩერდა, როცა ზოლტან პეპერი მანქანამ გაიტანა.

ტრაუტმა აღნიშნა:

_ამ დროისათვის ზარი უკომენტაროდ დადუმდა.

არც ტრაუტს უსარგებლია თავისუფალი ნებით. აკადემიაში შევიდა და იუდეველთა და ქრისტიანთა ღმერთს მოუწოდა:

_ღვთის გულისათვის, გამოფხიზლდით! თავისუფალი ნება! თავისუფალი ნება!

მოგვიანებით, ხანადუში აღნიშნა, რომ იმ დღეს თუ საღამოს, გმირიც რომ ყოფილიყო, აკადემიის შენობაში მაინც შეშინებული შევიდოდა. თავს იკატუნებდა, თითქოს პოლ რივერი იყო.

ბროდვეისა და ქალაქის სხვადასხვა რაიონიდან მომდინარე სერიოზული აფეთქების ხმებისაგან თავის დასაღწევად, თავშესაფარს ნახევარი კვარტლის მოშორებით, გრანიტის მემორიალთან ეძებდა. სატვირთო მანქანა ჯანდაცვის დეპარტამენტს ეკუთვნოდა და მართვის მექანიზმის დაზიანების გამო ერთ-ერთი შენობის ვესტიბიულში, კომენდანტის კაბინაში შევარდა და გაზქურა მოგლიჯა. მასიური საყოფაცხოვრებო ნივთის გახეთქილმა მილმა ექვსსართულიანი შენობის კიბეები და ლიფტის შახტა მეთანითა და რკინის მტვრის ნაჯერით აავსო.

მობინადრეთა უმეტესობა პენსიონერი იყო.

. . . და ბა-ბახ!

"კატასტროფა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, როდის მოხდებოდა", _ ასე განმარტა კილგორ ტრაუტმა.

ბებერ ფანტასტს უნდოდა, ფორმაში გამოწყობილი შეიარაღებული დაცვის წევრი, დადლი პრინცი, გონზე მოეყვანა, რათა, როგორც მოგვიანებით აღიარა, თვითონ არაფერი გაეკეთებინა.

საბრალოს ყურში ჩაჰყვიროდა:

"თავისუფალი ნება! თავისუფალი ნება! ხანძარი! ხანძარი!"

პრინცი კუნთებს ვერ ამოძრავებდა, თვალებს აფახუნებდა, მაგრამ ეს რეფლექსები იყო და არა თავისუფალი ნება.

ასე მოხდა ჩემი ქათმის წვნიანის შემთხვევაშიც.

პრინცი მხოლოდ ერთზე ფიქრობდა_თუ ერთ კუნთს მაინც აამოძრავებდა, შეიძლება, ისევ 1991 წელში, სრულწლოვანთა გამოსასწორებელ კოლონიაში აღმოჩენილიყო.

გასაგებია?!

ტრაუტმა პრინცს თავი დაანება.

ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია გამაყრუებლად ღმუოდა. თუ შენობას მართლა მოედებოდა ცეცხლი, მისი გაკონტროლება წარმოუდგენელი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში, ტრაუტს უნდა მოენახა ადგილი, საიდანაც მომხდარს შორიდან ადევნებდა თვალს.

გალერეაში მოკიდებული სიგარა იპოვნა. ნიუ-იორკში სიგარის მოწევა აკრძალული იყო. შუაგულ თეფშზე ისე იდო, რომ ჩაწვის შემთხვევაშიც არ გადავარდებოდა. ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალი ისე გაჰკიოდა, თითქოს ცივილიზაციის დასასრულს მოასწავებდა. ეს კი უიმისოდაც ვიცოდით.

თავის წიგნში, "ათი წელი ავტოპილოტზე", ტრაუტმა აღიარა, რომ ძალიან უნდოდა, ეთქვა სიგნალისათვის:

"ეს ნონსენსია! ხმა ჩაიწყვიტე, ისტერიულო რეგვენო!"

საოცარია, რომ გალერეაში ტრაუტის გარდა არავინ იყო.

იქნებ, ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემიაში მოჩვენებები სახლობენ?

აქ, კოლორადოში, ინდიანაპოლისელი როჯერ დაუნსი ცხოვრობდა. აქ, საუტ _ ფორკში, ლონგ აილენდზე ვარ მეც _ ინდიანაპოლისელი. ჩემი ინდიანაპოლისელი ცოლის, ჯეინ მარია კოქსის ფერფლი შერეულია უსახელო ალუბლის ხის ფესვებთან, მასაჩუსეტის შტატში, ბერნსტეიბლ _ ვილიჯში. ამ ხის ტოტები ჩანს ფლიგელიდან, რომელიც ხელახლად ააშენა ტედ ადლერმა და შემდეგ იკითხა:"როგორია?!"

ჩემი და ჯეინის ინდიანაპოლისელი მეჯვარე, ბენჯამინ ჰიტზი, ქვრივია და კალიფორნიაში, სანტა _ ბარბარაში, ცხოვრობს. გასულ ზაფხულს ბენი ჩემს ბიძაშვილს ხვდებოდა. ისიც ქვრივია და მერილენდის სანაპიროზე ცხოვრობს. ჩემი და ნიუ-ჯერსიში გარდაიცვალა. ჩემი ძმა _ ელბანში, ნიუ-იორკის შტატში კვდება, მაგრამ მე ჯერ ვერ ვგრძნობ მას.

ჩემი სიყრმის მეგობარი, დეივიდ კრაიგი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანულ ტანკში რადიო დაადუმა, მშენებელია და ნიუ-ორლეანში ცხოვრობს. ჩემი ბიძაშვილი, ემი, რომლის მამამაც, ომიდან დაბრუნებულს მითხრა, ახლა უკვე კაცი ხარო და ვისთან ერთადაც შორტრიჯის სკოლაში ლაბორატორიულ გამოკვლევებს ვატარებდი, აღმოსავლეთ ლუიზიანიდან ოცდაათი მილის მოშორებით ცხოვრობს.

დიასპორა!

რატომ ტოვებს ჩვენი უმრავლესობა წინაპრების ქალაქებს, სადაც ჩვენი ოჯახები პატივისცემით სარგებლობენ, სადაც ნებისმიერი ქუჩა და სიტყვა ჩვენთვის ნაცნობია, სადაც ცივილიზაციის ავი და კარგი დაილექა?

თავგადასავლებისაკენ სწრაფვა? ან იქნებ კრაუნ ჰილის სასაფლაოს ძალაუფლებას გავურბოდით.

კრაუნ ჰილმა მიისაკუთრა ელი, მაგრამ ვერ მიიღო ჯეინი და ვერ მიიღებს ბერნის.

ვერ მიმიღებს მე!

1990 წელს სამხრეთ ოჰაიოს უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს. იქვე, ახლოს, ერთ სასტუმროში დამაბინავეს. ლექციების შემდეგ ნომერში დავბრუნდი და წესისამებრ, ვისკი შევუკვეთე.

ამის შემდეგ ყოველთვის ჩვილივით მეძინება_ხოლმე. საერთოდ, მიყვარს ჩვილივით ძილი.

ბარი გადაჭედილი იყო ადგილობრივი მხცოვანი საზოგადოების წარმომადგენლებით, რომლებიც საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს და მხიარულადაც ატარებდნენ დროს. ბარმენს ვკითხე, ვინ არიან _ მეთქი. აღმოჩნდა, რომ ზენსვილის სკოლის, 1940 წლის გამოშვების კურსდამთავრებულები იყვნენ და სკოლის დამთავრების ორმოცდაათი წლისთავს აღნიშნავდნენ.

მშვენიერია!

მე შორტრიჯის სკოლის 1940 წლის კურსდამთავრებული ვარ. გამოდის, რომ იმ წუთებში ჩემს შეხვედრას ვაცდენდი.

ეს საზოგადოება მსოფლიოში ყველაზე მშვენიერი პიესის, ტორტონ უაილდერის "ჩვენი ქალაქის" პერსონაჟებს მაგონებდა.

ისინი ხანდაზმულები იყვნენ და კარგად ემახსოვრებოდათ დრო, როცა მიღებული განათლების ხარისხი მატერიალურ კეთილდღეობას არ განსაზღვრავდა. რაღაცის შოვნა ყველას შეეძლო.

მამაჩემს ვუთხარი, რომ ქიმიკოსობა არ მინდოდა. ამასთან, ფულსაც დაზოგავდა, თუ გაზეთში გამიშვებდა სამუშაოდ. მე იმ შემთხვევაში წავიდოდი კოლეჯში, თუ იმავე კურსს გავივლიდი, რაც ჩემმა ძმამ გაიარა. მამა და ძმა დამეთანხმნენ, რადგან სხვა ყველა პროფესია დეკორატიულად მიაჩნდათ. ბიძია ალექსაც ამიტომ დასცინოდნენ, რომ მის ჰარვარდის განათლებას დეკორატიულად მიიჩნევდნენ. მამამ მითხრა, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ მის იურისტ მეგობარს, ფრედ ბეიტს ჯონსონს, დაველაპარაკებოდი.

მისტერ ჯონსონი რეპორტიორად მუშაობდა ერთ ყოველდღიურ, დემოკრატიული მიმართულების, აწ არარსებულ გაზეთში, სახელწოდებით "ინდიანაპოლის თაიმსი." მე მას ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობდი, როცა ბრაუნის მიდამოებში კურდღლებსა და ჩიტებზე სანადიროდ დავდიოდით. ეს საქმე მაშინ მივატოვეთ, როცა ელიმ ტირილით შეგვაღონა.

მისტერ ჯონსონმა ოფისში მიმიწვია და სავარძელში გამოჯგიმულმა, თვალების მოწკურვით მკითხა, როგორ მესახებოდა ჟურნალისტის კარიერა.

_ჩინებულად, სერ, _ მივუგე. _ვფიქრობ, "კალვერ სიტიზენში" მივიღებ სამუშაოს და სამი-ოთხი წელი გავჩერდები. ამ რაიონს კარგად ვიცნობ.

კალვერი იყო მაქსინკუკის ნაპირზე, ჩრდილოეთ ინდიანაში იყო. აქვე გვქონდა საზაფხულო სახლი.

_ და მერე? _მკითხა მან.

_პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, რიჩმონდში ან კოკომოში გადავალ.

_და მერე?_მკითხა ისევ.

_ხუთწლიანი სტაჟი საშუალებას მომცემს, ბედი ვცადო ინდიანაპოლისში.

_უკაცრავად, _მითხრა მან._უნდა დავრეკო.

ზურგი შემაქცია.

ჩუმად ლაპარაკობდა.

მოსმენა არც მიცდია. ვიფიქრე, ჩემი საქმე არ არის _ მეთქი.

ბოლოს ყურმილი დაკიდა, შემობრუნდა და მომღიმარი სახით მითხრა:

_გილოცავ, შენ "ინდიანაპოლის თაიმსში" მიიღე სამუშაო.

იმის ნაცვლად, რომ "ინდიანაპოლის თაიმსში" დამეწყო მუშაობა, ნიუ-იორკში გავემგზავრე, კოლეჯში სასწავლებლად და ისევე, როგორც ბლანშ დუბიუსი, სხვათა მოწყალებაზე აღმოვჩნდი დამოკიდებული.

ახლა, როცა ხანადუს პიკნიკამდე ხუთი წელია დარჩენილი, ვფიქრობ, რა გამოვიდოდა ჩემგან, მშობლიური მხარე, მშობლები, წინაპრები და საერთოდ, ჩემი ქალაქი რომ არ მიმეტოვებინა.

მაგრამ რა, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

იმ ადამიანს, რომელიც ჩემგან არ დადგა, აუცილებლად ეცოდინებოდა ისეთი ხუმრობა, მისტერ ჯონსონმა რომ იცის. ერთი საინტერესო ამბავი მახსოვს. ფრედი, მამაჩემი, მე და მათი რამდენი მეგობარი ბრაუნის მიდამოებში წავედით სანადიროდ. "ბიჭები" ჯგუფებად დადიოდნენ ირმებსა და ამერიკულ ცხენ-ირმებზე სანადიროდ. ერთ-ერთი ბანაკში რჩებოდა და ვახშამს ამზადებდა, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ. კენჭი ყარეს, ვინ უნდა დარჩენილიყო საჭმლის გასაკეთებლად, სანამ სხვები ინადირებდნენ. კერძის გაკეთების პატივი მამას ხვდა წილად.

საერთოდ, საჭმელს მამა აკეთებდა_ხოლმე. დედას ეს საქმე როგორღაც არ ეხერხებოდა და ამით ამაყობდა კიდეც. ძალიან მიყვარდა სტუმრად მისვლა იმ ბავშვებთან, რომელთა დედები საჭმელსაც აკეთებდნენ, ჭურჭელსაც რეცხავდნენ და ერთი სიტყვით, დიასახლისის ჩვეული საქმიანობით იყვნენ დაკავებული. მონადირეებმა მოილაპარაკეს, რომ ვისაც მამაჩემის გაკეთებული საჭმელი არ მოეწონებოდა, თვითონ მოემზადებინა. მამა უგემურ კერძებს აკეთებდა, მაგრამ მონადირეები ჯიუტად აქებდნენ. ერთხელ, ცხენ-ირემის სრულიად ცხელ-ცხელი განავალი იპოვნა და ძრავის ზეთში შებრაწა. საღამოს კი თავის თანამეინახეებს მიართვა დიდი ზარ_ზეიმით, როგორც საუკეთესო ღვეზელი. პირველმა დეგუსტატორმა მაშინვე გადმოაფურთხა და ზიზღით თქვა: _ღმერთო ჩემო, ეს ხომ ძრავის ზეთში შემწვარი ცხენ-ირმის განავალია?!

და მაშინვე დაუმატა:

_მაგრამ არაჩვეულებრივად შეკაზმული!

დედის ასეთი უნიათობა მამამისის ბრალია. ალბერტ ლეიბერი, ლუდის მეწარმე და ბირჟის ვაჭარი, მიიჩნევდა, ამერიკა ევროპული არისტოკრატიზაციისაკენ მიემართება და ევროპის დარად, ამერიკაშიც, არისტოკრატების ცოლები და ქალიშვილები დეკორატიულები უნდა იყვნენო.

არ ვთვლი, რომ დავიგვიანე და აღარ დავწერ ნოველას ალბერტ ლეიბერზე. სწორედ მას ადევს პასუხისმგებლობა დედაჩემის თვითმკვლელობაზე, დედის დღეს, 1944 წელს. გერმანული წარმოშობის, ინდიანაპოლისში დამკვიდრებული ამერიკელი წიგნის ან ფილმის ძალიან თვითმყოფადი და ტიპიური პერსონაჟი იქნებოდა. თავიდანვე უნდა მეფიქრა ასეთი გმირის შექმნაზე.

ცნობილი ამერიკელი კრიტიკოსი, ბალტიმორში მცხოვრები ჰ.ლ. მენკენი, აღნიშნავდა, რომ უილი კეიზერის რომანებს ვერ კითხულობდა. ცდილობდა, მაგრამ ძალიან უჭირდა ჩეხი ემიგრანტების ნებრასკაში ცხოვრების ამსახველი ისტორიების გათავისება.

იგივე პრობლემა.

სანამ დამავიწყდება, ვიტყვი, რომ ელისი, ჩემი დის, ელის, სეხნია, ალბერტ ლეიბერის პირველი ცოლი, მესამე ბავშვის გაჩენას გადაჰყვა. ეს ბიძია რუდი იყო_დედაჩემის უმცროსი ძმა.

შუათანა, ბიძია პიტი, თავის დროზე, მასაჩუსეცის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან გარიცხეს მან ქვეყანას მოუვლინა ჩემი ბიძაშვილი ალბერტი, დელ_მარშელი მეცნიერი.

ალბერტი დაბრმავდა, მაგრამ არა რადიაციისაგან. მიზეზი სხვა იყო. ეს შეიძლება, ნებისმიერს შეემთხვეს_მეცნიერსაც და რიგით მოქალაქესაც. სხვათა შორის, თავის დროზე ალბერტმა სამყაროს აჩუქა არა ატომისტი მეცნიერი, არამედ კომპიუტერული გენიოსი.

როგორც კილგორ ტრაუტი ამბობდა_ხოლმე დროდადრო: "ცხოვრება გრძელდება."

ჰოდა, რას ვამბობდი!

დედაჩემის მამა, ლუდის მეწარმე და რესპუბლიკელთა შორის წონიანი ფიგურა, ამასთან, ერთ-ერთი ბედნიერი არისტოკრატი, პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ მევიოლინეზე დაქორწინდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ ქალბატონს ქმრის შვილები სძულდა.

ქალებს ეს ახასიათებთ!

მიზეზი ეჭვიანობაა. უნდოდა, ქმრის ფიქრისა და ზრუნვის ერთადერთი ობიექტი ყოფილიყო. ეს ჯოჯოხეთის მაშხალა ისე ამცირებდა დედაჩემს და ბიძებს_მორალურად თუ ფიზიკურად, რომ ბაბუა ლეიბერი გაშორდა. მაგრამ რა, შვილებს ეს არასოდეს დავიწყებიათ.

პოტენციური წიგნის მყიდველები რომ არსებობდნენ, ვისაც მდიდარი გერმანო-ამერიკელების ინდიანაპოლისური ცხოვრება აინტერესებს, მთელ პოემას დავწერი იმის შესახებ, თუ როგორ კლავდა ბაბუაჩემი დედაჩემს, ნელ-ნელა, აუჩქარებლად.

პოემას_სახელწოდებით:

"ტინგ-ლინგ, ნაბიჭვარო!"

სამუშაო სახელწოდებით:

"ქარწაღებულნი."

როდესაც დედაჩემი ერთ ახალგაზრდა არქიტექტორს, მამაჩემს გაჰყვა ცოლად, პოლიტიკოსებმა და სალონის მეპატრონეებმა, ერთი სიტყვით, გერმანო-ამერიკული ნაღები საზოგადოების წარმომადგენლებმა, არაჩვეულებრივი საჩუქრები უძღვნეს: ბროლი, ჩინური ფაიფური, ვერცხლი, ძვირფასი ქსოვილი, ოქროც კი!

შაჰრაზადა!

ვინ იფიქრებდა, რომ ინდიანის საზოგადოება ისეთი მდიდარი აღმოჩნდებოდა, რომ თავიანთ მეორე ნახევარსფეროელ მოძმეებს გაეჯიბრებოდა.

დიდი დეპრესიის წლებში ეს ხალხი მეც, ჩემს და-ძმასაც, მამაჩემსაც კი _ ერთ დიდ, პატიოსან ჯოგად მიგვაჩნდა, რომელიც ისევე გაიფანტა, როგორც შორტრიჯის 1940 წლის გამოშვება.

ყოველთვის ძალიან ვწვალობ ჩემი მოთხრობებისათვის ისეთი ფინალის მორგებაზე, რომელიც საზოგადოებას გააოცებდა. რეალურ ცხოვრებაშიც და

დროის რღვევის შემდეგაც, ხალხი არ იცვლება. ისინი არც საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ და არც ბოდიშს იხდიან. მოთხრობის სამიდან ორი პერსონაჟი ასე იქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ნოველა ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემიის წინ მდებარე სანაგვე ყუთში უნდა მოისროლო.

ამას უკვე შევეგუე. პერსონაჟი შევცვალე, რაღაც ვასწავლე, ზოგს ბოდიშიც მოვახდევინე.

გარშემო ხალხი მახვევია და შესაბამისად, წარმოსახვაც გამძაფრებული მაქვს. მკითხველს მაინც ვერ გავაგებინე, რომ შოუ დასრულდა.

ახალგაზრდობაში ძალიან გულუბრყვილო ვიყავი, რადგან არავის უკითხავს ნებართვა ჩემი ამქვეყნად მოვლინების გამო.

სამაგიეროდ, ჩემს აგენტს ვკითხავ რჩევას, როგორ დავასრულო რომანი.

ხომ არ ამოვხოცო გმირები?

ჩემი აგენტი საკმაოდ სახელოვანი ჟურნალის გამომცემელი და ჰოლივუდის სტუდიის სცენარისტი იყო.

მან მითხრა:

_ამაზე ადვილი არაფერია, ჩემო ბიჭუნა. გმირი ჯდება ცხენზე და ჰორიზონტის მიმართულებით მიაჭენებს.

მზე ჩადის.

რამდენიმე წლის შემდეგ კი თორმეტკალიბრიანი თოფით იკლავს თავს.

ერთმა მისმა მეგობარმა და კლიენტმა თქვა, რომ თავის მოკვლა ვერ შეძლო.

ეს სრულიად არ ჰგავდა მას.

მე ვუპასუხე:

_ადამიანს სამხედრო სწავლების დროსაც კი არ შეუძლია თავის მოკვლა."

ჩიკაგოს უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, ჩემს ერთ ხელმძღვანელს ხელოვნებაზე ვესაუბრებოდი. მაშინ აზრადაც არ მქონია ხელოვნების რომელიმე დარგის არჩევა.

მან მკითხა:

_იცი, ვინ არიან მხატვრები?

_არ ვიცი.

_მხატვრები არიან ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ სამყაროს შეცვლა, მაგრამ შეუძლიათ ოთხკუთხედი ტილოს ან რვანახევარგოჯიანი ფურცლის გაფერადება, თიხისაგან გამოძერწვა ან თორმეტი ნოტის საკუთარი შეხედულებისამებრ მართვა.

ხუთი წლის შემდეგ მან გააკეთა ის, რაც ჰიტლერის პროპაგანდის მინისტრის ოჯახობამ, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ_ციანიდის კაფსულა გადაყლაპა.

მის ქვრივს წერილი მივწერე და მოვუყევი, რამდენს ნიშნავდა ჩემთვის მისი ქმრის შეგონებები.

პასუხი არ მიმიღია.

როგორც ჩანს, ის ან ტრაგედიამ მოტეხა, ან ძალიან აღშფოთებული იყო გარდაცვლილი ქმრის საქციელით, რამეთუ ცხოვრებისგან თავის დასაძვრენად მეტისმეტად იოლ გზას მიმართა.

ამ ზაფხულს ნოველისტ უილიამ სტირონს ვკითხე: _რამდენი ადამიანი ცხოვრობს დედამიწაზე ჩვენნაირად, ანუ კარგად?

ჩვიდმეტ პროცენტზე შევთანხმდით.

მეორე დღეს ჩემს ძველ მეგობართან, ბილივიუს საავადმყოფოს ექიმთან ერთად გავემართე სასეირნოდ. ის ნარკომანებს მკურნალობდა და ბევრი მისი პაციენტი უსახლკარო ან შიდსით დაავადებული იყო. ჩემი და სტირონის შეთანხმებაზე რომ ჩამოვაგდე სიტყვა, უდავოდ დაეთანხმა სავარაუდო ჩვიდმეტ პროცენტს.

სადღაც დავწერე, რომ წმინდანი ვარ და წმინდანად მივიჩნევ ყველა ადამიანს, ვინც ამ ბინძურ საზოგადოებაში წესიერად იქცევა-მეთქი.

ჩემს მეგობარს ვკითხე:

_თავს რატომ არ იკლავენ თქვენი პაციენტები?

აღმოჩნდა, რომ თავადაც არაერთხელ დაუსვამს ეს შეკითხვა. ხანდახან იმათაც ეკითხება, მსგავსი აზრი ხომ არ მოგსვლიათო.

ეს ნარკომანების მკურნალობის პრაქტიკისათვის მისაღები შეკითხვა იყო.

აღმოჩნდა, რომ უმეტესობა, მცირედი გამონაკლისით, შეურაცხყოფილი იყო ამ შეკითხვით და კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ასეთი ავადმყოფური აზრი არასოდეს მოსვლოდათ თავში.

მოულოდნელად, მის ერთ პაციენტს შევხვდით. ალუმინის ქილებით სავსე ჩანთას მიათრევდა. უსახლკარო კი იყო, მაგრამ მის ყურებას არაფერი სჯობდა. ასეთ ადამიანზე კილგორ ტრაუტი იტყოდა_"სამსხვერპლო საქონელი."

"გამარჯობა, დოქ!"_თქვა მან და ჩაგვიარა.

შეკითხვა: რა არის ეს თეთრი ნივთიერება ჩიტის სკლინტში?

პასუხი: ესეც ჩიტის სკლინტია.

ესეც შენი მეცნიერება. თანაც, როგორ ეხმიანება ეკოლოგიურ კატასტროფას! და მაინც, ჩერნობილი უფრო ცხელია, ვიდრე ჰიროსიმელი ბავშვის ეტლი.

დეზოდორანტებიც კი, რომლებსაც იღლიაში ვისხამთ, ოზონის შრეს შთანთქავს და ავბედით ხვრელებს აჩენს.

ნამდვილი ხელოვნებაა!

და აი, კიდევ რა: ჩემი უფროსი ძმას, ბერნის, ხატვა არ შეეძლო_ვაშლსაც ვერ დახატავდა და საერთოდაც, მხატვრობას უგულვებელყოფდა. მიაჩნდა, რომ ფერწერა არაფერში გამოდგება, უბრალოდ, კედელზე ჰკიდია და მორჩა.

ჰოდა, ამ ზაფხულს ბერნი მხატვარი გახდა.

არ ვხუმრობ! მასაჩუსეცის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფიზიკო-ქიმიკოსი ახლა საცოდავი ჯექსონ პოლაკია! სხვადასხვა ფერის საღებავებს აზავებს ორ შუშასა და ფილაზე, შემდეგ გაშლის ფურცლებს ეტ ვოილა`!

ამის კეთება კიბოს გამო არ დაუწყია. მაშინ არც კი იცოდა, კიბო თუ ჰქონდა. თანაც, ფილტვები აქვს დაავადებული და არა ტვინი.

ერთხელ, უსაქმურობის ჟამს_ცოლიც არ ჰყავდა, რას აკეთებო, რომ ეკითხა_ხატვას შეუდგა.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

აი, ასე!

ერთხელ ქსეროქსის შავი და თეთრი მინიატურები გამომიგზავნა, ძალიან ჰგავდა სოკოს ან გახვრეტილ ქოლგას, მაგრამ, ჩემი აზრით, ისევე მისღები იყო, როგორც ჩემი ცეკვა. მოგვიანებით ფერადი კომპოზიციები მაჩვენა.

მომეწონა. მის წერილებში არაფერი იყო ნათქვამი ამ მოულოდნელ ბედნიერებაზე.

ხშირად მეკითხებოდა:

_ხელოვნებაა ეს თუ არა?

ამ შეკითხვას ვერ დასვამდა ორმოცდაათი წლის წინ, ანუ იქამდე, სანამ ფერწერის პირველი წმინდა ამერიკული სკოლა, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, შეიქმნებოდა. მისი კორიფე იყო ჯექსონ პოლაკი, მხატვარი, რომელმაც ხატვა არ იცოდა. ბერნიმ დაამტკიცა, რომ საინტერესო ფენომენი აღმოაჩინა. აკვირდებოდა, როგორ ისრისებოდა საღებავი და როგორ გადიოდა დაწოლის დროს გვერდებში. თუ მისი ნამუშევრები მისაღები არ აღმოჩნდებოდა, სამაგიეროდ, მისი აღმოჩენა საფუძველს ჩაუყრიდა უფრო კარგი ხარისხის საღებავის შექმნას, გარუჯვის მიზეზების გამორკვევასა და ღმერთმა იცის, კიდევ რას.

ბერნიმ განაცხადა, რომ სურათებს ხელს არ მოაწერდა და არც თავის შექმნილად აღიარებდა. მას უნდოდა, კრიტიკოსებს თავ_გზა აბნეოდათ, როცა სრულიად უმანკო კითხვას დაუსვამდა:

_ხელოვნებაა ეს თუ არა?

მის შურისმაძიებლურ კითხვას პირადად მე დიდი სიამოვნებით ვუპასუხებდი, თანაც, მთელი გულახდილობით. ამას ველოდი კიდეც, რადგან ოდესღაც ბერნიმ და მამამ ხელოვნების კოლეჯში სასწავლებლად არ გამიშვეს.

_ძვირფასო ძმაო, მე შევეცდები, ვილაპარაკო დაახლოებით ისე, როგორც ჩიტებსა და ფუტკრებზე ვილაპარაკებდი. არსებობს ბევრი კეთილი ადამიანი, რომლებზეც დადებითად მოქმედებს ერთი რომელიმე და არა ყველა ფერის და ფორმის, სიბრტყეზე გადატანილი ლაქები. ამ ფერებს აზრი არც აქვს. შენ ხომ განიჭებს სიამოვნებას მუსიკა, ხმაური, რაც, ცალკე აღებული, სრული უაზრობაა? მე რომ სარდაფის კიბეზე სათლი დავაგორო და მერე ვთქვა, რომ გამოცემული ხმაური, ფილოსოფიური თვალსაზრისით, ჯადოსნური ფლეიტის მსგავსია, არავინ დამიჯერებს. შენ კი

მეტყოდი: "მომწონს, რაც გააკეთა მოცარტმა, არ მომწონს, რაც გააკეთა სათლმა."

ხელოვნების შემოქმედებითი ჭვრეტა სოციალური აქტივობაა მაშინაც კი, თუ მიიჩნევთ, რომ დრო უქმად არ დაგიკარგავთ, ან პირიქით. დროის დაკარგვის შემდეგ არასოდეს უნდა დასვა კითხვა_რატომ?

საერთოდ, არ არის საჭირო რაიმეს თქმა.

ძვირფასო ძმაო, შენ ხომ ცნობილი ექსპერიმენტატორი ხარ! თუ ძალიან გაინტერესებს, "ხელოვნებაა თუ არა" ის, რასაც ქმნი, გამოიტანე საზოგადოების წინაშე და გაიგებ, როგორ შეაფასებენ. ასეთია თამაშის წესი. მერე მეტყვი, რა იქნება. ხალხი, რომელიც ტკბობას განიცდის ნახატის ან ბეჭდური სიტყვისაგან, იშვიათად ღებულობს სიამოვნებას, თუ არაფერი უწყის ავტორის შესახებ. ეს უფრო სოციალური ვითარებაა, ვიდრე მეცნიერული. ხელოვნების ყველა ქმნილება, გარკვეულწილად, ორ ადამიანს შორის მიმდინარე საუბრია. უნდა იცოდე, ვის ელაპარაკები, როგორი რეპუტაციის მქონეა შენი თანამოსაუბრე_სერიოზულია, მორწმუნე, გულწრფელი, ტანჯული თუ გონებამახვილი. პრაქტიკულად, არ არსებობს ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუში, რომლის შესახებაც არაფერი ვიცით. იმ ნახატების შესახებაც კი, რომელიც ლასკოს გამოქვაბულში იქმნებოდა.

გავბედავ და გეტყვი, რომ არცერთ სურათს არ შეუძლია ყურადღების მიზიდვა, თუ ავტორის სახელი უცნობია. თუ იმიტომ არ აწერ ხელს, რომ სხვებმა აღმოაჩინონ შენს ქმნილებაში რაიმე ღირებული, სისულელეა. ნახატი ცნობილი ხდება თავისი ადამიანურობით და არა ფერწერულობით.

ჭეშმარიტი ხელოვნების მოყვარულთ აინტერესებთ, როგორ იქმნება ესა თუ ის ნამუშევარი. გულდასმით ათვალიერებენ ტილოს და ცდილობენ, ამოიცნონ, როგორ მოედინებოდა ქმნადობის ილუზია. თუ არ გინდა, თქვა, როგორ ქმნი, ესეც უსაფუძვლო მოსაზრებაა. გისურვებ წარმატებას. მიყვარხარ ისე, როგორც ყოველთვის მიყვარდი._დავწერე და ხელი მოვაწერე.

სურათებს ხელოვნურ აბრეშუმზე ვხატავ ინდური მელნით. ლექსინგტონელი მხატვარი, ჯო პეტრო III კი, _ ბეჭდავს. საკუთარ ნამუშევარს იქამდე ვერც აღვიქვამ, სანამ ჯო დაბეჭდავს და ფერს მისცემს.

მე ნეგატივებს ვქმნი, ის _ პოზიტივებს.

ალბათ, ნახატის შექმნის უფრო სწრაფი და იაფი საშუალებაც არსებობს და შეიძლება გოლფის სათამაშოდ, თვითმფრინავების მოდელების კეთებისა და დაშლისთვისაც მეტი დრო დაგვრჩენოდა.

გამოკვლევა უნდა ჩავატარო.

ჯოს მადლიერი ვარ. ისეთ დროს შემომთავაზა ნეგატივების კეთება, როცა ჩემი რადიო_მიმღები გზავნილებს ვეღარ იღებდა.

ხელოვნება ხომ ყოვლის შთანმთქმელია!

სამი კვირის წინ, 1996 წლის 6 სექტემბერს, მე და ჯომ კოლორადოში, დენვერის გალერეაში გამოვფინეთ ჩვენი ოცდაექვსი გრავიურა. ლუდის მინი-ქარხანა "უნიკოპმა" ამ შემხვევასთან დაკავშირებით ლუდი გამოუშვა იარლყზე ჩემი ავტოპორტრეტით და სახელწოდებით _ "ერთმილიანი ქერი".

ხომ სასაცილოა?

და კიდევ: ჩემი მითითებით, ლუდში ცოტაოდენი ყავა ჩაამატეს.

რა არის საოცარი?!

ლუდი ძალიან გემრიელი გამოვიდა, თანაც ბაბუაჩემის ხსოვნას ვეცი პატივი.

მშრალი კანონის მიღებამდე ის ფრიად წარმატებული მეწარმე გახლდათ და მისი საიდუმლო ინგრედიენტი სწორედ ყავა იყო. 1889 წელს, პარიზის გამოფენაზე, ოქროს მედალიც კი მიანიჭეს.

ტინგ-ლინგ!

დენვერისათვის მართლაც სასაცილოა!

სხვათა შორის, ლუდის კომპანიის მეპატრონე, ჯონ ჰაკენლუპერი, ჯოს თანატოლი იყო?

რას ხედავთ საკვირველს?

ორმოცდათექვსმეტი წლის წინ, როდესაც კორნელის უნივერსიტეტში ჩაბარება და ქიმიკოსობა გადავწყვიტე, სტუდენტურ საზოგადოებაში დავუახლოვდი ერთ პიროვნებას, ჯონ ჰაიკენლუპერს.

ტინგ-ლინგ!

ლუდის მეწარმე მისი შვილი იყო.

როდესაც ჩემი სტუდენტობის მეგობარი დაიღუპა, მისი ვაჟი შვიდი წლის იყო. გამოდის, რომ მე უფრო მეტი ვიცი მის შესახებ. შემეძლო, ახალგაზრდა მეწარმისათვის მეამბნა, რომ მამამისი, თავის ერთ მეგობართან, ჯონ ლოკთან ერთად, ამავე შენობის მეორე სართულზე, საერთო ტუალეტში ყიდდა კამფეტებს, გამაგრილებელ სასმელებსა და სიგარეტებს.

რას არ ვეძახდით: ლოკერლუპერს, ლუპენიკს, ჰიკენბარს…. . .

ბედნიერი დღეები!

გვეგონა, არაფერი შეიცვლებოდა.

ძველი ლუდი ახალ ბოთლებში.

ძველი ხუმრობანი ახალი ადამიანებისაგან.

ახალგაზრდა ჯონ ჰაიკენლუპერს ერთი სასაცილო ამბავი ვუამბე.

სადაც უნდა ვყოფილიყავით, თუ ჯონი მკითხავდა: "კუების კლუბის წევრი ხომ არ ხართ?"

მე ხმამაღლა, ყვირილით უნდა მეპასუხა:

"ვფიცავ თქვენს უკანალს, ვარ!"

თავისთავად, იგივეს გაკეთება მეც შემეძლო. ვისარგებლებდი რომელიმე ხელსაყრელი მომენტით, განსაკუთრებით მაშინ, თუ კლუბში ახალ წევრს ვღებულობდით და ყურში ჩავჩურჩულებდი:

"კუების კლუბის წევრი ხომ არ ხართ?"

ისიც ღრიალებდა:

"ვფიცავ თქვენს უკანალს, ვარ!"

კიდევ ერთი ხუმრობა: "გამარჯობა, მე ვარ სპოლდინგი. ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩემი ბურთებით თამაშობთ."

ამაზე აღარავინ იცინის. სპოლდინგი აღარ არის სპორტული ინვენტარის ყველაზე სახელოვანი მწარმოებელი. არც ლეიბერის ოქროსმედლიანი ლუდის დალევაა დასვენების ჟამს უეჭველი და არც "ვონეგუტ ჰარდვეარი" ითვლება საოჯახო ნივთების ყველაზე საუკეთესო მწარმოებლად. კომპანია კონკურენტებმა გააკოტრეს.

ლუდის ქარხანა 1919 წელს დაიხურა, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნის თანახმად. მე-18 მუხლი კატეგორიულად კრძალავდა სპირტიანი სასმელების წარმოებას, გაყიდვასა და ტრანსპორტირებას.

იუმორისტმა კინ ჰუბარდმა თქვა: "მშრალი კანონი ასი თავით სჯობია სპირტიანი სასმელების საერთოდ არარსებობას."

ეს 1933 წლამდე გაგრძელდა.

ამ დროისათვის ალ კაპონე ჩიკაგოს დაეპატრონა, ხოლო ჯოზეფ პ.კენედი_მოკლული პრეზიდენტის მამა, მულტიმილიონერი გახდა.

იმ კვირა დღეს, როცა მე და ჯო პეტრო III-ს გამოფენა უნდა გაგვეხსნა, დენვერში, ძველი სასტუმროს, "ოქსფორდის", ერთ ნომერში გამეღვიძა. ისიც მახსოვს, იქ როგორ აღმოვჩნდი_წინა დღეს ბაბუაჩემის ლუდით გავიჭყიპე. ჩავიცვი და გარეთ გავედი. ყველას ეძინა, მანქანებიც კი არ მოძრაობდნენ. ამ წუთებში რომ შეეპყრო სამყარო თავისუფალ ნებას, ალბათ, თავს ვერ შევიკავებდი, წავიქცეოდი და არც არავინ გადამივლიდა.

ისე, როცა კვლავ შეგვიპყრობს თავისუფალი ნება, კარგი იქნება, თუ მბუტი ვიქნები, სადღაც, ზაირში, აფრიკის ჯუნგლებში.

ჩემი სასტუმროდან ორასი იარდის მოშორებით მდებარეობს ნარჩენი იმისა, რასაც ადრე ქალაქის ცენტრად თვლიდნენ. მხედველობაში მაქვს რკინიგზის სადგური, რომელიც ჯერ კიდევ 1880 წელს აშენდა, ამჟამად კი, მხოლოდ ორი მატარებელი ჩერდება.

მე თვითონ ანტიკური ხანისა ვარ და კარგად მახსოვს საშინელი ხმაური, გამაფრთხილებელი ზარები. მახსოვს მუშათა გაფიცვის ისტორიაც. ამერიკელი მუშების ისტორიაში პირველად სწორედ რკინიგზის თანამშრომლებმა მოითხოვეს ხელფასების მომატება და სამუშაო პირობების გაუმჯობესება. ამ ბრძოლაში ბევრი სისხლი დაიღვარა, მაგრამ ჩემს თანატოლებს ეს მაინც იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდათ, რამდენადაც დაუძინებელ მტერთან შერკინება.

ჩვენს შემოქმედებაში ასახული ოპტიმიზმი ჩვენსავე რწმენას ეფუძნება. დამოუკიდებლობის დეკლარაციის შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანი იყო შესწორების შეტანა კონსტიტუციის მე-19 მუხლში, რომელიც ქალებს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას აძლევდა. 1920 წლის შემდეგ, ვალდებული ვიყავით, შეგვექმნა ეკონომიკური სამართალი. ეს ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა. დღეს, 1996 წელს, ჩემს გამოსვლებში გთავაზობთ შემდეგ საკონსტიტუციო ცვლილებებს:

28-ე: ყველა ახალშობილი უნდა იყოს სასურველი და მასზე სრულწლოვანებამდე ზრუნავდნენ.

29-ე: ყველა სრულწლოვანს, მოთხოვნილებისამებრ, უნდა ჰქონდეს საინტერესო სამსახური და ხელფასი-არანაკლებ სასიცოცხლო მინიმუმისა.

ამის ნაცვლად რა შევქმენით?

მომხმარებლები, მუშები, ინვესტორები. ქაღალდის იმხელა გროვა, რომ პასუხისმგებელ პირს შეუძლია, სრულიად აუღელვებლად ჩაიწყოს ჯიბეში მილიონები და ბილიონები ისე, რომ არავინ არაფერი გაიგოს. ასე რომ, ჩემი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობა იმედგაცრუებულია.

გჯერათ, რომ კილგორ ტრაუტს, რომელსაც ხანადუში მოხვედრამდე სპექტაკლიც კი არ ენახა, შეეძლო, არამხოლოდ ეწერა პიესები, არამედ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საავტორო უფლებები დაერეგისტრირებინა? ახლახანს, კონგრესის ბიბლიოთეკის საცავში ვიპოვნე "ოჯახის ბებერი დანაოჭებული მეგობარი".

ეს იყო დაბადების დღის საჩუქარი ჩემი კომპიუტერისგან, რომელიც სინკლერ ლუისის სახელობის ოთახში ძევს.

WOW!

გუშინ, 2010 წლის 11 ნოემბერს, ოთხმოცდაცხრა თუ ოთხმოცდათვრამეტი წლის გავხდი. ჩემი ცოლი, მონიკა პეპერ-ვონეგუტი, ამბობს, ოთხმოცდარვა წლის გახდიო. ეს ბედნიერი რიცხვია. არც ოთხმოცდათვრამეტია ურიგო.

და ის ნუმეროლოგიაში გადავარადა.

ჩემი საყვარელი შვილი, ლილი, 15 დეკემბერს ოცდარვა წლის გახდება. ვის ეგონა, რომ აქამდე ვიცოცხლებდი?!

"ოჯახის ბებერი დანაოჭებული მეგობარი" ქორწილის თემაზეა აგებული. პატარძალი, მირაბილე დიქტუ ქალწულია. სიძე, ფლაგრანტე დელიქტო-უგულო მექალთანე. სოტო ვოჩე_ სტუმარი მამაკაცი, განზე დგას და ჩუმად მიმართავს თავის მეზობელს:

_თავს არ ვიტანჯავ. უბრალოდ, ვეძებ ქალს, რომელსაც ვძულვარ და ვჩუქნი ჩემს სახლს.

მეორე მამაკაცი, რომელიც ხედავს, როგორ კოცნის სიძე პატარძალს, ამბობს:

_ყველა ქალი ფსიქოპატია, ყველა კაცი_დოყლაპია. ოჯახის ხანდაზმული მსახური კი პალმის ხის უკან მოსთქვამს.

მონიკას კვლავაც აწუხებს, ვინ დადო მოკიდებული სიგარეტი აკადემიის სურათების გალერეაში თავისუფალი ნების დადგომამდე.

ეს ცხრა წლის წინ იყო.

ვის ედარდება?

რა შეიცვლება, თუ გავიგებთ?

ალბათ, იგივე, თუ გავიგებთ, რა არის ის თეთრი ნივთიერება ჩიტის სკლინტში.

კილგორ ტრაუტი ისე სრესდა სიგარას, თითქოს ის იყო დამნაშავე, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია რომ ჩაირთო, ანდა იმაში, რაც ქუჩაში ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე აგვიხსნა მე და მონიკა პეპერს.

_იმ ბორბალს შეზეთავენ, რომელიც ჭრიალებს,_თქვა მან.

მაშინღა გააცნობიერა თავისი საქციელის აბსურდულობა, როდესაც კედლიდან ჩამოხსნა სურათი, რომლის ჩარჩოსაც სიგნალიზაცია დაეზიანებინა. შემდეგ ისევ დაკიდა და კარგად შეამოწმა.

_მომეჩვენა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, როგორ ეკიდა სურათი. ეს ჩემი წვლილი იყო ამ შეშლილი სამყაროს მოწესრიგებაში. ფრიად კმაყოფილი დავრჩი, ამის საშუალება რომ მომეცა,_თქვა მან.

შემდეგ ჰოლში დაბრუნდა. იმედოვნებდა, რომ შეიარაღებული მცველი გონზე მოვიდოდა. დადლი პრინცი გაუნძრევლად იდგა, თითქოს ეშინოდა, თუ გავინძრევი, ისევ ციხეში აღმოვჩნდებიო. ტრაუტმა მისი გამოფხიზლება სცადა:

_გაიღვიძე! გაიღვიძე! შენ თავისუფალი ნება მოგენიჭა! იმდენი რამ არის გასაკეთებელი!

იმის მაგიერ, რომ თავისუფალი ნებისათვის რეკლამირება გაეწია, რისიც თავად არ სჯეროდა, მოუწოდებდა:

_შენ ავად იყავი, ახლა კი კარგად ხარ! შენ ავად იყავი, ახლა კი კარგად ხარ!"

ამან გაჭრა. ტრაუტი ჩინებული სარეკლამო აგენტი იქნებოდა. იგივე შეიძლება, ითქვას მაცხოვარზე.

იესოც გვპირდებოდა უკეთეს ცხოვრებას სიკვდილის შემდეგ.

დადლი პრინცს ნელ-ნელა უბრუნდებოდა ცნობიერება. ტრაუტი ეხმარებოდა. ხან ენა გამოაყოფინა, ხან ხელები და ფეხები მოაკეცინა და ა.შ.

მას სკოლის დამთავრების ატესტატიც არ ჰქონდა. ახლა კი ჩინებული ექიმი ფრანკენშტეინი დამდგარიყო.

ბიძაჩემს, ალექს ვონეგუტს, რომელიც ამბობდა, რომ თუ ბედნიერები ვართ, ხმამაღლა უნდა ვიყვიროთო, ჰყავდა ცოლი, ბიცოლა რეი. ალექსს იმის გამო თვლიდნენ სულელად, რომ ჰარვარდში სწავლობდა.

ერთხელ დაავალეს, დაეწერა თავისუფალი თემა სახელწოდებით, "რატომ წავედი ინდიანაპოლისიდან ჰარვარდში". ალექსს სიამოვნებდა ამაზე ლაპარაკი და არც მალავდა, რომ მიზეზი მარტივი ასახსნელი იყო-მისი ძმა მასაჩუსეცის უნივერსიტეტში სწავლობდა.

მას არც შვილები ჰყავდა და არც იარაღი ჰქონდა. სამაგიეროდ, ჰქონდა უამრავი წიგნი. გამუდმებით კითხულობდა და მერე მე მაძლევდა. როდესაც რომელიმე წიგნიდან ნაწყვეტის წაკითხვა მოესურვებოდა, საბრალო დიდხანს ეძებდა_ხოლმე, რადგან ბიცოლა რეი ალექსის წიგნებს კარადაში ზომისა და ფერის მიხედვით აწყობდა.

მაგალითად, თავისი საყვარელი მწერლის, ჰ.ლ.მენკენის, ესსეების კოლექციაზე ასე იტყოდა: "მგონი ეს იყო ამა და ამ ზომის მწვანე წიგნი."

ერთხელ, მამიდა ირმამ მითხრა:

_ვონეგუტის გვარის ყველა მამაკაცს ეშინია ქალისა.

ძმებს მართლაც ეშინოდათ ირმასი. ჰარვარდის დამთავრება ალექსისთვის დარვინის ომში გამარჯვება არ ყოფილა. ის იქ მამამისმა, არქიტექტორმა ბერნარდ ვონეგუტმა, გაგზავნა, რათა გონზე მოსულიყო.

ასეც მოხდა.

მაგრამ ცოლის გავლენის ქვეშ მოექცა და სადაზღვევო აგენტი გახდა.

უზომოდ მადლობელი ვარ მისი. განსაკუთრებით, ჰარვარდისა, რადგან წიგნში ყოველთვის ვპოულობ რაიმე გამოსადეგს, ხანდახან-სასაცილოსაც. მგონია, რომ წიგნები, რომლებიც ძალიან გვიყვარდა მე და ბიძია ალექსს, მელნით აჭრელებული ქაღალდით სავსე, თავღია ყუთებია, მაგრამ სამწუხაროდ აღარავის სჭირდება. ჩემი შვილიშვილები უკვე ეკრანზე კითხულობენ.

ცოტაც მაცალეთ, გეთაყვა! სულ ერთი წუთით!

მას შემდეგ, რაც წიგნები დიდი წამებით გადამუშავებული მცენარეებისა და ცხოველთა ტყავისაგან შექმნეს, ისინი ყოველთვის მეტად პრაქტიკული იყო ინფორმაციის შენახვისათვის. მაგრამ რაღაც განგებით, არავინ ფიქრობდა, რომ ეს ნივთი აიძულებდა ადამიანს, ზიარებოდა სულიერ სრულყოფას.

გული მწყდება, რომ ჩემი შვილიშვილები ამას ვერასოდეს განიცდიან.

არის რაღაც პიკანტური იმაში, რომ XX საუკუნის უდიდესი პოეტები და დრამატურგები ერთხმად უარყოფენ თავიანთ დასავლურ წარმომავლობას. მხედველობაში მყავს, თ.ს.ელიოტი, რომელიც ბოლო წლებში ისე წერდა და ლაპარაკობდა, როგორც კენტებრიელი არქიეპისკოპოსი.

თენესი უილიამსი_ვაშინგტონის უნივერსიტეტის კურსდამთვრებული, რომელიც ისე წერდა და ლაპარაკობდა, როგორც ეშლი უილკერი "ქარწაღებულებიდან".

უილიამსი მისისიპიში დაიბადა და შვიდი წლის ასაკში სენ ლუისში გადავიდა საცხოვრებლად. ოცდაშვიდი წლისამ ტენესი დაირქვა. იქამდე მხოლოდ ტიმი იყო.

კოლ პორტერი პერუში დაიბადა. "ღამე და დღე", "ბეგუინეს დაწყება"-ცუდი ნამდვილად არ არის!

კილგორ ტრაუტი ბერმუდებზე დაიბადა, ჰოსპიტალში. მამამისი, რეიმონდი, მასალას ეძებდა სადოქტორო დისერტაციისათვის, რომლის თემა ბერმუდის უკანასკნელი არწივები იყო. ზღვის ამ უზარმაზარი, ლურჯი მტაცებელი ფრინველის საარსებო არეალი შემორჩენილი იყო "მკვდარი კაცის კლდეზე", ერთ ლავიან კუნძულზე, ცნობილი ბერმუდის სამკუთხედის ცენტრში. მათ გარდა იქ არავინ ბინადრობდა. აქვე ჩაისახა კილგორ ტრაუტი. მის მშობლებსაც სწორედ აქ ჰქონდათ თაფლობის თვე.

საინტერესოა, რომ ამ ფრინველების პოპულაციის შემცირების მიზეზი ადამიანი არ ყოფილა. დამნაშავე დედალი არწივები იყვნენ. ეს პროცესი ათასწლეულების განმავლობაში ვითარდებოდა. ისინი თავიანთ ბარტყებს კლდიდან ხტომას ასწავლიდნენ. როცა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რეიმონდ ტრაუტი, ბერმუდებზე ჩავიდა, პროცესი უფრო დაჩქარდა. ბარტყებს უკვე გამოჩეკვამდე ყრიდნენ კლდიდან. ბერმუდელი დედალი არწივების წყალობით ტრაუტის მამა ევოლუციის მექანიზმის სპეციალისტად მოგვევლინა.

უწოდეთ, რაც გენებოთ! თუნდაც, სახეობათა ბედის განმგებელი. ან ოკამის სამართებელი_ დარვინის ბუნებრივ შერჩევაში.

ჯერ არც იცოდნენ, რომ 1926 წლის ზაფხული ახალ შოტლანდიაში უნდა გაეტარებინათ. პატარა კილგორი ამ დროს ცხრა წლის იყო.

იქ ბინადრობდნენ დელჰაუსის კოდალები, რომლებმაც გადაწყვიტეს, ხეები აღარ ეჩიჩქნათ და საკვები ირმებსა და ცხენ-ირმებზე მოეპოვებინათ.

დელჰაუსის კოდალა ყველაზე გავრცელებული ჯიშია აღმოსავლეთ კანადაში, ნიუფაუნდლენდიდან მენიტობამდე და ჰადსონ ბეიდან დეტროიტამდე. გარეგნული მონაცემებით იდენტური კოდალები, მხოლოდ ამ არეალში აცხადებდნენ უარს საკუთარი ოფლით სარჩოს მოპოვებაზე. ეს 1916 წელს აღმოაჩინეს, მაშინ როცა მეორე ნახევარსფეროზე პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა. მათი გამოკვლევა დროებით შეწყდა.

მიზეზი ქარბორბალასავით უზარმაზარი და საშიში ბუზების ღრუბელი იყო.

ასე რომ, ტრაუტის ოჯახმა ზაფხული აქ გაატარა. დღე-ღამის განმავლობაში არ იხდიდნენ მეფუტკრის სამოსს, ეცვათ პერანგები დიდი სახელოებით, გრძელი შარვლები, ხელთათმანები, ბადიანი, უზარმაზარი ქუდები ეფარათ. სიცხის მიუხედავად, მათი უპირველესი საზრუნავი სხეულის დაფარვა იყო. ურიკით დაჰქონდათ საკმაოდ მძიმე ხელსაწყოები: გადასაღები კამერა და შტატივი.

დოქტორი ტრაუტი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა ტიპიური კოდალების გადაღებას, რომლებიც, გარეგნული მსგავსების მიუხედავად, უპირატესობას ირმის ზურგის კორტნას ანიჭებდნენ. ამისი გადაღება საკმარისი იყო იმის დასამტკიცებლად, რომ კოდალები არამხოლოდ ბიოლოგიურ, არამედ კულტურულ ევოლუციას განიცდიდნენ.

კადრების გადასინჯვისას აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი ფრინველი ალბერტ აინშტაინს ჰგავდა. მას უდავოდ დაედგინა, რომ ირმების ზურგიდან ამოღებული ბუზი არანაკლებ გემრიელი იყო, ვიდრე ხიდან გამოჩიჩქნილი ჭია.

დიდი სიურპრიზი ელოდა დოქტორ ტრაუტს.

გარდა იმისა, რომ მსუქან, მოუქნელ კოდალებს მტაცებლები ადვილად იჭერდნენ, მათ აფეთქებაც შეეძლოთ.

ხის სოკოს სპორები, რომლებიც კოდალების ბუდეების გვერდით იზრდებოდა, მათ კუჭ-ნაწლავს აავადებდა. სოკო კოდალების მიერ შესანსლულ ბუზებთან ქიმიურ რექციაში შედიოდა. მუცელში იწყებდა ზრდას და როცა ნახშირის გამოყოფა კრიტიკულ ზღვარს აღწევდა, ჩიტები ფეთქდებოდნენ.

ერთი წლის შემდეგ ერთი ასეთი კოდალა დეტროიტის ცენტრალურ პარკში აფეთქდა. ამან ქალაქში დიდი აურზაური გამოიწვია.

ტრაუტმა დაწერა მოთხრობა ერთ პლანეტაზე მომხდარი არეულობის შესახებ. პლანეტა დედამიწაზე ორჯერ დიდი იყო და ვარსკვლავ "პიუკის" გარშემო ბრუნავდა.

ეს მილიონი წლის წინ მოხდა.

მე და ბერნი, დროის რღვევამდე დიდი ხნის წინ, ნიუ-იორკში, ბუნების მეტყველების ისტორიის მუზეუმში შევედით. ვკითხე, დარვინის ევოლუციის თეორიისა თუ სჯეროდა… მიპასუხა:

_მჯერა, რადგან სხვა გზა არ გვაქვს.

ბერნის რეპლიკამ გამახსენა ანეგდოტი: "ტინგ-ლინგ, ნაბიჭვარო!"

ბიჭს ბინგოს თამაში უნდოდა. გააფრთხილეს, რომ მოატყუებდნენ. მან უპასუხა:

_სხვა გზა არ მაქვს!

ძალიან მეზარება ზუსტი ციტატის მოყვანა, მაგრამ ინგლისელმა ასტრონომმა, ფრედ ჰოილმა, დაახლოებით ასე თქვა: "დარვინის თეორია მაგონებს ქარხნის საწყობში ატეხილ ქარიშხალს, როცა ჰაერში მოფარფატე ნაწილებისგან თავისთავად აიწყობა ბოინგი 747."

ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ჟირაფები და მარტორქები სასაცილო ცხოველები არიან.

ასევე, ადამიანის ტვინი, სხეულის ზოგიერთი ნაწილი, დინგ-დონგი.

მათ სძულთ ცხოვრება და თავს იკატუნებენ, თითქოს, უყვართ.

"მესროლეთ, სანამ ბედნიერი ვარ!"

ორინტოლოგის შვილმა, კილგორ ტრაუტმა, ნოველაში, "ათი წელი ავტოპილოტზე", დაწერა: "ფიდუციარი მითიური ფრინველია. ის არ არსებობდა ბუნებაში, არ არსებობს და არც იარსებებს."

ტრაუტი ერთადერთი ადამიანია, ვინც ამბობს, რომ ფიდუციარი ჩიტია.

ეს არსებითი სახელი (fiducia -"რწმენა","ნდობა") სინმადვილეში Hommo sapiens –ს აღნიშნავს, რომელიც იხვეჭს ქონებას. ასეთი ქმნილებები გონებისმიერნი არ არიან. ამიტომ, 1996 წლის ზაფხულში მომხდარ დროის რღვევამდე, თუ მას შემდეგ, ჩვენს შორის ცხოვრობენ ურიცხვი კაპიტალის მფლობელი არსებები, მულტიმილიონერები და მულტიმილიარდელები, რომლებიც, იმის ნაცვლად, რომ შექმნას სამუშაო ადგილები, ასწავლონ ხალხს, აღზარდონ მომავალი თაობა, იზრუნონ მოხუცებზე, რათა ყველამ უსაფრთხოდ იგრძნოს თავი_უაზროდ ხარჯავენ ფულს.

ღვთის გულისათვის, დავეხმაროთ შეშინებულ ხალხს, რათა გადალახონ, დაძლიონ თავიანთი პრობლემები.

რატომ უნდა დაიხარჯოს ფული მსგავსი პრობლემების მოგვარებაზე? იმიტომ, რომ ფული ამისათვის არის შექმნილი.

საჭიროა თუ არა ქონების ხელახალი გადანაწილება? ის ყოველთვის ნაწილდება მცირერიცხოვან საზოგადოებაში, ოღონდ, უაზროდ და უმიზნოდ.

მე და ტრაუტი არასოდეს ვიყენებდით წერტილ-მძიმეს. ის არაფერს აღნიშნავს და ერთი უბადრუკი ჰერმაფროდიტი, ტრანსვისტიტია.

ნებისმიერი ოცნება_დაეხმარო ხალხს, ასეთივე ჰერმაფროდიტი და ტრანსვისტიტია. წარმოდგენაც არა აქვს, რა სახით, რა ფორმით გაუწევს დახმარებას, როგორ ამოუდგება მხარში.

დიდ ოჯახებში ეს შესაძლებელია. მათ ახასიათებთ ახლობლებისადმი თანაგრძნობა, რასაც ვერ ვიტყვით დიდ ერებზე. დიდ ოჯახში ფიდუციარი არ არის გამოგონილი ჩიტი, ისეთი, როგორც "ბედისწერა" ან "ფენიქსი."

მე ძალიან ბებერი ვარ და მახსოვს დრო, როდესაც სიტყვა " fuck" იმდენად სამარცხვინო იყო, რომ საკუთარი თავის პატივისმცემელი არცერთი გამომცემლობა არ დაბეჭდავდა.

კიდევ ერთი ძველი ხუმრობა: "არასოდეს თქვა სიტყვა " fuck", ბავშვის წინაშე."

ასეთივე სამარცხვინო სიტყვა იყო "კომუნიზმი", თუმცა, მისი წარმოთქმა დასაშვები იყო წესიერ საზოგადოებაში _ ერთი პირობით, მოსაუბრის კილოში ცინიზმი ან სიძულვილი უნდა გაჟღერებულიყო.

საერთოდაც, კომუნიზმი ჩამორჩენილი ერების საქმე იყო.

იმაზე მეტი დაცინვა რაღა იყო, რაც ჩვენს პატრიოტებს, გაუკეთა პოლ კრესნერმა ვიეტნამის ომის დროს. ბამპერებზე აწებებდა თეთრ-წითელ-ლურჯი შეფერილობის ქაღალდებს აწებებდა, წარწერით: ”fuck communism!”

ჩემი ნოველა, "სასაკლაო #5", სიტყვების შემცველობის გათვალისწინებით, "უკან დაბრუნებული დედის გინება იყო." ერთ ეპიზოდში, გერმანელთა სახლის მიღმა აღმოჩენილი ამერიკელი, რომელსაც ცხოვრებაში არ დაემყარებინა სქესობრივი კავშირი, მეორეს უყვიროდა: "თავი დახარე, შე დებილო, შენი დედაც!"

ამ სიტყვების დაბეჭდვის შემდეგ ოჯახის პატიოსან დიასახლისებს უბიწობის ქამრები უნდა ეტარებინათ, მაშინაც კი, როცა სახლს ალაგებდნენ.

რა თქმა უნდა, მესმის, რომ სიტყვა "კომუნიზმი" ხალხში ზიზღს აღძრავს. ეს სავსებით ჯანსაღი რეაქციაა იმის საპასუხოდ, რომ საბჭოელი დიქტატორები თავიანთ თავს კომუნისტებს უწოდებდნენ. ჰიტლერიც ხომ ქრისტიანად მიიჩნევდა თავს!

დიდი დეპრესიის შვილებს უსამართლობად მიგვაჩნდა ამ სიტყვის უწმაწურ სიტყვად გამოცხადება, რადგან კომუნისტები დამნაშავები იყვნენ. ეს სიტყვა ღირსეული პასუხი იყო უოლ_სტრიტის მაცხოვრებლების ცხოველურ ქმედებებზე.

და კიდევ, სიტყვა "სოციალისტი"_მეორე ბგერა აბრევიატურაში USSR. "სოციალიზმსაც" ისევე უნდა დავემშვიდობოთ, როგორც "კომუნიზმს". ასევე, იუჯინ დებსის სულს.

"სანამ ერთი კაცი მაინც ზის ციხეში, მე არ ვარ თავისუფალი."

დიდი დეპრესია ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა უოლ_სტრიტელებისათვის. თვალის დახამხამებაში გააკოტრეს უამრავი ფირმა და ბანკი. უოლ_სტრიტის კრახმა მილიონი ამერიკელი დატოვა უსახლკაროდ. მათ არც საჭმლის ყიდვა შეეძლოთ, არც ტანსაცმლის და არც ბინის საფასურის გადახდა.

და რა?

ეს, დაახლოებით, საუკუნის წინ იყო.

თუ გინდათ, თავისუფალ ნებად მოიაზრეთ.

დაივიწყეთ ყველაფერი!

ვინც მაშინ ცოცხალი იყო, უკვე დიდი ხნის მკვდარია. ბედნიერ სოციალიზმს გისურვებთ შემდეგ ცხოვრებაში!

მთავარი ის იყო, რაც 2001 წლის 13 თებერვალს მოხდა. მაშინ, როცა ტრაუტი ცდილობდა, დადლი პრინცი პოსტ-დროის რღვევის აპათიიდან გამოეთრია და რაიმე დაეცდევინებინა, თუნდაც უმნიშვნელო ფრაზა. მაგალითად, "ვფიცავ დროისადმი ჩემს ერთგულებას," რათა დადლი დაერწმუნებინა, რომ მისი ბედი მისსავე ხელში იყო.

თავიდან პრინცს ენა ებმოდა. მან არ დაიფიცა. მხოლოდ ნიშანს აძლევდა, რომ კარგად არ ესმოდა ტრაუტის სიტყვები.

დადლიმ ჰკითხა:

_რას ამბობდი? რა მაქვს?

_შენ ავად იყავი. ახლა კარგად ხარ და ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი._უპასუხა ტრაუტმა.

_რას მეუბნებოდი?-ეკითხებოდა დადლი.

_დაივიწყე. ამას მნიშვნელობა არა აქვს,_პასუხობდა ტრაუტი.

მინდა, ვიცოდე, რა მაქვს, არ ცხრებოდა პრინცი.

_მე ვთქვი, რომ შენ ისევ გაქვს თავისუფალი ნება,_უთხრა ტრაუტმა.

თავისუფალი ნება, თავისუფალი ნება, თავისუფალი ნება, იმეორებდა დადლი._ყოველთვის მინდოდა, გამეგო, რა მაქვს და ახლა ვიცი.

_ძალიან გთხოვ, დაივიწყე, რაც გითხარი. ახლა ხალხი უნდა გადავარჩინო,_განაცხადა ტრაუტმა.

_იცი, რას გეტყვი? შენ თუ იცი, რაში უნდა გამოიყენო თავისუფალი ნება?_ჰკითხა დადლიმ.

_არა,_უპასუხა ტრაუტმა.

_უკან გაიკეთე!_უთხრა პრინცმა.

51

როდესაც ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემიის მისაღებში მისაღებში დადლი პრინცს ასულიერებდა, ექიმ ფრანკენშტეინს შევადარე. მხედველობაში რა თქმა უნდა, ინგლისელი პოეტის, პერსი ბიში შელის, მეორე ცოლის, მერი უოლშტენკრაფტ_შელის ანტიგმირი მყავდა_რომანიდან, "ფრანკენშტეინი ანუ თანამედროვე პრომეთე". წიგნის გმირი, მეცნიერი ფრანკენშტეინი, რამდენიმე ადამიანის სხეულის ნაწილებს გადააკერებს ერთმანეთს და ერთ ადამიანს შექმნის.

ფრანკენშტეინმა მისი გაცოცხლება დენის მეშვეობით სცადა. წიგნში მიღებული შედეგი სრულიად ეწინააღმდეგება ამერიკის ციხეებში რეალურად არსებული ელექტროსკამების გამოყენებით მიღებულ შედეგს. საზოგადოების დიდ ნაწილს ფრანკენშტეინი ურჩხულად ესახება. ეს ასე არ არის. ფრანკენშტეინი მეცნიერია.

ბერძნული მითოლოგიის გმირმა, პრომეთემ, თიხისაგან გამოძერწა ადამიანი. შემდეგ ცეცხლი მოიპარა და მას მისცა, რათა გამთბარიყო, საჭმელი გაეკეთებინა და არა იმიტომ_როგორც ბევრი ფიქრობს_ რომ იაპონიის ქალაქებში პატარა ყვითელი ნაბიჭვრები აეფეთქებინა.

ჩემი ძვირფასი წიგნის მეორე თავში ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკლესიაში გამართული დაუვიწყარი ცერემონია აღვწერე, რომელიც ჰიროსიმის დაბობვის

ორმოცდამეათე წლისთავს ეძღვნებოდა. ისიც ვთქვი, რომ პატივს ვცემ ჩემი მეგობრის, უილიამ სტირონის, აზრს. მან განაცხადა, რომ ჰიროსიმის დაბომბვამ სიცოცხლე შეუნარჩუნა. როდესაც ბომბი ჩამოაგდეს, სტირონი ამერიკის საზღვაო ფლოტში მსახურობდა. ფლოტი იაპონიის კუნძულებზე შეჭრისათვის ემზადებოდა.

სამაგიეროდ, მე ვიცი სიტყვა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას შეუძლია, ბინძურად, სასტიკად და სადისტურად დახოცოს უიარაღო კაცები, ქალები და ბავშვები. დახოცოს ისე, უბრალოდ, სამხედრო საჭიროებისათვის. და ვთქვი ეს სიტყვა _ ნაგასაკი.

კარგი! რაც იყო, იყო! ძველი ამბავია! დიდი ხნის წინანდელი. თუ გნებავთ, თავისუფალ ნებად მიიღეთ!

აი, რა მინდა, ვთქვა:

ის, რამაც დადლი პრინცი მდგომარეობიდან გამოიყვანა, არის კილგორ ტრაუტის ერთგვარი კრედო:

"შენ ავად იყავი. ახლა კარაგად ხარ და ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი."

წლების შემდეგ, თავისუფალი ნების მოპოვების შემდეგაც, ამ სიტყვებს აქტუალობა არ დაუკარგავს. სახელმწიფო სკოლებში, "მამაო ჩვენოს" შემდეგ, მასწავლებლები ყოველდღე ამეორებინებდნენ მოწაფეებს კილგორ ტრაუტის კრედოს და როგორც ფიქრობენ, მათივე საკეთილდღეოდ.

ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ ერთ-ერთი ჯვრისწერის ცერემონიაზე მღვდელმა წერმოთქვა: "თქვენ იყავით ავად, ახლა კარგად ხართ და ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი. გაცხადებთ ცოლ-ქმრად."

ჩემმა ბიოკიმიკოსმა მეგობარმა, რომელიც კატის საკვების მწარმოებელ კომპანიაში მუშაობს, მიამბო, რომ კანადაში, ტორონტოს ერთ-ერთ სასტუმროში, მსახურს სთხოვა, დილით ადრე გაეღვიძებინა. მართლაც, დაურეკეს და უთხრეს: "თქვენ იყავით ავად, ახლა კარგად ხართ და ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი. დილის შვიდი საათია, ჰაერის ტემპერეატურაა ოცდათორმეტი გრადუსი ფარენგეიტით, ნული გრადუსი_ცელსიუსით".

2001 წლის 13 თებერვალს, შუადღიდან მოყოლებული ორი კვირის მანძილზე, კილგორ ტრაუტის კრედომ დაახლოებით ისე იმოქმედა დედამიწაზე სიცოცხლის გადარჩენაზე, როგორც თავის დროზე აინშტაინის გამოგონებამ _ განადგურებაზე.

ეს სიტყვები ტრაუტმა დადლი პრინცს შეასწავლა, მან კი, აკადემიის ორ შეიარაღებულ მცველს. შემდეგ ამერიკელი ინდიელების მუზეუმისკენ გაემართნენ და იქ მყოფი მაწანწალები გაანათლეს. "სამსხვერპლო საქონლის" მესამედმა ჩინებულად აითვისა ტრაუტის კრედო. მხოლოდ ამ იარაღით შეიარაღებული ეს უმუშევარი ვეტერანები, ქალაქში გაიფანტნენ და დაჭრილებს ეხმარებოდნენ, სიცივისაგან რომ არ დახოცილიყვნენ.

"ღმერთი წვრილმანებშია"_ ნათქვამია ბარტლეტის ცნობილი ციტატების მეთექვსმეტე გამოცემაში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი.

საინტერესოა, რა შეემთხვა ბატონი პეპერის დაჯავშნულ ლიმუზინს მას შემდეგ, რაც ის სახანძრო მანქანამ ზარის რეკვის დროს გასრისა.

აი, რა მოხდა.

ლიმუზინის მძღოლმა ზოლტანი ზუსტად აკადემიის კართან ჩასვა თავის ეტლში. თავად კი მდინარე ჰუძონიდან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით გააჩერა მანქანა.

ეს დროის რღვევამდე მოხდა.

არც დროის რღვევამდე და არც მას შემდეგ, ჯერი ლიმუზინს აკადემიის კართან არ აყენებდა, რათა ხალხს ეჭვი არ აეღო, რომ აკადემია კი არ გაკოტრდა, ჯერაც ჩინებულად გრძნობდა თავს. მანქანა რომ კართან გაეჩერებინა, იქნებ ზოლტანი გადარჩენილიყო კიდეც.

მაგრამ რის საფასურად?

ამ შემთხვევაში კარი არ დაიმტვრეოდა. კილგორ ტრაუტი ვერ შევიდოდა დადლი პრინცთან და ორ მცველთან, ვერ ჩაიცვამდა ჯარისკაცის ფორმას, რომელიც მეთაურის იერს ანიჭებდა, ვერ შეიარაღდებოდა ყუმბარმტყორცნით, რომელიც აკადემიაში ინახებოდა და ვერ გამორთავდა ჩართულ სიგნალიზაციას ავტომანქანებში, რომლებიც პატრონებმა მიატოვეს.

ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემიაში ყუმბარმტყორცნი უნახებოდა. იმ მეომრებს, რომლებმაც კოლუმბიის უნივერსიტეტი დაანგრიეს, ეროვნული გვარდიიდან მოპარული ტანკი ჰქონდათ და იმდენად თავზეხელაღებულები იყვნენ, რომ ათი დიდი კორპორაციისა არ იყოს, არც მათთან სურდათ ურთიერთობა. არადა, ამერიკის იმედად მოაქვთ თავი!

თავის წიგნში, „MTYOAP”, კილგორ ტარუტმა დაწერა: "ამერიკა რუბი გოლდბერგის გამოგონილი სამასი მილიონი მანქანის შეთანხმებული მუშაობაა."

"და აუცილებელია, იცხოვრო დიდ ოჯახში"_დაამატა, თუმცა, ამის გარეშეც ჩინებულად ცხოვრობდა, 1945 წლის 11 სექტემბრიდან, 2001 წლის მარტამდე, დემობილიზაციიდან იმ დღემდე, როდესაც მონიკა პეპერი, დადლი პრინცი და ჯერი რივერსი, დაჯავშნული ლიმუზინით და მასზე გამობმული სავსე ტრაილერით, ხანადუში ჩავიდნენ.

რუბი გოლდბერგი გაზეთის კარიკატურისტი იყო. ცხოვრობდა ქრისტესშობიდან ბოლოსწინა საუკუნეში. ხატავდა სრულიად აბსურდულ სურათებს და მანქანებს, რომლებსაც ტიპიური დეტალების ნაცვლად ზარები, სასტვენები, შინაური ცხოველები, ხანძრის ჩასაქრობი მექანიზმები, ნათურები, სარკეები, რადიოები, გრამაფონები და ათასგვარი იარაღი ჰქონდა.

დიახ, მე და ტრაუტი კვლავაც ვფიქრობთ, რომ ადამიანებს ისევე ესაჭიროებათ დიდი ოჯახები, როგორც ცილები, ნახშირწყლები, ცხიმები, ვიტამინები და სხვა აუცილებელი მინერალები.

ახლახანს სადღაც წავიკითხე, რომ ზრდასრულმა მამამ სცემა შვილს, რადგან ანალური სფინქტერის კუნთები არ უმუშავებდა და გამუდმებით ტიროდა. დიდი ოჯახი რომ ჰქონოდათ, მამასაც დაამშვიდებდნენ და შვილიც გადაურჩებოდა ცემას.

ეს მამა დიდ ოჯახში რომ გაზრდილიყო, ასეთი ცუდი მამა არ იქნებოდა, ან საერთოდ არ იქნებოდა მამა, რადგან მეტად ახალგაზრდა იყო საიმისოდ, რომ კარგი მამა ყოფილიყო. ანდა, საერთოდ არ გახდებოდა მამა, რადგან ძალიან სულელი ვინმე უნდა ყოფილიყო.

1970 წელს, დროის რღვევამდე დიდი ხნით ადრე, სამხრეთ ნიგერიაში ვიყავი. ბიაფრანის ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ბიაფრა აგებდა. მის მხარეზე იბოს ტომის ხალხი იბრძოდა. ერთ იბოს ტომელ ახალგაზრდა მამას შევხვდი.

მას ოთხასი ნათესავი ჰყავდა!

მართალია, ომს აგებდნენ, მაგრამ ცოლთან ერთად სამოგზაუროდ აპირებდა წასვლას, რათა ნათესავებისათვის ეჩვენებინათ თავიანთი პირმშო.

როდესაც ბიაფრანის ჯარს დახმარება დასჭირდა, იბოს ოჯახები შეიკრიბნენ, რომ გადაეწყვიტათ, ვინ წავიდოდა ომში.

მშვიდობიანობის ჟამს ოჯახები წყვეტდნენ, ვინ გაეშვათ კოლეჯში სასწავლებლად. ხშირად, კალიფორნიის, ოქსფორდის ან ჰარვარდის უნივერსიტეტებშიც. მოკლედ, დიდ გზაზე. ყველა ოჯახი კრებდა ფულს მგზავრობის, კვების, ჩაცმის ხარჯებისათვის, მათი დიდი ოჯახის წევრს ცუდად რომ არ ეგრძნო.

იბოს ტომელ მწერალს, ჩინუა აჩიბეს, შევხვდი. ნიუ-იორკში, "ბარდ კოლეჯში" ასწავლიდა. ვკითხე, როგორ არიან-მეთქი ამჟამად იბოს ტომელები. ნიგერიას მაშინ სამხედრო ძალა მართავდა და მოზღვავებული თავისუფალი ნების გამოვლინებისათვის რეგულარულად სჯიდა თამამ კრიტიკოსებს. ჩინუამ მითხრა, რომ იბოს ტომელები მთავრობაში არ შედიან. ისინი მცირე ბიზნესით არსებობენ და ხელისუფლებასთან სადავო არაფერი აქვთ.

ალბათ, ბევრი შეხვედრა ჰქონდათ თავიანთი მომავლის გადასაწყვეტად.

და დღესაც ისევე გზავნიან საუკეთესო ბავშვებს ძალიან შორს, საუკეთესო უნივერსიტეტებში სასწავლებლად.

როდესაც დიდი ოჯახისა და ოჯახური ღირებულებების შესახებ ვლაპარაკობ, მხედველობაში არ მყავს ქალი, კაცი, მათი შვილები, რომლებიც ახლახანს ჩამოვიდნენ ქალაქში, შეშინებული არიან და არ იციან, სად მოისაქმონ ამ გამაყრუებელ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ეკოლოგიურ და პოლიტიკურ ქაოსში.

ვგულისხმობ იმას, რაზეც გამუმებით ოცნებობენ ამერიკელები, ანუ რაც მქონდა ინდიანაპოლისში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, რაც ჰქონდათ ტორტონ უაილდერის "ჩვენი ქალაქის" პერსონაჟებს და აქვს იბოს ტომს.

45-ე თავში შემოგთავაზეთ შესწორება კონსტიტუციაში. აი, კიდევ ორი პარაგრაფი. ალბათ, ფიქრობთ, რომ ცხოვრებისაგან ბევრს მოვითხოვ. არაუმეტეს იმისა, რასაც "უფლებების ქვითარი" იძლევა.

30-ე შესწორება: ყველა ადამიანი, რომელიც კანონით დადგენილ ასაკს აღწევს, სრულწლოვანი ხდება სამოქალქო ცერემონიის გავლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში ქალი და მამაკაცი თავიანთ თავზე იღებენ გარკვეულ საზოგადოებრივ ვალდებულებებს.

31-ე შესწორება: ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გარდაცვალების შემდეგ აუცილებლად დაიტირებენ.

ამგვარი რამ მხოლოდ დიდ ოჯახში ხდება.

"ფრანკენშტეინის" კაცი-ურჩხული მაშინვე გაბოროტდება, როცა გააცნობიერებს, რომ ცხოვრება მართლაც საშინელია, თუ მახინჯი და არაპოპულარული ხარ.

შემდეგ ის ფრანკენშტეინს კლავს. ვიმეორებ, მეცნიერს და არა ურჩხულს. ჩემი უფროსი ძმა, ბერნი, არასოდეს ყოფილა ფრანკენშტეინის ტიპის მეცნიერი. ის არც პანდორა იყო, არც ახალი შხამი გაუვრცელებია და არც დაავადებები.

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, პანდორა პირველი ქალი იყო. მისი შექმნა პრომეთეზე გაბრაზებულმა ღმერთებმა ჩაიფიქრეს. პრომეთემ თიხისაგან გამოძერწა მამაკაცი და ცეცხლი მისცა. ქალის შექმნა კი ღმერთების შურისძიება იყო. მაშ ასე, პანდორას მისცეს ყუთი.

პრომეთე ეხვეწა და ემუდარა, რომ არ გაეხსნა ეს ავბედითი ყუთი. ქალმა გახსნა და მაშინ ყუთიდან ამოფრინდა ათასგვარი უბედურება, რაც ადამიანს დღემდე აწუხებს. უკანასკნელი იმედი იყო და ისიც გაფრინდა.

ეს დეპრესიული ამბავი არც მე მომიფიქრებია და არც კილგორ ტრაუტს. ეს ბერძნების მიერ შეთხზული მითია.

მინდა ვთქვა, რომ ფრანკენშტეინის კაცი-ურჩხული უბედური და ბოროტი იყო. ის ადამიანები კი, რომლებიც ტრაუტმა გააცოცხლა _ სულიერად ჯანსაღები და კეთილები, თუმცა, სილამაზის კონკურსში არც ერთს არ მიუღია პირველი პრიზი.

ამავე დროს, მათ შორის ერთი ულამაზესი ქალი იყო_ კლარა ზაინი. მონიკას აზრით, სწორედ კლარა ზაინი ეწეოდა სიგარას, რომელმაც სურათების გალერეაში ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის ჩართვა გამოიწვია.

კლარა ზაინმა კატეგორიულად უარყო ბრალდება _ სიგარა ცხოვრებაში არ მომიწევიაო. თქვა და მაშინვე გაქრა. წარმოდგენა არ მაქვს, სად წავიდა.

კლარა და მონიკა დაჭრილებს სახვევებს ადებდნენ ამერიკელი ინდიელების მუზეუმში, რომელიც ტრაუტმა ჰოსპიტლად გადააქცია. სწორედ აქ დაუსვა მონიკამ კლარას კითხვა სიგარის თაობაზე, რის შედეგადაც ის გაუჩინარდა.

ტრაუტმა, დადლი პრინცმა და დაცვის ორმა წვრმა მაწანწალები, რომლებიც ღამის გასათევად მუზეუმის შენობაში რჩებოდნენ, ნაღმსატყორცნით გაყარეს. მიზეზი ის იყო, რომ დაჭრილებსა და დასახიჩრებულებს დახმარებოდნენ. ერთგვარად, ავადმყოფების გადახარისხება მოხდა, მათი სნეულების ხარისხის მიხედვით, რაც ტრაუტს მეორე მსოფლიო ომის წლებში ჰქონდა ათვისებული.

"მხოლოდ ის მაწუხებს, რომ არ მაქვს მეორე სიცოცხლე, რომელსაც ჩემს ქვეყანას შევწირავდი,"_ თქვა ამერიკელმა პატრიოტმა ნათან ჰეილმა.

"ჭირსაც წაუღია მაწანწალები!" _ ამბობდა ამერიკელი პატრიოტი კილგორ ტრაუტი.

ჯერი რივერსს, პეპერის გრძელი ლიმუზინის მძღოლს, ნიუ-იორკის ქუჩებში გავლის პატივი ხვდა წილად. დამტვრეულ მანქანებს და ფეხით მოსიარულე მსხვერპლთ მხარს უქცევდა. მიაღწია ორმოცდამეთორმეტე ქუჩაზე მდებარე ტელეკომპანია "კოლუმბია ბროადქესტინგ სისტემამდე" და მიმართა მის პერსონალს: "თქვენ ავად იყავით, ახლა კარგად ხართ და ბევრი რამ არის გასაკეთებელი."

შემდეგ ეს ფრაზა გაიმეორა ტელეკამერის წინ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, კიდიდან კიდემდე.

ტელევიზიის თანამშრომელთა დასარწმუნებლად იცრუა, რომ ეს მიმართვა აუცილებელი იყო, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ვიღაც უცნობებმა ხალხი ნერვულ-პარალიტიკური აირით მოწამლეს.

კილგორ ტრაუტის კრედო, რომლის პირველი ვერსია, მისი ჩანაფიქრით, რიგითი ამერიკელების ყურამდე უნდა მისულიყო და შემდეგ მთელს ქვეყანას მოსდებოდა, ასე ჟღერდა: „CBS „- ის ექსკლუზივი. უცნობმა პირებმა განახორციელეს ნერვულ-პარალიტიკური დარტყმა. თქვენ ავად იყავით. ახლა კარგად ხართ და ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იზრუნეთ ბავშვებისა და მოხუცების უსაფრთხოებაზე!"

რა თქმა უნდა, უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული.

არა, ტრაუტის სროლა მანქანის სიგნალიზაციის დასადუმებლად შეცდომა არ ყოფილა.

გამოვიდა მთავრობის ბრძანება.

დროის კიდევ ერთი რღვევის ან თავისუფალი ნების გამოვლინების აღსაკვეთად ყველა რაიონში ყუმბარმტყორცნი უნდა დაედგათ. ამასთან, უფროსებს მისი მართვა უნდა შეესწავლათ.

შეცდომები?

ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომ სხვების ჩარევის გარეშე მანქანებს ზიანის მიყენება არ შეუძლიათ. ავტომობილების, ავტობუსებისა და სატვირთო მანქანების დასჯა არ შეიძლება. ჯერ ერთი, ისინი მანქანები არიან, ამასთან, დევნილებსა და მაშველებს ავტომობილები ძალიან სჭირდებათ.

“MTYOAP”- ში ტრაუტი გვირჩევს: "თუ თქვენ ტროტუართან გაჩერებული "დოჯის" ფარებს დაამსხვრევთ, ოდნავ შვებას იგრძნობთ, მაგრამ მალევე აღმოაჩენთ, რომ "დოჯის" მფლობელს უარესად დაუმძიმეთ ისედაც მძიმე ცხოვრება. მოექეცით სხვა ავტომობილებსაც ისევე, როგორც გსურთ, რომ თქვენ მოგექცნენ."

_სრული ცრურწმენაა, თითქოს მანქანას, ადამიანის ჩარევის გარეშე, ძალუძს, ზიანი მიაყენოს თავის თავს._აგრძელებს ტრაუტი._ თუ თავისუფალი ნება შეგიპყრობთ, ძალიან გთხოვთ, თუ გამოაძრობთ გასაღებს, ნუ ჩააგდებთ სანაგვეში ან წუმპეში! ჩააგდეთ საფოსტო ყუთში!"

ტრაუტის ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემია მორგად აქცია. რკინის კარი, ჩარჩოიანად, თავის ადგილზე დააბრუნეს და ამიტომ შენობაში სითბო შენარჩუნდა. სჯობდა, გვამები გარეთ შეენახათ, რადგან ტემპერეტურა იქ ნულს ქვემოთ იყო.

ტრაუტი, ჯანდაბაში, ას ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩაზე, არც კი დაფიქრებულა, რომ ავტოპილოტიანი თვითმფრინავები არსებობდა, მაგრამ თუ ფედერალური ავიაციის რომელიმე მუშაკი გონზე მოვიდოდა, მაშინვე გაერკვეოდა დედამიწაზე მომხდარ კატასტროფებში. ეკიპაჟის წევრები და მგზავრები დროის რღვევისას ისედაც უგონოდ იყვნენ და არც აინტერესებდათ, რა მოხდებოდა საწვავის გამოლევის შემთხვევაში.

ათი წუთის, ერთი ან სამი საათის შემდეგ, ან არ ვიცი, როდის, თუმცა _ უდავოდ, ის დაიღუპებოდა, რადგან საფრენი მანქანა, როგორც წესი, ჰაერზე მძიმეა.

2001 წლის 13 თებერვალი ზაირის ჯუნგლების პიგმეებსა და მბუტისათვის ჩვეულებრივი დღე იყო, მაგრამ ალბათობა იმისა, რომ დროის რღვევის შემდეგ თავზე რისხვად დაატყდებოდათ ყაჩაღივით მოულოდნელად მოვლენილი თვითმფრინავი, დიდი იყო.

როდესაც სამყარო ხელახლა შეიპყრო თავისუფალმა ნებამ, ყველაზე სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ვერტმფრენები, რომლებიც პირველად გენიალურმა ლეონარდო და ვინჩიმ(1452-1519) დახატა.

ვინ გითხრათ, რომ ეს ნივთები უნდა დაფრინავდნენ? მარხილით მგზავრობა უფრო უსაფრთხოა.

გამოცხადდა თუ არა, ნიუ-იორკში საგანგებო მდგომარეობა, მუზეუმი ყაზარმად გადაკეთდა და ტრაუტსაც ჩამოართვეს ყუმბარმტყორცნი. აკადემიის შენობა

ოფიცერთა კლუბად გადაიქცა. მონიკა პეპერი, დადლი პრინცი და ჯერი რივერსი ლიმუზინში ჩასხდნენ და ხანადუში გაემგზავრენ.

ექს-მაწანწალა ტრაუტმა მიიღო ძვირფასი ტანსაცმელი, ჩექმები, წინდები და ლუის ვიტონის პერანგის სახელოების საკინძები.

ოდესღაც ეს ყველაფერი ზოლტან პეპერის საკუთრება იყო. საზოგადოება უდავოდ იზიარებდა აზრს, რომ მონიკას ქმარი სიკვდილის შემდეგ უკეთ გრძნობდა თავს.

ანდა, რა უნდა ეკეთებინა მას ახლა?

ტრაუტმა ქუჩაში ზოლტანის დამტვრეული ეტლი იპოვნა. კედელზე მიაყუდა და დემონსტრაციულად განაცხადა, რომ ეს იყო ას ორმოცდამეთხუთმეტე ქუჩის ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუში. ორი ბორბალი გაერთიანებული ჰქონდა. ტრაუტის აზრით, ეს იყო რკინისა და ტყავის ექვსფუტიანი ნაკეთობა, რაც გადაადგილებას ცდილობდა. და ამ ნივთს "XXI საუკუნის სული" უწოდა.

55

ერთი წლის წინ, კენტუკიში, მწერალ დიკ ფრენსისს შევხვდი. ვიცოდი, რომ სტიპლჩეისის გამარჯვებული იყო და გამიკვირდა, საკმაოდ მორჩილი ტანის რომ აღმოჩნდა. მისივე თქმით, ცხენის სადავეების მართვა მასიურ კაცებს უადვილდებათ. ეს სიტყვები გონებაში ჩამრჩა, რადგან გარკვეულ კავშირში იყო ცხოვრებსთან. გამოდის, რომ, როდესაც ბარიერს ახტები, მაშინაც არ უნდა დაკარგო ღირსება და საკუთარი თავის პატივისცემა.

ჩემი ცამეტი წლის შვილი, ლილი, მშვენიერი გოგონა დადგა და იმით იქცევს თავს, რითიც სხვა ამერიკელი ახალგაზრდები_ არ კარგავს საკუთარი თავის პატივისცემას და ღირსებას.

სტიპლჩეისის სტილში ხტუნვა სარისკოა. ბატლერის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს, რომლებიც ლილიზე ოდნავ უფროსები არიან, განვუცხადე, რომ ჩემი შეხედულებით, "X თაობას" მიეკუთვნებიან.

X-ის შემდეგ ორი ასოღა დარჩა.

"A თაობას" ადამი და ევა ეკუთვნოდნენ.

ტანში გამცრა!

Espirit de l’escalier!

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ამ წუთებში, 1996 წელს, მომდევნო წინადადების წერისას, მომენტალურად გავაცნობიერე, რამდენად არაფრისმთქმელია ედემის ბაღი ახალი თაობისათვის. მათთვის სამყარო შიშისგან სიკვდილის პირას მისული ბრბოა და ადამიანის მიერ შექმნილი ვერაგი ხაფანგი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გისაფრდება. შემდეგ ვეტყვი, რომ ახალგაზრდა დიკ ფრენსისს მაგონებენ. ამაყი იერით სხედან

დამფრთხალ ცხოველზე და სტარტს ელიან. და კიდევ: თუ მოჯირითე ცხენი ბარიერის გადალახვას ვერ ახერხებს, საბალახოდ უშვებენ.

დღევანდელი ამერიკელების, ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის, ღირსებაც საბალახოდაა წასული. ეს არც ისე ცუდი ადგილია, კაცმა რომ თქვას.

დგას და იცოხნება.

თუ ღირსება ფეხს მოიტეხს, აღარ გამთელდება. "ასეთი ღირსების პატრონს თავში უნდა ესროლაო"_ მმოძღვრავენ დედაჩემი, ერნესტ ჰემინგუეი, ჩემი ყოფილი აგენტი_ ჯერსი კოზინსკი, ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან და ევა ბრაუნი.

რასაც ყველაზე მეტად ვაფასებ კილგორ ტრაუტში, ეს საკუთარი ღირსების გრძნობაა.

ისეც ხდება, რომ შეიძლება კაცმა კაცი შეიყვაროს ომის დროს და მშვიდობის ჟამს. მეც მიყვარს ჩემი თანამებრძოლი ბერნარდ ო’ჰარა.

ადამიანთა ნაწილს არ უმართლებს, რადგან სამნახევარი ფუნტის წონის, სისხლით გაჟღენთილი ღრუბლის ფორმის ძაღლის სალაფავი სრულიად უფუნქციოდ უდევს თავში.

ამიტომაც არ უმართლებთ.

ზოგი ცდილობს, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდის.

ეს არის და ეს!

ჩემი ბიძაშვილი, ჩემივე ასაკის, შორტრიჯის კოლეჯში სწავლობდა, მაგრამ ძალიან ცუდად. სამაგიეროდ, ძალიან თბილი ადამიანი იყო. ერთხელ ცუდი შეფასება მიიღო და როდესაც მამამისმა საყვედურით ჰკითხა:"ეს რას ნიშნავს?" მან უპასუხა:"არ იცი, მამა?! მე დებილი ვარ, დებილი!"

ჩიბუხი ჩაიდე და გააბოლე:"ჩემი დიდი ბაბუა, დედის მხრიდან, კარლ ბარუსი, ამერიკის ფიზიკის საზოგადოების

პრეზიდენტი იყო. ბრაუნის უნივერსიტეტის შენობა მის სახელს ატარებს. მე არასოდეს შევხვედრივარ, ბერნის კი უნახავს. 1996 წლამდე ორივენი უწყინარ ადამიანად ვთვლიდით და მიგვაჩნდა, რომ სწორედ მისნაირმა ადამიანებმა გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბუნებასთან კონფლიქტის საქმეში.

გასულ ზაფხულს ბერნის ვთხოვე, გაეხსენებინა ბაბუის თუნდაც უმნიშვნელო აღმოჩენა.

ბერნი დაფიქრდა, შემდეგ კი, სრულიად გაოგნებულმა აღიარა, რომ კაცს, ვისი გავლენითა და შთაგონებითაც გახდა ფიზიკოსი, კრინტიც არ დაუძრავს თავის აღმოჩენაზე.

ბერნი დაბნეული იყო, მაგრამ რაღას გააწყობდა?!

"მოვძებნი მის ნაშრომებს"_გადაწყვიტა ბოლოს.

ქუდები მაგრად დაიჭირეთ!

დაახლოებით 1900 წელს, ბიძია კარლი ექსპერიმენტს ატარებდა რენდგენის გამოსხივებასა და რადიოაქტივობაზე ბურუსით ავსებულ ბუშტისებრ კამერასა და ხის ცილინდრში. ბურუსს თავად კარლი ქმნიდა.

გამოკვლევის საფუძველზე გამოაქვეყნა სტატია, სადაც ამტკიცებდა, რომ იონიზაცია უმნიშვნელოდ მოქმედებდა კონდენსაციის პროცესზე. დაახლოებით ამ დროს, შოტლანდიელმა ფიზიკოსებმა, მეგობრებმა და თანამოქალაქეებმა, ჩარლს ტომპსონმა და რილს უილსონმა, მსგავსი ექსპერიმენტები ჩაატარეს მინისაგან გაკეთებულ ბუშტისებრ კამერაში. მათ გამოარკვიეს, რომ რენდგენის გამოსხივებისა და რადიოაქტივობის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი იონები საფუძვლიანად მოქმედებდნენ კონდენსაციაზე. აღარ დაახანეს და გამოქვეყნეს თავიანთი ნაშრომი, რომელშიც ბაბუაჩემი მიწასთან იყო გასწორებული.

როგორც გაირკვა, ეს უკანასკნელი ყურადღებას არ აქცევდა კამერის ხის კედლებიდან დალექილ ნადებს. ამავე დროს, ბურუსს წარღვნამდელი მეთოდით აკეთებდა და არც რენდგენის აპარატს იცავდა ელექტრული ველისაგან. უილსონმა მუშაობა გააგრძელა და მიაღწია იმას, რომ მის კარიერაში დამუხტული ნაწილაკების ტრაექტორია ხილვადი გახდა. მას შემდეგ ამ ხელსაწყოს ვილსონის კამერას უწოდებდნენ. ამ გამოგონებისათვის, 1927 წელს მან ნობელის პრემია მიიღო ფიზიკის დარგში.

ალბათ, ბაბუა კარლი კატის კურკლად გრძნობდა თავს.

დასასრულისათვის, როგორი იყო კილგორ ტრაუტი და ნედ-ლუდი, სავარაუდოდ გამოგონილი მუშა, რომელიც XIX საუკუნის მიწურულს, ინგლისში, სადღაც, ქალაქ ლეიჩესტერში, მანქანებს ამტვრევდა.

მე ისევ საბეჭდ მანქანაზე ვმუშაობ. ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ამ მეთოდით რამდენიმე თაობას ვუსწრებ წინ. უილიამ სტერნი და სტივენ კინგი, ტრაუტის მსგავსად, კალმით წერენ ყვითელ ქაღალდზე.

დაწერლს კალმითა და ფანქრით ვასწორებ.

მანჰეტენზე ჩავედი, საქმე მქონდა. დავურეკე ქალს, რომელიც უკვე რამდენი წელია, ჩემს ნაწერს ბეჭდავს. არც იმას აქვს კომპიუტერი.

ხომ არ მეყიდა?

ქალაქიდან სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. დაწვრილებით გამოვკითხე ამინდზე, ჩიტის საკენკზე, ციყვებზე და ათას წვრილმანზე.

ციყვებმა ახალი ილეთები გამოიგონეს საკვების "ხელყოფისთვის". ისინი უფრო მეტს დახტიან, ვიდრე აკრობატები.

მბეჭდავ ქალს წელი სტკიოდა და მოვიკითხე. მიპასუხა, არა მიშავს, კარგად ვარო.

შემდეგ ლილი მოიკითხა, როგორ არისო.

კარგად –მეთქი, _ მუვუგე.

ასაკით დაინტერესდა.

დეკემბერში თოთხმეტი წლის გახდება-მეთქი.

მან გაიმეორა:

_თოთხმეტი?! ღმერთო ჩემო, გუშინდელი დღესავით მახსოვს, ერთი ციცქნა რომ იყო!

ვუთხარი, რომ რამდენიმე ფურცელი მქონდა მისთვის.

კეთილიო,_ მითხრა.

ფოსტით გავუგზავნი.

ფაქსი არა აქვს.

ხომ არ მეყიდა?

კვლავ ჩემი სახლის მესამე სართულზე ვდგავარ. ლიფტი არ გვაქვს. აი, ჩავდივარ პირველ სართულზე ფურცლებით ხელში. იქვე ჩემი ცოლის სამუშაო ოთახია. თოთხმეტი წლის ასაკში ჩემი ცოლის საყვარელი გმირი იყო ნენსი დრიუ, გოგონა-დეტექტივი.

ნენსი მისთვის იგივეა, რაც ჩემთვის კილგორ ტრაუტი.

ჩემი ცოლი მეკითხება:

_სად მიდიხარ?

ვპასუხობ:

_კონვერტი უნდა ვიყიდო.

ის მეუბნება:

_ნუთუ ისეთი ღარიბი ხარ, რომ კონვერტს ცალობით ყიდულობ?

ჰგონია, გონივრულად მსჯელობს.

აქვს კომპიუტერი, ფაქსი, ავტომოპასუხე, ქსეროქსი. ასე რომ, მისი ჭკუით, არცერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას არ ტოვებს.

დიახ, მას აქვს მთელი ეს ნაგავი.

მე ვპასუხობ:

_მალე დავბრუნდები!

გარე სამყაროში გავდივარ. ქურდები, . . . ფოტოგრაფები,.. . ნარკომანები,. . . ხალხი ნამდვილი სამსახურით…. . . . შეიძლება, არც კი. . .

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელები და დიპლომატები. . . .

ჩვენი სახლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან მდებარეობს. ახლომახლო ათასი ჯურის ხალხი ირევა. სხდებიან ან გადმოდიან ირიბად გაჩერებულ ლიმუზინებში და ჩვენი არ იყოს, ღირსების შენარჩუნებას ცდილობენ. ნახევარი კვარტალი აუჩქარებლად გავიარე და მეორე ავენიუზე მივედი, საგაზეთო ჯიხურთან. ამდენი უცხოელის გარემოცვის გამო, შემეძლო, თავი ჰამფრი ბოგარტად ან პიტერ ლორად მეგრძნო კინოს ისტორიაში მესამე უდიდესი ფილმიდან, "კასაბლანკა".

ვისაც ოდნავ მაინც უმუშავებს თავი, ალბათ, იცის, რომ ყველაზე კარგი ფილმების ჩამონათვალში პირველი ადგილი ეკუთვნის "ჩემს ძაღლურ ცხოვრებას", მეორე კი სურათს, "ყველაფერი ევას შესახებ."

რაც უნდა იყოს, ერთი შანსი მაინც მაქვს, რომ კეტრინ ჰეპბერნს, ნამდვილ კინოვარსკვლავს, ნახავ.

ჩვენგან ერთი კვარტლის მოშორებით ცხოვრობს. ყოველი შეხვედრისას ვესალმები და ჩემს სახელს ვეუბნები. ის კი მპასუხობს: "ო, დიახ, თქვენ ხომ ჩემი ძმის მეგობარი ხართ?"

მის ძმას არ ვიცნობ.

დღესაც არ გამიმართლა. ჯანდაბას!

მე ფილოსოფოსი ვარ.

აბა, ვინ უნდა ვიყო?!

გაზეთების ჯიხურთან მივდივარ. ღარიბები, რომელთაც მთელი ცხოვრება გალიეს, ლატარიის ბილეთების რიგში დგანან. თავს იკატუნებენ, ვითომ ვერ მცნობენ.

მე ხომ ცნობილი პირი ვარ!

ჯიხურის მეპატრონე ინდოელია. ნამდვილი ინდოელი!

ქალს თვალებს შორის ხალი აქვს.

ვის უნდა კონვერტი?!

უნდა იცოდეთ, რომ კოცნა კოცნაა, ამოსუნთქვა ამოსუნთქვა. ისევე კარგად ვიცნობ ჯიხურს, როგორც მისი პატრონები. ტყუილად არ მისწავლია ანთროპოლოგია. პატრონის გარეშე ვპოულობ კონვერტს 3X12 და მახსენდება ერთი ანეგდოტი ბეისბოლისტთა გუნდზე.

"ჩიკაგოს ძაღლები" ფილიპინებზე აპირებენ გადასვლას, სადაც მათ "მანილის ფოლდერებს" შეარქმევენ.

"ბოსტონის წითელ წინდებზეც" ვიცი კარგი ანეგდოტი.

რიგში ვდგები და მყიდველებს ვესაუბრები. ზოგიერთი ლატარიის ბილეთებზე არ არის მოსული. ხალხი ლატარიის ბილეთებზე ფიქრმა და იმედოვნებამ დაღალა. მათი გარეგნობით თუ ვიმსჯელებთ, პოსტ-დროის რღვევის აპათიით უნდა იყვნენ შეპყრობილნი.

თუ გინდა, სატვირთო მანქანით გასრისე! ვერ იგრძნობენ!

გაზეთების ჯიხურიდან ერთი კვარტლით სამხრეთით მივდივარ, საფოსტო სადგურისაკენ. იდუმალ ტრფიალებას განვიცდი ქალისადმი, რომელიც მაგიდის მიღმა ზის. ფურცელი კონვერტში ჩავდე, მისამართი დავაწერე და რიგში ჩავდექი. ახლა მარკა მჭირდება. ქალმა, რომელიც მიყვარს, ჩემს გრძნობებზე არაფერი უწყის. რა შეგიძლიათ თქვათ პოკერის მოთამაშეზე, მისი გამომეტყველების მიხედვით? როდესაც ქალის მზერა ჩემს თვალებს წააწყდება, ისე მიყურებს, როგორც ზოლიან ნესვს. მაღალი მაგიდის უკან ზის და კარგად ვერ ვხედავ. მხოლოდ თავი უჩანს, კისრის ზემოთ. ფორმა აცვია. ეს საკამრისია! კისრის ზემოთაც მადლიერების დღის სუფრას ჰგავს. ინდაურს არ ვგულისხმობ, ტკბილი კარტოფილითა და მჟავე სოუსით. უბრალოდ, ამგვარ გრძნობას აღძრავს ჩემში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გრძნობა უცვლელი იქნებოდა მაშინაც, თუკი საყურეებისა და მაკიაჟის გარეშე ვნახავდი.

ყურებსა და ყელზე ყოველდღე სხვადასხვა სამკაული ჰკიდია. რას აღარ უშვრება თმასა და სახეს. ხან აწეული აქვს, ხან ჩამოშვებული, ხან დახვეული, ხან გასწორებული.

ერთ დღეს დრაკულას ქალიშვილისაგან ვყიდულობ მარკას, მეორე დღეს _ ქალწული მარიამისგან. დღეს ინგრიდ ბერგმანია, ფილმიდან "სტრამბოლი", მაგრამ კვლავიდებურად შორს არის ჩემგან.

ჩემს წინ მოხუცები დგანან და ვერა და ვერ ახერხებენ ხურდის დათვლას. ასევე,ემიგრანტები, რომლებიც, ღმერთმა უწყის, რა ენაზე ლაპარაკობენ, თუმცა, ჯიუტად სჯერათ, რომ ეს ინგლისურია.

ერთხელ ფოსტაში გამქურდეს კიდეც.

ვინ-არ ვიცი.

რიგში დგომა ერთგვარად გამომადგა. ბევრი რამ შევიტყვე უტვინო ხელმძღვანელებზე, სხვადასხვა ტიპის სამსახურებზე, დაავადებებზე.

იმედია, მე არც ერთი არ მჭირს.

გგონიათ, კომპიუტერით?

არა, რიგში დგომით და სხვების საუბრების მოსმენით.

როგორც იქნა, ჩემი კონვერტი აწონეს. შტამპი დაადო იმ ერთადერთმა ქალმა, რომელიც გამაბედნიერებდა. მის გვერდით კი ნამდვილად ბედს ვეწეოდი.

შინ ვბრუნდები.

დრო მოვკალი.

დამიჯერეთ, ამქვეყნად იმიტომ ვარსებობთ, რომ გარემო დავაბინძუროთ!

არავის მისცეთ უფლება, საწინააღმდეგო აზრი მოგვახვიოთ თავზე!

58

ავტოპილოტზე ყოფნის მთელი სამოცდაცამეტი წლის განმავლობაში, და მას შემდეგაც, შემოქმედებით წერას ვასწავლიდი. ეს პროცესი 1965 წელს დაიწყო, ჯერ აიოვას უნივერსიტეტში, შემდეგ ჰარვარდში და ნიუ-იორკის კოლეჯში ვუხსნიდი სტუდენტებს, როგორ უნდა მოპყრობოდნენ მელანსა და ქაღალდს.

წერის დროს უნდა წარმოიდგინონ, რომ პაემანზე არიან, ან მოგზაურობენ. დარწმუნებული ვარ, რომ საჭიროებისამებრ ისარგებლებდნენ ოცდაექვსი ფონეტიკური ნიშნით, ათი ციფრითა და რვა სასვენი ნიშნით, რასაც აქამდე კიდევაც აკეთებდნენ.

1996 წელს, როდესაც განათლებული და გაუნათლებელი ადამიანების გონება მთლიანად კინომ და ტელევიზიამ მოიცვა, მიჩნდება კითხვა: რა საჭიროა სწავლების ჩემი მეთოდი?

საბოლოო ჯამში, ღებულობ განსკუთრებულ უნარს-აცდუნო, თანაც ისე, რომ დაზოგო ფული. ანუ შექმნა მომავალი დონ_ჟუანები და კლეოპატრები. რა საჭიროა, ფული გადაუხადო მსახიობს იმაში, რომ შენი იდეა განახორციელოს. ამასთან, არც რეჟისორებს და მანიაკალურ-დეპრესიულ ექსპერტებს შეუძლიათ იმისი დადგენა, ხალხს რა სჭირდება. რატომ ვბრაზობ? იმიტომ, რომ ძალიან ბევრ ადამიანს სურს, გაიგონოს სიტყვები:"მეც ისევე ვგრძნობ და განვიცდი, როგორც შენ, მაგრამ ადამიანების უმეტესობას ეს ფეხზე ჰკიდია.

და მაინც,შენ მარტო მაინც არ ხარ!"

ჩემი დისწული, სტივ ადამსი რამდენიმე წლის წინ, ლოს_ანჯელესში ტელე-კომედიებს წერდა. მისი უფროსი ძმა, ჯიმი, მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცი იყო. ამჟამად კი მედ-ძმად მუშაობს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. უმცროსი, კურტი, კონტინენტალის ავიახაზის სტაჟიანი მფრინავია. სამხრეებს ოქროს ვარსკვლავები უმშვენებს, სახელოებს _ ოქროს საკინძები. სტივის უმცროსი ძმა ფრენაზე ოცნებობდა და ოცნებაც აუხდა.

სტივს გაუჭირდა იმის გაცნობიერება, რომ უნდა დაწეროს ტელევიზიისათვის და თანაც რაიმე სრულიად ახალი. თუ ანეგდოტი ისეთ ფაქტს ეხებოდა, რაც ტელევიზიაში ერთი თვის განმავლობაში არ მომხდარიყო, სასაცილოდ აღარ

ეჩვენებოდათ. იმის მიუხედავად, ისმოდა თუ არა სიცილი კადრს მიღმა, მაინც ვერ მიხვდებოდი, შენ რაზე უნდა გაგეცინა.

და იცით, რატომ?

ტელევიზია გამწმენდია.

თუ რეგულარულად გიწმენდენ ტვინს, გაცლიან მოგონებებს. ალბათ, ძალიან ადვილია იმის გადალახვა, რაც არ ყოფილა. ჩემმა პირველმა ცოლმა, ჯეინმა, საწევრო ბილეთი მიიღო სვარტმორის კოლეჯში. ისტორიის ფაკულტეტის წინააღმდეგობის მიუხედავად, დაწერა ნაშრომი და გავიდა გამოცდაზე. ნაშრომში ნათქვამია, რომ ისტორია სისულელეა და უმჯობესია, სხვა რამ ისწავლო _ მაგალითად, მუსიკა.

მე დავეთანხმე. დარწმუნებული ვარ, რომ კილგორ ტრაუტიც დაეთანხმებოდა. თუმცა, ისტორია მაინც არ ამოგვიშლია მისი ტვინიდან.

წერა რომ დავიწყე, შემეძლო, გამეხსენებინა ამბები და ხალხი_წარსულიდან. დარწმუნებული ვიყავი, რომ მკითხველთა ერთ ნაწილზე გარკვეულ გავლენას მოვახდენდი_ცუდს ან კარგს_რა მნიშვნელობა აქვს?!

ამერიკის უდიდესი პრეზიდენტი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ჰყავდა, აბრაამ ლინკოლნი, ოცდაექვსი წლის მსახიობმა, ჯონ უილკეს ბუტმა მოკლა.

ეს მკვლელობა "დროისრღვევა-1"-ის მთავარი თემა იყო.

თქვენ, ვინც სამოც წელს გადააბიჯეთ და ისტორიის ფაკულტეტზე არ გისწავლიათ, გეუბნებათ რამეს ეს მკვლელობა?!

ელიას პემბროკი, როდ აილენდის გემთსაშენის არქიტექტორი, სამოქალაქო ომის წლებში აბარაამ ლინკოლნის ასისენტი საზღვაოსნო საქმეებში, "დროის რღვევა-1"-ის გამოგონილი პერსონაჟი იყო. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჯავშნოსნის მონიტორის შექმნაში, მაგრამ დიდი ყურადღებით არ ანებივრებდა ცოლს, ჯულის. ამიტომაც მას ახალგაზრდა ყმაწვილი, ჯონ უილკს ბუტი შეუყვარდა. ბარათი გაუგზავნა და შეხვედრა დაუთქვა 1863 წლის 14 აპრილს, ბუტის ცნობილ გასროლამდე ორი წლით ადრე. ვაშინგტონიდან ნიუ_იორკში გამცილებლის თანხლებით გაემგზავრა. ვითომ, ადმირალის ლოთ ცოლს გაჰყვა საყიდლებზე. თან მოიმიზეზა, აქაოდა, დედაქალაქში თავს ცუდად ვგრძნობო.

იმ სასტუმროში დაბინავდნენ, სადაც ბუტი ცხოვრობდა. ამ დროს ბუტი შექსპირის "იულიუს კეისარში" მარკუს ანტონიუსის როლს თამაშობდა. ბუტის გმირის სიტყვები მისთვის წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: "ნუთუ ცოდვა, რომელსაც ადამიანი ჩადის, ჩადენის შემდეგაც ცოცხლობს?!"

სპექტაკლის დასრულების შემდეგ ჯულია და მისი მეგობარი კულისებს მიღმა გაემართნენ, ჯონ უილკსისა და მისი ძმებისათვის რომ მიელოცათ. ჯულიუსი ბრუტუსს განასახიერებდა, ედვინი-კასიუსს.

სამი ამერიკელი ყმაწვილი, რომელთა შორის ჯონ უილკსი უმცროსი იყო, თავიანთ ბრიტანელ მამილოსთან ერთად, ინგლისურენოვანი სცენის უდიდესი დინასტიის ტრაგიკოსები იყვნენ.

ჯონ უილკსი გალანტურად ეამბორა ჯულიას ხელზე და გადააწოდა პაკეტი ქლორის ჰიდრადის კრისტალებით, რათა მეგობარი ქალისათვის ჭიქაში ჩაეყარა.

ბუტი არწმუნებდა, რომ თუ ჯულია მის ნომერში მივიდოდა, ცხოვრება სასწაულად გადაექცეოდა. ყმაწვილი ისეთი ამბორით დაჯილდოებდა, რომელიც არასოდეს დაავიწყდებოდა.

მადამ ბოვარი!

ჯულია ვერც წარმოიდგენდა, რომ ბუტი შამპანურში ისეთსავე კრისტალებს ჩაუყრიდა.

ტინგ_ლინგ!

ჯულია დაორსულდა!

პემბროკთან შვილი არ ჰყავდა. როგორც ჩანს, მისი ქმრის დინგ_დონგი წესრიგში ვერ იყო.

ამ დროს ჯულია ოცდათერთმეტი წლის გახლდათ, მსახიობი_ოცდაოთხის.

დაუჯერებელია?

ქმარი აღფრთოვანდა.

ის ორსულად არის?!

გამოდის, რომ ელიას პემბროკის, პრეზიდენტის საზღვაო ასისტენტის დინგ_დონგის საქმე მთლად უიმედო არ არის.

ჯულია დაბრუნდა როდ_აიდლენდზე, ქალაქში, რომელიც მისი ქმრის სახელოვანი წინაპრის სახელს ატარებდა.

ბავშვიც იქ გააჩინა.

ეშინოდა, ვაითუ ბავშვს ჯონ უილკსის, ეშმაკის მსგავსი ყურები გამოჰყოლოდა.

მაგრამ ბავშვს ჩვეულებრივი ყურები ჰქონდა.

ბიჭი დაიბადა. აბრაამ ლინკოლნ პემბროკი დაარქვეს.

იმ დღიდან ორი წლის შემდეგ, როდესაც ბუტმა მძინარე ჯულის საშო გაანაყოფიერა, ვერავინ იფიქრებდა, რომ ამერიკის ისტორიაში არსებული ამ ყველაზე ბინძური მანიაკის შთამომავალი ასეთ სახელს ატარებდა. ორი წლის შემდეგ ბუტმა აბრაამ ლინკოლნს "ძაღლის საუზმეში" ტყვია ესროლა.

2001 წელს, ხანადუში, კილგორ ტრაუტს ვკითხე, რას ფიქრობდა ჯონ უილკსი ბუტის შესახებ. მისი თქმით, 1865 წლის 14 აპრილს, ბუტის გამოსვლა ვაშინგტონის თეატრში, როდესაც ლინკოლნს ესროლა, შემდეგ გადახტა და ფეხი მოიტეხა, იმის ნათელი დადსტურებაა, თუ რა ელის მსახიობს, რომელიც თავად წერს სცენარს.

ჯულიას თავისი საიდუმლო არავისათვის გაუმხელია. ნანობდა? რა თქმა უნდა ნანობდა, მაგრამ არა თავის ვნებას.

1882 წელს, როდესაც ორმოცდაათი წელი შეუსრულდა, მოყვარულთა თეატრი დააარსა, სახელწოდებით "პემბროკის ნიღბისა და პარიკის კლუბი". არავისათვის უთქვამს, ვის უძღვნიდა.

აბრაამ ლინკოლნ პემბროკმა არ იცოდა, ვინ იყო მისი ბიოლოგიური მამა. 1889 წელს დააარსა ქარხანა "ინდიან ჰედ მაილსი", რომელიც 1947 წლამდე ახალი ინგლისის უდიდესი საფეიქრო საწარმოდ ითვლებოდა. მოგვიანებით, მუშათა გამოსვლების გამო, ჩრდილოეთ კაროლინაში გადაიტანა. აბრაამ ლინკოლნ პემბროკ მეოთხემ საერთაშორისო კონცერნს მიჰყიდა, რომელმაც ინდონეზიაში გადაიტანა, თვითონ კი ლოთობაში ამოხდა სული. საინტერესოა, რომ არც ერთი არ გამხდარა მკვლელი ან მსახიობი და არც წვეტიანი ყურები გამოჰყოლიათ. სანამ ჩრდილოეთ კაროლინაში გადავიდოდა, აბრაამ ლინკოლნ მესამემ ერთი გასათხოვარი აფროამერიკელი ქალი, როზმარი მუტი დააორსულა.

მისი გაჩუმება საკმაოდ ძვირი დაუჯდა.

მამა უკვე გადასახლებული იყო, როდესაც მისი ვაჟი, ფრენკ სმიტი, დაიბადა.

ახლა მაგრად დაჯექით!

ფრენკ სმიტს წვეტიანი ყურები ჰქონდათ. მოყვარულთა თეატრის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი იყო.

2001 წლის ზაფხულს პემბროკის ნიღბისა და პარიკის თეატრში, არაჩვეულებრივად შეასრულა მთავარი როლი სპექტაკლში "ეიბ ლინკოლნი ილინოისში". სცენარი რობერტ შერვუდს ეკუვნოდა, ხმის ეფექტები კი კილგორ ტრაუტს.

სპექტაკლის შემდეგ ხანადუს სანაპიროზე აღმოჩნდა. ისე, როგორც ფ. ფელინის "რვა ნახევარში", იქ ნამდვილად არ ყოფილა მთელი სამყარო, მაგრამ ორეული ყველას ჰყავდა. მონიკა პეპერი ჩემს დას, ელის, ჰგავდა. ადგილობრივი მეპურე, რომელიც ასეთ პიკნიკებს აწყობდა_ჩემს გამომცემელს, სეიმურ ლოურენს(1926-1993). მან მკითხველს კვლავ შეახსენა ჩემი არსებობა, როცა "სასაკლაო #5" გამოსცა.

კილგორ ტრაუტი მამაჩემს ჰგავდა.

ხმის ეფექტი პიესის მხოლოდ ბოლო აქტში უნდა გამოეყენებინათ.

ტრაუტი პიესებს "ხელოვნურ დროის რღვევას" უწოდებდა.

წყალგაყვანილობის ხელოსანმა, რომელიც ძალიან ჰგავდა ჩემს ძმას, საყვირი ჰაერით სავსე ბალონს მიამაგრა. იმ დღეს ტრაუტი მხიარულიც იყო და დამწუხრებულიც. რა თქმა უნდა, კლუბის ბევრ წევრს სურდა "ეიბ ლინკოლნ ილინოისში" თამაში. ამ ღილაკსაც სიამოვნებით დააჭერდნენ ხელს, მაგრამ როცა ნახეს, როგორ გაჰკიოდა. . .

წყალგაყვანილობის ხელოსანმა რეპეტიციის დროს ხელი დააჭირა და . . . .

კლუბის წევრებს ყველაზე მეტად სურდათ, რომ ტრაუტს თავი ამ ოჯახის მნიშვნელოვან წევრად ეგრძნო.

არამხოლოდ კლუბის წევრები, ხანადუს მოსამსახურეებიც და ანონიმური ლოთების კლუბის წევრებიც მეტად კმაყოფილები იყვნენ ტრაუტის გამამხნევებელი მოწოდებით, რომელმაც ცუდი დრო მიაძინა: "შენ ავად იყავი, ახლა კარგად ხარ. ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი."

მთელი მსოფლიო კმაყოფილი იყო.

ტრაუტი ძალიან ნერვიულობდა, ვაითუ, ეს მომენტი გამომრჩეს, როცა უნდა ჩავბეროო. მის უკან წყალგაყვანილობის თანამშრომელი იდგა და ტრაუტის თონთლო მკლავს ებღაუჭებოდა. უნდოდა, ნაზად შეხებოდა და შოუ-ბიზნესში მისი დებიუტის საამური მომენტები შეეხსენებინა. უკანასკნელი სცენა ილინოისის შტატის ერთ-ერთი ქალაქის, სფრინგფილდის, რკინიგზის ვაგზალს ასახავდა. 1861 წლის 11 თებერვალი იყო. აბრაამ ლინკოლნი, რომლის როლსაც ჯონ უილკს ბუტის ნახევრად აფროამერიკელი შვილიშვილი ასრულებდა, ამერიკის პრეზიდენტად იქნა არჩეული. ამერიკის ავბედითი დღეები დგებოდა. ლინკოლნი თავისი მშობლიური ქალაქიდან ვაშინგტონში მიემგზავრებოდა.

ღმერთმა გიშველოთ! მიმართა ხალხს.

სინამდვილეში, ლინკოლნმა თქვა:"არცერთი თქვენგანი არ ყოფილა ჩემს ადგილას. შესაბამისად, არც შეუძლია, იგრძნოს, რა სამწუხაროა თქვენთან განშორება. მე პასუხისმგებელი ვარ ამ ქალაქისა და თქვენს წინაშე. აქ გავატარე ჩემი ცხოვრება ახალგაზრდობიდან სიბერემდე. აქ დაიბადნენ ჩემი შვილები. ერთი მათგანი აქ არის დაკრძალული. მივემგზავრები და არ ვიცი, როდის დავბრუნდები. ან თუ დავბრუნდები, საერთოდ. პრეზიდენტად ამირჩიეს მაშინ, როდესაც ქვეყნის თერთმეტი შტატი ლამობს დამოუკიდებლობის მოპოვებას, როცა ომის საშიშროების წინაშე ვდგავართ. უდიდეს პასუხისმგებლობას ვიღებ საკუთარ თავზე. მინდა, ვიცოდე, რა პრინციპი ან იდეა აკავშირებდა ამდენ შტატს, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს პრინციპი არამხოლოდ ცალკეული კოლონიის სწრაფვაა-გამოეყოს სამშობლოს, არამედ დამოუკიდებლობის დეკლარაციის სული, რაც ამ

ქვეყნის მოსახლეობას თავისუფლებას, მსოფლიოს კი, იმედს, აძლევს. ეს იყო საუკუნეთა წიაღიდან ჩვენს დრომდე მიღწეული ოცნების ასრულება. ხალხი ოცნებობდა, სიზმარში ხედავდა, რომ ერთ დღეს მოიძრობდნენ ჯაჭვებს, გათავისუფლდებოდნენ და ძმები გახდებოდნენ.

ჩვენ მივიღეთ დემოკრატია, მაგრამ ახლა უნდა გადავარჩინოთ. ალბათ, დადგა საშინელი დღე სიზმრის დასრულებისა. უნდა გამოვფხიზლდეთ.

ეს თუ ასეა, ვშიშობ, რომ ვეღარასოდეს ვნახავ ამ სიზმარს. მეეჭვება, რომ ოდესმე კვლავ გაჩნდება ის შანსი, რომელიც ჩვენ გვქონდა თავისუფლების დეკლარაციის მიღების ჟამს. შესაძლოა, უნდა ვაღიაროთ, რომ თავისუფლების ჩვენეული იდეალები მოძველდა და დასნეულდა. ერთ აღმოსავლელ მონარქს ბრძენისათვის უბრძანებია, მოეგონებინა ისეთი სიტყვები, რომელიც ყველა დროისათვის ჭეშმარიტი იქნებოდა, და ეს სიტყვები იყო:"ესეც გაივლის!"

ყველაზე მძიმე წუთებში ეს სიტყვები ტკივილის გადატანაში გვეხმარება. მაგრამ მოდით, ვირწმუნოთ, რომ ეს სიცრუეა!

ვიცხოვროთ და დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია თითოეული პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს აყვავება და გაბედნიერება. ჩვენ წინ მივიწევთ და ასეც იქნება იქამდე, სანამ დედამიწა ბრუნავს. თქვენს თავს ღმერთს მივანდობ და ვიმედოვნებ, რომ ლოცვებში მომიხსენიებთ. . . მშვიდობით, მეგობრებო და თანამოქალაქენო. "

მსახიობი, რომელიც არმიის ოფფიცერს, კავანაგის თამაშობდა, ეტყვის:"გამგზავრების დროა, ბატონო პრეზიდენტო, დაბრძანდით."

ლინკოლნი მანქანაში ჯდება. ამ დროს ბრბო "ჯონ ბრაუნის სხეულს" მღერის. მსახიობი, რომელიც კონდუქტორის როლს ასრულებდა, ფანარს აწევდა.

ამ დროს ტრაუტს საყვირის ღილაკზე უნდა დაეჭირა ხელი.

ფარდა დაუშვეს თუ არა, სცენის მიღმა ვიღაცამ ამოისლუკუნა. პიესაში ეს გათვალისწინებული არ იყო. უფრო ექსპრომტს ჰგავდა, მშვენიერ ექსპრომტს.

ეს იყო კილგორ ტრაუტი.

ჩვენს მიერ ნათქვამი ყველა სიტყვა, მობოდიშება, ისეთი უხერხული იყო, თითქოს ინგლისური უცხო ენა იყო ჩვენთვის. დავტიროდით ლინკოლნისა და ამერიკული მჭერმეტყველების დაღუპვას.

კიდევ ერთი ორეული იყო _ როზმარი სმიტი, კლუბის კოსტიუმერი, ფრენკ სმიტის დედა, იდა იანგს მაგონებდა, ყოფილი მონების შთამომავალს, რომელიც ინდიანაპოლისში მუშაობდა. იდა იანგმა და ბიძაჩემმა, ალექსმა, იმდენივე გააკეთეს ჩემთვის, რაც ჩემმა მშობლებმა.

ბიძია ალექსს ორეული არ ჰყავდა. ჩემი შემოქმედება მაინცდამაინც არ ხიბლავდა. მას მივუძღვენი "ტიტანის სირინოზები". ბიძია ალექსმა მითხრა:"შეიძლება, ახალგაზრდობას ეს მოეწონს კიდეც."

არც მამიდაჩემს, ელა ვონეგუტ-სტიუარტს, ჰყავს ვინმე.

ის და მისი მეუღლე, კერფუტი, წიგნის მაღაზიას ფლობდნენ ლუისვილში. ჩემს წიგნებს არ ყიდდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ უშვერ სიტყვებს ვწერ.

აწ განსვენებულ სულებს შორის, რომელთაც უკან დავაბრუნებდი, ზოგიერთი ორეულით იყო წარმოდგენილი. მათ შორის, ჩემი ცხრა მასწავლებელი შორტრიჯის სკოლიდან. ფებ ჰარტი, რომელმაც სკოლაში სწავლის დროს დამიქირავა, რეკლამა რომ შემექმნა საბავშვო ტანსაცმლისათვის. ბიძია ჯონმა ჩვენი გვარის ამერიკულ შტოზე მიამბო. მის ნაამბობს თავი მოვუყარე წიგნში, "ბზობა" . ჯეინის ორეულმა, შეღებილმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც როდ აილენდის უნივერსიტეტის ბიოქიმიის მასწავლებელი იყო, თქვა: "ლოდინი აღარ შემიძლია. როდისღა"_ თანაც ისე ხმამაღლა, რომ თეატრალური წარმოდგენის დროს გავიგე.

2001 წლის პიკნიკზე ორეულები მხოლოდ გარდაცვლილებს ჰყავდათ. არტურ გარვეი ულმი, პოეტი და მდივანი, ამერიკის ხელოვნებისა და სიტყვიერების აკადემიის თანამშრომელი, დაბალი და დიდცხვირა კაცი იყო და ძალიან ჰგავდა ჩემს ფრონტელ მეგობარს, ბერნარდ ო’ჰარას. ჩემი ცოლი, ღვთის მადლით, პიკნიკზე ცოცხალთა შორის იყო. მის გვერდით იდგა ჩემი თანაკლასელი, ნოქს ბურგერი. დასავლური ცივილიზაციის წარუმატებელი თვითმკვლელობის დროს ნოქსი "კოლერსის" ლიტერატურული აგენტი გახდა და ყოველკვირეულად ხუთ მოთხრობას ბეჭდავდა.

ნოქსმა კარგი აგენტი მიშოვნა_პოლკოვნიკი კენეტ ლიტაუერი, პირველი მფრინავი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს სანგარში ყუმბარების ჩაყრის ხელოვნებას დაეუფლა. მოთხრობაში, "ათი წელი ავტოპილოტზე", ტრაუტმა გამოთქვა აზრი, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ დროის რღვევასაც ისე დავნომრავდით, როგორც მსოფლიო ომებს. პოლკოვნიკმა ლიტაუერმა და ნოქსმა ჩემი რამდენიმე ნაწარმოები გაყიდეს. სრულიად უპრობლემოდ დავემშვიდობე "ჯენერალ ელექტრიკს" და ცოლ-შვილთან ერთად კონცხ კოდზე გავემგზავრე, რათა სრულიად თავისუფალი მწერალი გავმხდარიყავი. როდესაც ტელევიზიამ გაზეთები გააკოტრა, ნოქსი გამომცემელი გახდა და ჩემი სამი წიგნი გამოსცა:"ტიტანის სირინოზები", "დედა-წყვდიადი", "იადონები კატის სახლში".

ნოქსი მეხმარებოდა იქამდე, სანამ ძალა ეყო. შემდეგ სეიმურ ლოურენსმა შეცვალა.

პიკნიკზე ჩემზე უმცროსი კიდევ ხუთი ადამიანი იყო, რომლებიც წარუმატებლობის პერიოდში მეხმარებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი საქმიანობა საინტერესოდ ეჩვენებოდათ. ისინი ჩემი სტუმრები არ იყვნენ. კილგორ ტრაუტის ნახვა სურდათ. ეს იყო რობერტ უეიდი, რომელმაც "დედა-წყვდიადის" მიხედვით, 1996 წელს, მონრეალში ფილმი გადაიღო. მარკ ლედსი, რომელმაც დაწერა და გამოსცა ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების ჩინებული ენციკლოპედია. ეიშა პიერატი და

ჟერომე კლინკოვიჩი ჩემს ბიბლიოგრაფიაზე მუშაობდნენ და ესსეებს წერდნენ. აქ იყო ჯო პეტრო მესამე, დანომრილი ისევე, როგორც მსოფლიო ომები. ჩემი უახლოესი პარტნიორი, ადვოკატი და ლიტერატურული აგენტი, დონ ფარბერი, თავის მშვენიერ მეუღლესთან, ენთან, ერთად. ჩემი მეგობარი სიდნი ოფიტი, კრიტიკოსი ჯონ ლეონარდი, აკადემიკოსები: პეტერ რიდი, ლორე რაკშტრავი, ფოტოგრაფი კლიფ მაკარტი და სხვანი.

ჩამოთვლა მიჭირს.

იქ იყვნენ მსახიობები: ევინ მაკარტი და ნიკ ნოლტი. ჩემი შვილები და შვილიშვილები.

ეს გასაგებიცაა.

არც ჩემი დაბადების დღე იყო და არც მე ვიყავი საპატიო სტუმარი.

საღამოს გმირები ფრენკ სმიტი და კილგორ ტრაუტი იყვნენ. ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს, ალბათ, სხვა საქმე ჰქონდათ. რა მნიშვნელობა აქვს!

სწორად გამიგეთ!

გაიხსენეთ ბიძია კარლ ბარუსი და სწორედ გამიგებთ!

ეს არ არის გოთიკური რომანი. ჩემი ძველი მეგობარი, ბარდენ დილი, პირველი კლასის სამხრეთელი მწერალი, თანაც, ისეთი სამხრეთელი, რომ თავის გამომცემელს სთხოვა, მისი წიგნების რეცენზიისათვის მეისონ-დიქსონის მხარეს მდებარე არცერთ დასახელებულ პუნქტში არ გაეგზავნათ, რომანებს ქალის ფსევდონიმით წერდა. როდესაც გოთიკური ნოველის განმარტება ვთხოვე, მიპასუხა: "ახალგაზრდა ქალი სახლში შედის და შიშისაგან იფსამს."

მე და ბარდენი ვენაში მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციის პენ _ კონგრესზე ვიყავით, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაარსდა.

სწორედ იქ მიამბო გოთიკურ რომანზე. ვისაუბრეთ გერმანელ მწერალზე, ლეოპოლდ ვონ საჩერ-მაზოხზე, გასულ საუკუნის დასასრულს წარმოუდგენელი ნეტარება განიცადა დამცირებისა და ტკივილისაგან და ეს აღწერა. მისი დამსახურებით, სიტყვა მაზოხიზმი თანამედროვე მეტყველებაში დამკვიდრდა. ბარდენი წერდა არა მხოლოდ გოთიკას და სერიოზულ ნოველებს, არამედ ქანთრის მუსიკასაც. სასტუმროს ნომერში გიტარა ჰქონდა და მუშაობდა სიმღერაზე:"არასოდეს მიცეკვია ვალსი ვენაში".

მე ის მენატრება. ვისურვებდი, პიკნიკზე ბარდენის ორეული მენახა და კიდევ ორი წარუმატებელი მეთევზე, სტენლი ლოურელისა და ოლივერ ჰარდის მსგავსი.

დაე, იყოს ასე!

მე და ბარდენი მაზოხისა და მარკიზ დე სადის მსგავს მწერლებზე ვსაუბრობდით. განზრახ თუ შემთხვევით, მათ ახალი სიტყვები გამოიგონეს. "სადიზმი" ერთგვარი სიამოვნებაა, რომელსაც განიცდი მაშინ, როდესაც სხვას აყენებ ტკივილს. "სადო-მაზოხიზმი" ნიშნავს სიამოვნებას, რასაც სხვისი წამებით განიცდი. აქედან მოდის თვითგვემა. ბარდენმა თქვა, რომ ამ სიტყვების გარეშე ისე ხარ, როგორც წყლისა და ლუდის გარეშე. ზოგიერთმა თანამედროვე ამერიკელმა მწერალმა მართლაც გამოიგონა ახალი სიტყვა. ჯოზეფ ჰელერმა. თავისი პირველი რომანი დაასათაურა: "დაჭერა-22". უებსტერის აკადემიურ ლექსინკოში ეს სიტყვა ასეა ახსნილი: პრობლემური სიტუაცია ერთადერთი გადაწყვეტილებით, რომელიც ცხოვრებაში სხვადასხვაგვარად ვლინდება, ოღონდ აუცილებლად ამავე პრობლემით."

წაიკითხეთ ეს წიგნი!

ბარდენს ვუთხარი, რა მიპასუხა ჰელერმა, როცა ვკითხე, ეშინია თუ არა სიკვდილის.

ჰელერს მისი ზოგიერთი ნაცნობისაგან განსხვავებით, კბილი არასოდეს ამოეღო. მათი მონაყოლიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ალბათ, შეძლებდა ამ ოპერაციის გადატანას.

ასე ხდება სიკვდილთან მიმართებაშიც.

ეს ბერნარდ შოუს ერთ პიესას მახსენებს:"უკან მატუსელასკენ". პიესა ათ საათს გრძელდება.

თავიდან ბოლომდე, უკანსკნელად, 1922 წელს დაიდგა.

მეც ამ წელს დავიბადე.

სცენა ამგვარია: ადამი და ევა თავიანთი აყვავებული ფერმის ჭიშკართან მეპატრონის მოსვლას ელიან. ყოველი ვიზიტის დროს ეუბნებიან, რომ ყველაფერი წესრიგშია და მისი მადლიერები არიან. ამჯერად, სიმართლის სათქმელად მოემზადნენ. შეშინებული არიან, მაგრამ სიამაყე დაუფლებიათ. აშკარაა, რომ ღმერთთან რაღაც მოულოდნელზე სურთ ლაპარაკი. ღმერთი ბაბუაჩემის, ლუდის მეწარმე ალბერტ ლეიბერის კეთილი და მხიარული იერით მოდის.

ეკითხება, როგორ ხართო და დარწმუნებულია, რომ პასუხი იცის. მან ხომ ყველაფერი ასეთი სრულყოფილი შექმნა და თავადაც ხომ სრულყოფილია!

ადამსა და ევას ერთმანეთი ისე უყვართ, როგორც არასდროს. ღმერთს ეუბნებიან, რომ სიცოცხლე უყვართ და კიდევ უფრო შეიყვარებდნენ, თუკი დარწმუნებული იქნებიან, რომ ეს ოდესმე დასრულდება.

ჩიკაგო სჯობს ნიუ-იორკს, რადგან გარშემო სულ ბაღებია. არც ნაგავს ყრიან ტროტუარებზე, არც პროდუქტების გადასატანი მანქანებით ქმნიან საცობებს ცენტრალურ გზებზე.

1966 წელს, აიოვას უნივერსიტეტში გამართულ მწერალთა სემინარზე, მწერალმა, ნელსონ ალგრენმა, აწ გარდაცვლილ ჩილელ მწერალს, ხოსე დონოსოს, მიმართა:"ალბათ ძალიან სასიამოვნოა, წამოიყვანო შენი მოდგმა ისეთი გრძელი და ვიწრო ქვეყნიდან, როგორიც თქვენია."

გგონიათ, რომაელები ჭკვიანები იყვნენ?

ერთი თეორიის თანახმად, იმიტომ ამოწყდნენ, რომ სასმელი წყლის მილები ტყვიისაგან ჰქონდათ ჩამოსხმული. ტყვია ადამიანს აშტერებს და აზარმაცებს.

აბა, რას იტყვით?!

ცოტა ხნის წინ სულელური წერილი მივიღე ერთი ქალისაგან. მან იცოდა, რომ მეც ერთი სულელი ჩრდილოელი დემოკრატი ვარ. ქალი ორსულად იყო და აინტერესებდა, ღირდა თუ არა ამ უდანაშაულო ბავშვის ბინძურ სამყაროში მოვლინება.

ვუპასუხე, რომ ჩემს ცხოვრებას უმწიკვლო ადამიანებთან ურთიერთობამ შესძინა აზრი. წმინდანად მივიჩნევ ადამიანებს, ვისაც საზოგადოებისათვის სრულიად უანგაროდ მოაქვს სარგებლობა. რაც მთავარია, მე მათ სრულიად მოულოდნელ ვითარებაში შევხვედრივარ.

და ალბათ, თქვენ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, იქნებით ის წმინდანი, ვინც ამ საყვარელ პატარას შეხვდება.

მე მჯერა როგორც მომაკვდინებელი ცოდვის, ასევე უანგარო სიკეთისაც.

მიმოიხედეთ გარშემო.

ქსანტიპეს ეგონა, რომ მისი ქმარი, სოკრატე, სულელი იყო. ბიცოლა რეი ფიქრობდა, რომ ბიძია ალექსი სულელი იყო. დედაჩემი მამაჩემს მიიჩნევდა სულელად. ჩემს ცოლსაც დაახლოებით ასეთი წარმოდგენა აქვს ჩემზე.

არადა, მე კვლავ ველური, მოტყუებული, მტირალა ბავშვი ვარ. დაღლილი და გაოცებული.

კილგორ ტრაუტმა, როდესაც ლოურელთან და ჰარდისთან ერთად ნავში იჯდა, აღნიშნა, რომ ახალგაზრდებს უყვართ ფილმები, სადაც ბევრს ისვრიან, რადგან აქ არავინ კვდება.

ძალიან ბედნიერი ჩანდა.

ის ხომ პოპულარული იყო!

ყველა განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა. სმოკინგი და მაისური ეცვა. ეკეთა ქამარი, რომელიც ზოლტან პეპერს ეკუთვნოდა. მე თვითონ შევუკარი ჰალსტუხი, როგორც ჩემი ძმა მიკრავდა-ხოლმე.

ტრაუტს რაც უნდა ეთქვა, ყველაფერზე იცინოდნენ და ტაშს უკრავდნენ.

დაჯერება უჭირდა! მან თქვა, რომ პირამიდები და სტოუნჰენჯი ძალიან სუსტი გრავიტაციის დროს ააშენა. ამ დროს ქვის ლოდებთან ისევე ადვილია გამკლავება, როგორც ბალიშებთან. მსმენელები აღფრთოვანდნენ და სთხოვეს, კიდევ ეამბნა რამე. ციტატა მოიყვანა:"მაკოცე კიდევ ერთხელ." "ლამაზ ქალს ორი წუთითაც არ შეუძლია მოიქცეს ისე, როგორი ლამაზიც არის.

ტინგ-ლინგ!"

ხალხმა ერთსულოვნად აღნიშნა, რომ ის ისეთივე გონებამახვილია, როგორც ოსკარ უაილდი.

ეს უზარმაზარი აუდიტორია, ვისაც ტრაუტი მიმართავდა, არტილერისტთა ჯგუფი იყო. სწორედ მათ   მხარდამხარ იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში.

"ტინგ-ლინგ!"

თუ არა მშვენიერება, მაშ რა არის ეს?!

ეკითხებოდა ყველა ჩვენგანს. და მე მივმართე:

"თქვენ ავად იყავით, მისტერ ტრაუტ, მაგრამ ეხლა კარგად ხართ და ბევრი რამ გაქვთ გასაკეთებელი."

ჩემი აგენტი, ჯენტ კობსიც, იქ იყო.

საღამოს ათ საათზე, ბებერმა მწერალმა და ფანტასტმა განაცხადა, რომ ეძინებოდა. რაღაცის თქმა უნდოდა თავისი ოჯახის შესახებ და მაყურებელთა შორის ილუზიონისტივით ეძებდა პიროვნებას, ვინც მის დავალებას შეასრულებდა.

მე ვკითხე:

_შეიძლება, მე გამოვიდე?

ხალხს გაეცინა, როდესაც გვერდით დავუდექი.

_სამყარო ძალიან გაფართოვდა,_თქვა მან. _რაც ცოტა ხნის წინ გადავიტანეთ, ეს კიდევ არაფერია. გაფართოებას განაგრძობს. ამიტომ სინათლე ისეთი სწრაფი არ არის, რომ იმოგზაურო. მას აღარ ეყოფა დრო. ოდესღაც სინათლე ყველაზე სწრაფი იყო, ახლა კი ისტორიის ნაგავსაყრელზე გდია და უფრო ნელა მიზოზინებს, ვიდრე დილიჟანსი. ამ მამაც ადამიანს, რომელიც ჩემს გვერდით დგას, ვთხოვ, ცაში ორი მოციმციმე წერტილი ამოარჩიოს. სულერთია, რა იქნება, მთავარია იციმციმოს. რაც არ ციმციმებს, პლანეტაა ან თანამგზავრი. დღეს ისინი არ გვაინტერესებს.

ამოვირჩიე.

ერთი პოლარული ვარსკვლავი იყო, მეორე, ალბათ, კილგორ ტრაუტის პიუკი, BB, დიდი ვარსკვლავი.

_ ციმციმებენ?_მკითხა.

_დიახ!_ვუპასუხე.

_მპირდები?_მკითხა ისევ.

_გეფიცები!_მივუგე.

_მშვენიერია!

ტინგ-ლინგ!

ახლა რა სხეულებიც არ უნდა იმალებოდეს ამ წერტილების მიღმა, დარწმუნებული იყავით, რომ ერთიდან მეორე წერტილამდე სინათლის მისაღწევად მილიონი წელია საჭირო.

ტინგ-ლინგ!

გთხოვთ, გულისყურით შეხედოთ ჯერ ერთს, მერე-მეორეს.

_კარგი! _ვუთხარი და გავაკეთე.

_ამან ერთი წამი მოიცვა. ასე არ არის? _მკითხა მან.

_დაახლოებით.

_ერთი საათიც რომ მომენდომებინა, მაინც არის რაღაც, კონსერვატიული ენით რომ ვთქვათ, რამაც მათ შორის მანძილი მილიონჯერ სწრაფად დაფარა, ვიდრე შუქმა.

_და რა იყო ეს? _ვკითხე.

_შენი ცნობიერება.

ეს სამყაროს ახალი თვისებაა და იმიტომ არსებობს, რომ ადამიანები არსებობენ. ამის შემდეგ ფიზიკოსები, რომლებიც კოსმოსს იკვლევენ, არა მხოლოდ დროს, ენერგიას და რაღაც მატერიებს უნდა ანიჭებდნენ მნიშვნელობას, არამედ ადამიანის ცნობიერებას.

ტრაუტი შეჩერდა და მარცხენა ხელის თითით პროტეზი შეიმოწმა.

_გამახსენდა! ცნობიერებაზე უკეთესი სიტყვაა "სული"._თქვა და გაჩერდა, შემდეგ დაამატა:

_ტინგ-ლინგ!

ეპილოგი

ჩემი ერთადერთი უფროსი ძმა, ბერნი, გარდაიცვალა, 1997 წლის 25 აპრილს, ოთხი დღის წინ, ოთხმოცდაორი წლის ასაკში.

ის იყო ნიუ-იორკის შტატის ელბანის უნივერსიტეტის ატმოსფეროს კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ხუთი იმშვენიერესი ყმაწვილის მამა.

მე სამოცდათოთხმეტი წლის ვიყავი. ჩვენი და, ელი, სამოცდაცხრამეტი წლის იქნებოდა. როდესაც ის ორმოცდაერთი წლის ასაკში გარდაიცვალა, ვთქვი, რა მშვენიერი მოხუცი იქნებოდა მეთქი, მაგრამ არ გაუმართლა.

ჩვენ ბერნარდივით გაგვიმართლა. ის სიყვარულში გარდაიცვალა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დიდი სიამოვნებით კითხულობდა ალბერტ აინშტაინის ციტატების კრებულს. მოვიყვან ერთ ციტატას: "ყველაზე მშვენიერი რამ, რისი განცდაც გვიწევს, იდუმალებაა. იდუმალება ხელოვნებისა და მეცნიერების პირველწყაროა."

აი, კიდევ რა: "თეორიული ფიზიკა ადამიანის გონების ნაყოფია. თუმცა, გარეშე ფაქტებიდან გამომდინარე, სხვაგვარი დასკვნის გაკეთებაც შეიძლება. ასე რომ, არ ღირს იმ ფაქტების აბსოლუტიზირება, რითიც ვხელმძღვანელობთ.

აინშტაინის ყველაზე ცნობილი გამოთქმაა:"მჯერა, რომ ღმერთი კამათელს აგორებს!"

ბერნარდი სამყაროსთან სრულიად გახსნილი იყო და სჯეროდა, რომ კრიტიკულ ვითრებაში ლოცვა უშველიდა. როცა მის შვილს, ტერის, ყელის სიმსივნე აღმოაჩნდა, ჩემი ექსპერიმენტატორი ძმა დღე და ღამე ლოცულობდა. ტერი მართლა განიკურნა.

ასე იყო ვერცხლის იოდიდთან დაკავშირებით. ბერნი ფიქრობდა, რომ ეს ყინულის მსგავსი კრისტალები, ღრუბლებში გაცივებულ წყალს ყინულად და თოვლად გარდაქმნის.

სცადა და გამოუვიდა.

თავისი კარიერის ათი წელი შესწირა ცდებს უძველეს თემებზე:როგორ წარმოიქმნება ღრუბლებში ჭექა-ქუხილი ელექტონული მუხტი, როგორ მოქმედებენ შემდეგ და რატომ.

წინააღმდეგობის დაძლევაც მოუხდა. მისი ას ორმოცდაათი სტატია, სადაც ექსპერიმენტია აღწერილი, აბსოლუტურად ამტკიცებს მის სიმართლეს. როგორიც უნდა ყოფილიყო ექსპერიმენტის საბოლოო დასკვნა, ის მაინც სიცილით მოკვდებოდა.

ჩემზე გამჭრიახი იყო. დიდი დეპრესიის დროს მამხნევებდა, მასწავლიდა ათასგვარ ანეგდოტს ფილმებსა და რადიოგადაცემებზე.

ბერნის აზრით, მე სასაცილო ვარ და ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო. გაირკვა, რომ ჩემი წერილების მცირე კოლექცია ჰქონდა მათ შორის, ბიძია ალექსისადმი მიწერილი წერილიც. მაშინ არცერთი წიგნი არ მქონდა გამოცემული, მაგრამ მყავდა ცოლ-შვილი.

ჩიკაგოში ახალი ჩასული ვიყავი და "GE"_ში ვმუშაობდი. იქ ბერნის გამო მიმიღეს. ჩემი სახელოვანი ძმა ღრუბლების განდევნაზე წარმოებული ექსპერიმენტებით იყო განთქმული და "GE"-ის ლაბორატორიაში ირვინ ლენგმუირისა და ვინსენტ შიფერის ასოციაციასთან თანამშრომლობდა. ამ ხანებში ფირმამ გადაწყვიტა, რომ პრეს-მდივანი ესაჭიროებოდა, გაზეთში მუშაობის გამოცდილებით.

ბერნის წინადადებით, "GE"-მა მე დამიქირავა. ამ დროს, ჩიკაგოს უნივერსიტეტში ვმუშაობდი დისერტაციაზე, ანთროპოლოგიის განხრით. მეგონა, ბიძია ალექსმა ეს იცოდა, მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა.

ბიძია ალექსმა ერთხელ "სკენეკდატი გაზეტში" ბერნის ფოტო ნახა და გაზეთს მისწერა, რომ ძალიან ამაყობდა თავისი ძმისწულით. შემდეგ დიდი მოწიწებით სთხოვა ფოტოს ასლი. კონვერტში დოლარი ჩადო და გაუგზავნა. "გაზეტმა" ფოტო "GE"-ის ნებართვით გამოაქვეყნა. წერილი კი მასვე გადასცა. ჩემმა უფროსმა მე მომცა.

პასუხი ლურჯ ქაღალდზე დავწერე:

"ძვირფასო ბატონო ვონეგუტ, მისტერ ედვარდ ტემაკმა, "სენეკდატი გაზეტის" რედაქტორმა, თქვენი წერილი 26 ნოემბერს გამომიგზავნა. დოქტორ ბერნარდ ვონეგუტის ფოტო ნამდვილად "GE"_მა გადასცა გაზეთს. ამიტომ ჩვენ ფოტო აღარ გვაქვს, ნეგატივი კი ამერიკის ბეჭდური და მასობრივი ინფორმაციის კომიტეტში ინახება. ამასთან, ჩვენ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გვაქვს, ვიდრე თქვენი მოთხოვნების აღსრულება. ამ კაცის სხვა ფოტოები მოგვეძებნება და ჩემი უძვირფასესი დროის ხარჯვის მიუხედავად, გამოგიგზავნით. გთხოვთ, ნუ დაგვაჩქარებთ. "ჩვენ ვამაყობთ!" დიახაც! ჰა! ჰა!ჰა! ვონეგუტ! ამ დაწესებულებამ შექმნა თქვენი ძმისწული და ჩვენვე შეგვიძლია მისი განადგურება. ასე რომ, ძალიან არ იდარდოთ, თუ ერთი-ორი კვირის განმავლობაში ვერ მიიღებთ მის ფოტოს. ეს ერთდოლარიანი კი წვიმიან ამინდში დააფარეთ ვინმეს თავზე. აი, უკან გიბრუნებთ. გაიკეთე ერთ ადგილას!

გულწრფელად

თქვენი, გაი ფოქსი.

პრესის განყოფილება.

ახალი ამბების ბიურო."

ხელი გაი ფოქსის სახელით მოვაწერე. ეს იყო ბრიტანული პრესის ისტორიაში სრულიად უცხო ხელმოწერა.

ბიძია ალექსი ინსულტს მიიღებდა, ამას რომ წაიკითხავდა. მაშინვე ადვოკატს მიმართა. უნდოდა, ყველა ზომა მიეღო, რათა კომპანიის პასუხისმგებელ თანამდებობაზე მყოფ რომელიმე პირს ბოდიში მოეხადა და ამ წერილის ავტორი სამსახურიდან გაეპანღურებინა. გადაწყვიტა, კომპანიის პრეზიდენტისათვის მოეხსენებინა, რომ მისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა დოლარის ფასი არ იცის.

სანამ პირველ ნაბიჯს გადადგამდა, ვიღაცამ შეახსენა, ვინც იყო გაი ფოქსი და რაც მთავარია, წერილი იმდენად სასაცილო იყო, რომ უთუოდ ჩემი დაწერილი იქნებოდა.

ბიძიას ჩემი მოკვლა უნდოდა, ასე რომ გავასულელე.

მგონი, არც მაპატია. არადა, მე მხოლოდ მისი გაწითლება მინდოდა.

მართლა რომ გაეგზავნა "GE"_ში საყვედურის ბარათი, აუცილებლად დამითხოვდნენ. მერე რა უნდა მეკეთებინა? რა ეშველებოდა ჩემს ცოლ-შვილს? ვერსასგზით შევძლებდი მასალის მოპოვებას წიგნებისათვის "აკავნი კატისათვის", "მექანიკური პიანინო" და რამდენიმე პატარა მოთხრობისათვის.

ბიძია ალექსმა წერილი ბერნის გადასცა და ახლა ის ჩემს ხელშია.

"დროის რღვევა" _ მე ისევ 1947 წელში ვარ.

ახლა დავიწყე მუშაობა "GE"_ში და დროც თავიდან დატრიალდა. ისევ ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც პირველად_ცუდად თუ კარგად.

ერთადერთი შემამსუბუქებელი გარემოება, რასაც განკითხვის დღეს ვიტყვით, არის ის, რომ ჩვენ არ გვითხოვია ამქვეყნად მოსვლა.

მე ჩემი ოჯახის საყვარელი შვილი ვიყავი.

ახლა აღარავინ არის.

ვესაუბრე ქალს, რომელიც ელბანში, წმინდა პეტრეს საავადმყოფოში, ბერნის სიკვდილის წუთებში მის პალატაში იყო. მან მითხრა, რომ ბერნი "კეთილშობილურად" და "ელეგანტურად" მიიცვალა.

რა ძმა! რა ენა! ან რა სიტყვა!